

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი
აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

XXXII

**რესპუბლიკური დიალექტოლოგიური
სამეცნიერო სესიის
მასალები**

XXXII

**რესპუბლიკური დიალექტოლოგიური
სამეცნიერო სესიის
მ ა ს ა ლ ე ბ ი**

ქუთაისი

2012 წლის 16-17 ნოემბერი

ედვინება პროფ. ბესარიონ ჯორბენაძის
დაბადების 70 წლისთავს

2012

თბილისი
2012

სამეცნიერო დიალექტოლოგიური სესია გაიხსნება 2012 წლის 16 ნოემბერს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მწვანე დარბაზში).

მისამართი: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის №59

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს — 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს — 5 წუთი

რედაქტორი: პროფ. **გიორგი გოგოლაშვილი**

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ე გ მ ა

16 ნოემბერი, 12 საათი

ს ე ს ი ი ს გ ა ხ ს ნ ა

მისალმებები: აკაკი წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფ. **გიორგი ღავთაძე** არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. **ლალი ეზუგბაია**

გიორგი გოგოლაშვილი — ბესარიონ ჯორბენაძე და ქართული დიალექტოლოგიის საკითხები

I სექცია, 13 საათი

(მწვანე დარბაზი)

ხელმძღვანელები: პროფ. **ა. არაბული**, პროფ. **რ. საღინაძე**

1. **ა. არაბული**, ერთი უძველესი შერეული პარადიგმის გამოვლენისათვის ერთი დიალექტის ფარგლებში
2. **ე. ბერიძე**, ზმნის პირიანი და უპირო ფორმები ნიგალში
3. **თ. ლომთაძე**, მ. ქაცარავა, სასაუბრო ლექსიკის მარკირებისათვის ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში
4. **მ. კიკვაძე**, ქართული ლექსიკა კლარჯთა თურქულ მეტყველებაში
5. **თ. გოგოლაძე**, გრიგოლ რობაქიძე ქართული ენის შესახებ
6. **ი. რუსაძე**, ილია ჭყონიას „სიტყვის კონაში“ საბა-სულხან ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები (წიგნის გამოცემიდან 100 წლისთავის გამო)
7. **მ. ლლონტი**, კითხვითი -ა ნაწილაკის ფუნქციური კვალიფიკაციისათვის ქართული ენის დიალექტებსა და ქართულ ოთხთავში
8. **ნ. წულეისკირი**, ექვთიმე თაყაიშვილი ჭოროხის „ბასენის“ სოციოლინგვისტური პროფილის შესახებ

9. ნ. ჯორბენაძე, ენობრივი ეკონომია და ქართული ენის დიალექტები
10. ნ. ფხაკაძე, ლინგვოკულტურული ფენომენი და დიალექტი
11. ი. ჩაჩანიძე, ნიკოლო მაკიაველის ლინგვისტური თვალსაწიერი: პოლემიკური დიალოგი ენის თაობაზე

II სექცია, 13 საათი
(საკონფერენციო დარბაზი)

ხელმძღვანელები: პროფ. **გ. შენგელია**, პროფ. **მ. ჩუხუა**

1. ლ. ეზუგბაია, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები მეგრულ-ლაზურში
2. შ. გაბესკირია, ხორბლეულის აღმნიშვნელი ორი სიტყვის შესახებ ქართულში („დოლი“, „პური“)
3. ო. მემიშიში, ბრუნვათა ფუნქციები ლაზურში
4. ვ. შენგელია, მეგრული **კათ**- ძირის შესახებ
5. მ. ბუკია, ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან — VI. საომარი იარაღის აღმნიშვნელი ლექსიკა
6. ლ. გიგლემიანი, კითხვითი და მიმართებითი ზმნისართები სვანურ დიალექტებში
7. ლ. თანდილავა, მსგავსი ფონეტიკური ცვლილებები ლაზურსა და შავშურში
8. ც. ჯანჯღავა, ზმნური მიმართვის შესახებ მეგრულში
9. ნ. ოთინაშვილი, მცენარეთა სახელწოდებების შესწავლისათვის
10. მ. კობერიძე, ზედსართავსახელიანი ტოპონიმები ფრონეს ხეობის ქართულში

17 ნოემბერი, 10 საათი

I სექცია

(მწვანე დარბაზი)

1. რ. საღინაძე, ზოგიერთი ნასახელარი ზმნის სემანტიკისათვის იმერულში
2. რ. ჭიკაძე, დროის გადაწვევის ფაქტორი სემიოტიკურ ჭრილში შიგნიკახურის მიხედვით
3. რ. ზექალაშვილი, სიტყვასიტყვითი ნაწილაკები ქართული ენის დიალექტებში
4. მ. ბარამიძე, ექსპედიცია ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან (წინასწარი მოხსენება)
5. ზ. კიკვიძე, დიალექტის ლიტერატურული ფუნქციები ქართულ მწერლობაში
6. ნ. ჭოხონელიძე, კუთვნილებითი კომპოზიტები რ. ინანიშვილის სამწერლო ენის მიხედვით
7. ნ. ხახიაშვილი, ხიბლ - სიტყვის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზი
8. ე. დადიანი, -ც ნაწილაკიანი ფორმები ტაოურში
9. მ. ბარიხაშვილი, მოსე ჯანაშვილი „ინგილოური ლოღათის“ შესახებ
8. თ. გუჩუა, ქართული ენის კომპოზიტთა მოდელები უშუალო შემადგენლების ანალიზის მეთოდის მიხედვით
9. ე. ვაწაძე, ფატიკური კომუნიკაცია სალიტერატურო ენასა და დიალექტში
10. მ. მექვაბიშვილი, ჯუმათის გურულის ზოგი ფონეტიკური თავისებურების შესახებ
11. მ. კუხალაშვილი, კითხვითი ა ნაწილაკის ადგილისათვის ქართულ დიალექტთა შორის
12. ხ. ყანდაშვილი, მრავალგზისობის გამოხატვა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

II სექცია

(საკონფერენციო დარბაზი)

1. მ. ჩუხუა, ზედსართავ სახელთა ბრუნების ერთი თავისებურებისათვის მეგრულში
2. ქ. მარგიანი-სუბარი, პირობითი კილო სვანურ ენაში
3. ე. შენგელია, სამოსლის საწარმოებლად გამოყენებული ხელსაწყოების სახელწოდებანი მეგრულ-ლაზურში
4. კ. მითავგარია, ხმაბაძვითი სიტყვების ზოგი საკითხისათვის
5. მ. სალია, „უზეკე“ ლექსემისათვის მეგრულში
6. ნ. შავრეშიანი, მ. სალიანი, უკავშირო ჰიპოტაქსური წინადადებისათვის სვანურში
7. ლ. კელაურაძე, ქართულ-ზანური თ : სვანური შთ/შდ/შტ ბგერათფარდობის ახლებური ინტერპრეტაციისათვის ბურუშული ენის მონაცემთა გათვალისწინებით
8. პ. ჯაფარიძე, ქართველური ძირები და ქართულ-აღმოსავლური იზოგლოსები
9. დ. კაკაშვილი, შენიშვნები ძველი გავაზის (ახალსოფლის) ტოპონიმის შესახებ
10. ნ. ფონიავა, აფხაზებით დასახლებული აჭარის სოფლების ტოპონიმიდან

კონფერენციის დასურვა

ავთანდილ არაბული (თბილისი)

ერთი უძველესი შერეული პარადიგმის გამოვლენისათვის ერთი დიალექტის ფარგლებში

ცნობილია, რომ „არსებობის“ გამომხატველი ძირითადი ზმნა ე. წ. შერეული პარადიგმის სახით არის წარმოდგენილი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში; შდრ.:

ვ-არ

ხ-არ

არ-ი-ს

ამჟამად, რომ ფუძის სუფიქსური ელემენტი მხოლოდ მესამე პირის ფორმას მოეპოვება. ა. შანიძის მითითებით: „ვ-არ. ამ ზმნას მართო აწმყო მწკრივის ფორმები აქვს... **არ** ფუძეს ეყრდნობა 1-ლი და მე-2 პირის ფორმები (ვ-არ, ხ-არ; ვ-არ-თ, ხ-არ-თ), მე-3 პირში კი მწკრივის ნიშანიც მოიპოვება: არ-ი-ს, არ-ი-ან. ძველ სალიტერატურო ქართულში ეს **ი** ზოგჯერ 1-ლი და მე-2 პირის ფორმებშიც იხმარებოდა (გარი, მათ. 27, 43; ხარი, მათ. 14, 33; „შემწე და მქსნელი ჩემი ხარი შენ“, ფს. 39, 22), მაგრამ მე-3 პირის ფორმა ყოველთვის უინო იყო: არ-ს. ამ „არს“ ფორმისაგან მოდის შემოკლებული **ა**: დიდი-**ა** (< დიდი არს), კაცი-**ა**, ტკბილი-**ა** და მისთ.“

დამაფიქრებელია, რომ ამ შერეული პარადიგმის ორივე ფუძე ვლინდება ხევსურული დიალექტის კილოკავებში:

პირაქეთულ-არხოტულში: ვ-არ (> ორ)

ხ-არ

ა-ს (< არ-ს)

შატილურ-მიდმახურში:

ვ-არ-ი

ხ-არ-ი

არ-ი-ს (უფრო მეშველზმნიან ფორმებში).

მაგ.: „კახოს უთურგა დასჭეხდა: „ჰევსურნ ვერ ხარით ცდითაო“ (ხევს. პ. 182, 15).

ეს სხვაობა განაპირობებს იმას, რომ პირაქეთულში მეშველი ზმნა ენკლიტიკურად ერწყმის წინამავალ სახელს: **კაცი-ორ**; მაგრამ

ცალკე მდგომი ერთეულია მიღმანხურში: **კაც ვარი...**

მეორე მხრივ, ეს განსხვავება განაპირობებს მის ასეთსავე გამოყენებას აღწერით (მეშველზმნიან) ფორმებში; შდრ.:

მასულ-არის და მასულ-ას

მესამე მხრივ, ამავე შერეულ ფუძეთაგან ჩანს მომდინარე ხევსურულის აბსოლუტური (სტატიკური) და რელატიურ-გარდაუვალი და გარდამავალი ზმნების პირველი თურმეობითის მე-3 პირის დაბოლოებები:

ერთი მხრივ: ღბავ-ი-ს, ხყრავ-ი-ს, მაუმკავ-ი-ს...

მეორე მხრივ: შახყრივ-ა-ს (< შახყრივ-არს — ალ. ჭინჭარაული), ზდგმივ-ა-ს...

მ ა ი ა ბ ა რ ა მ ი ძ ე (ბათუმი)

ექსპედიცია ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან

(წინასწარი მოხსენება)

2012 წლის ივლისში რსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მუდმივმოქმედი ექსპედიცია პროექტის — „მუჰაჯირები“ ფარგლებში სწავლობდა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოდან თურქეთში წასული ქართველი მოსახლეობის შთამომავალთა ყოფას, კულტურას, მეტყველებას, ფოლკლორს.

აჭარის სხვადასხვა რეგიონიდან წასულები — აჭარელი, მაჭახლეელი, ქობულეთელი... მუჰაჯირები თურქეთის ტერიტორიაზე საცხოვრებლად ირჩევდნენ ისეთ ადგილებს, რომლებიც ბუნებრივი პირობებით ჰგავდა მათ მშობლიურ კუთხეს; კომპაქტურად დასახლებულები იცავდნენ და იცავენ თავიანთ ტრადიციებს, ენას; უფრო ზუსტად, თავიანთი კუთხის მეტყველების თავისებურებებს.

ექსპედიციამ იმუშავა ორდუს ვილაიეთის მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლებში.

მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში გამოიყოფა სხვადასხვა კილოკავი: ქობულეთური, ზემოაჭარული, მაჭახლური. განსხვავებაზე ამ კილოკავთა შორის თვით იქაურები ლაპარაკობენ, მაგ. ჩურუქსუელმა მთხრობელმა აგვიხსნა: „**კაკალი**“ — *ჩვენ ვიტყვით „ნიგოზი“; ჩვენთან: „აქ მოი, ცაფ“*, აჭარლები და ჩემი გოგოს სოფელში: „**მოი, გოფ“**; ჩვენ ვიტყვით „**ბაწარი**“, აჭარლები — „**თოკვი**“, „**ფიცარი**“ — ჩვენ სოფელში „**ძელი**“, ფიცარი არაკაცმა არ იცის.

მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველებაში დაცულია ის თავისებურებები, რომლებიც დღესაც დასტურდება იმ რეგიონების მეტყველებაში, საიდანაც არიან წასულები მათი წინაპრები. რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, მათ მეტყველებას დაუცავს ზოგიერთი ისეთი მოვლენა, რომელიც აჭარულსა და შავშურში დავიწყებას მიეცა.

ურთიერთობის გაფართოებამ, გათხოვება-დაქორწინებამ აღნიშნული კუთხეების მეტყველებაში ზოგი რამ შეცვალა: გაჩნდა პარალელური ფონეტიკური, გრამატიკული ფორმები, ლექსიკური ერთეულები. ასე, მაგალითად: ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში დასტურდება მაჭახლური კილოკავის ნიმუშები და პირიქით.

მუჰაჯირთა შთამომავლების ქართულშიც შავშურისა და კლარჯულის მსგავსად გვხვდება ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების შემთხვევები: **ადგა** — ხმარებიდან გავიდა; **გავაქციე** — მოვიტაცე; **საქმობს** — მუშაობს, მსახურობს; **ცქვითად** - ჩქარა, სწრაფად...

შავშურისა და კლარჯულისაგან განსხვავებით მუჰაჯირთა შთამომავლების ქართულში შედარებით ნაკლებია თურქიზმები. ასე, მაგალითად: **მაიდანოზი (ონრახუში), ახრაბა (ნათესავი), თორუნ (შვილიშვილი)...** მუჰაჯირებთან მათ ენაცვლებათ: **მაკილო, მონათესი, ბადიში...**

მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების კვლევა მხოლოდ დაწყებულია. ძირითადი და დიდი სამუშაო წინაა.

მოსე ჯანაშვილი „ინგილოური ლოლათის“ შესახებ

მოსე ჯანაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა მრავალფეროვანია. მის მრავალრიცხოვან შრომებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია „საინგილოს“, რომელიც 1913 წელს ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო კრებულში დაიბეჭდა („ძველი საქართველო“, ტ. II, განყ. IV, ეთნოგრაფია, გვ.51-276) ნაშრომში საინგილოს შესახებ ინფორმაცია თემატურად არის წარმოდგენილი. მონოგრაფიის ერთ-ერთ თავში „ინგილოური ლოლათი“ ვრცლად არის განხილული ინგილოური დიალექტის თავისებურებები. ავტორს „ლოლათი“ შემდეგნაირად აქვს განმარტებული: ლოლათ — ლაპარაკი, კილო, საუბარი, ბერძნ. (ლოლოს). დიალექტის ლინგვისტური ანალიზის შემდეგ ნაშრომს დართული აქვს ინგილოური ტექსტები და ლექსიკონი.

დასახელებული ნაშრომის პირველი მეცნიერული შემფასებელი პროფ. აკაკი შანიძე იყო. იგი თავის რეცენზიაში წერს, რომ მოსე ჯანაშვილის „საინგილო“ პირველი ფუნდამენტური წიგნია ამ კუთხის შესახებ. იქვე დასძენს, რომ ნაშრომის ლინგვისტური ნაწილი ჩაფიქრებულია კარგად, თუმცა შესრულებულია სუსტად. მისი აზრით, თვალშისაცემია ისიც, რომ ლექსიკონიც ნაჩქარევადაა შესრულებული.

ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტექსტებისა და ლექსიკონის ლინგვისტური დამუშავება და რედაქტირება, ამ მასალის განთავსება დიალექტურ კორპუსში, მათი ინტეგრაცია სხვა დიალექტურ ტექსტებთან.

მასალის ანალიზისას გამოვლინდა ინგილოური დიალექტისათვის უცხო ფონეტიკურ-ფონოლოგიური, მორფოლოგიური პროცესები და ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ვრცლად წარმოვადგენთ მოხსენებაში აკაკი შანიძის რეცენზიასთან ერთად.

ზმნის პირიანი და უპირო ფორმები ნიგალში

ნიგალის ხეობა ტაო-კლარჯეთში გამოჩნეულია. ამ რეგიონში მცხოვრებ ქართველებს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ მშობლიური ენა, აქ ქართული დღესაც ცოცხალია და განაგრძობს არსებობას.

ნიგალის ხეობის მოსახლეობა ისტორიული ბედუკუდმართობის გამო წლების წინ აყრილა მშობლიური ადგილებიდან და თურქეთის სხვადასხვა ქალაქში გადასახლებულა. ასიმილაციის კვალი ატყვია იქაურთა მეტყველებას.

ნიგალური ქართული მრავალმხრივ იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ქლასკურის მურღულისა და დევესკელის ხეობებში შემორჩენილია უძველესი ქართული ლექსიკური ერთეულები, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა ზმნური ფორმები.

ჩვენი მოხსენების მიზანი სწორედ ნიგალის ხეობის ჩვენებურთა მეტყველებაში ზმნურ ფუძეში მომხდარი ცვლილებების გამოვლენაა. შეძლებისდაგვარად შევეცადეთ ნიგალური ზმნები შეგვედარებინა სხვა სამხრული კილოების ზმნებთან.

ზოგან ზმნის ფორმა მთლიანად ქართულია, ზოგან ძირი თურქულია, აფიქსები-ქართული. თვალშისაცემია ზმნებში ზმნისწინთა და თემისნიშანთა მონაცვლეობის შემთხვევები.

1. ა) ზმნები ქართული ფუძით:

„ბახშინ დაბენ დოდოფალს (ბახშინი-საჩუქარი) (დევესქელი);

„ვიპარიკოთ // ვიჭუჭუნოთ“;

„უწინდელი რაცხაები ვიპარიკოთ“ (ბაგინის იაილა);

„მეიყარენ და თქვეს ვიჭუჭუნოთო“ (ბაგინი); შდრ. ჭუჭუნიტკბილად ლაპარაკი (გურ.იმერ.აჭარ.).

კოჭ-ავ-ს (კინავს) კრავს, გრეხს, აბამს — „იმის მემრე კინას კოჭავს“ (დევესქელი) შდრ. **კოჭვა** (გურ.) შეკოჭვა, შეკვრა (ალ. ლლონტი).

მოჭიჭყ-ავ-ს — მოზელს, აურევს: „დააცხებ და მოჭიჭყავ“ (დევესქელი); შდრ. ჭიჭყვა (აჭარ.) — შემოკვრა.

მიუუთქმ-ებ-ენ-სიმღერას მოუთქვამენ//მიუთქვამენ/მიუთქვამენ;

მიუუენ-ევ-ს — მიუშენებს;

შეგხუდ-ავთ — ყურადღების მიქცევა: „თქვენი საკადრი ვერ შეგხუდავთ“ (არავეთი);

ბ) სანელზმნა ქართული ფუძით:

მასხრუბა — მასხრობა, ხუმრობა: „ემიაშვილი მყავა, მასხრუბა უყვარდა“ (დევესქელი);

მოწორება — მოსწორება: „სუალი მოწორება იქნება“ (დევესქელი);

მოქსონილი — მოქსოვილი: „ჩვენი მოქსონილი არაა, ისტამბოლიდან იყიდებენ“ (ხება);

2. ზმნის ძირი თურქულია, აფიქსი-ქართული:

გა-ა-ყირმზ-ავ-ს = (თურქ. kirmizi) — წითელი; შეაწითლებს, გააწითლებს: „მიწინაბ **გავაყირმიზავთ**“ (ბაგინის იაილა);

გა-დუზ-ავ-ს = გაასწორებს (duz-სწორი): „იმის მემრე ბეტონს დავასხავთ, **გავდუზავთ**“ (დევესქელი);

გუ-უ — ჰაზირ-ებ-ს = მოუძნადებს (hazir — მზად): „საჭმელი გუუჰაზირე“ (ხება);

გა-სირ-ავ-დ-ებ-ა = რიგში ჩადგებიან (sira — რიგი): „არაბები **გასირავდებიან**“ (დევესქელი);

ა-ბანშიშ-ებ-ენ = ასაჩუქრებენ (bahşıs — საჩუქარი); „მემრე სიზეს აბანშიშებენ“ (ხება);

საინტერესოა ზმნის პარალელური ფორმები:

ისამებენ // ტანს იქმენ = იცეკვებენ: „ხალხი ტანს იქმენ“ (დევესქელი);

ხშირად ზმნის უპირო ფორმასთან პირიანი ფორმაა დართული:

ჭმევა არიან // არიან ჭამა = საჭმელს აჭმევენ (თეთრიწყლის იაილა);

მოხსენებაში ვრცლად იქნება განხილული ნიგალის ხეობის ზმნის პირიან და უპირო ფორმათა თავისებურებანი.

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა (თბილისი)

ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან — VI. საომარი იარაღის აღმნიშვნელი ლექსიკა

საუკუნოვანი ისტორიული ურთიერთობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ქართველურსა და აფხაზურში მრავლად იძებნება საომარი იარაღის აღმნიშვნელი საერთო ლექსიკა. საუკუნეების მანძილზე საბრძოლო საჭურველი ისტორიული ვითარების შესაბამისად იცვლებოდა, იცვლებოდა მისი აღმნიშვნელი ტერმინებიც. ისტორიული რეაქციები მკაფიოდ აისახა ენობრივ მასალაში.

ტერმინთა ერთი ნაწილი აფხაზურში ქართულიდანაა შეთვისებული და აღრინდელ ნასესხობას წარმოადგენს:

ბოძალი „ორწვერა ისარი“, **ბორზალი** (მეგრ.) „ბოძალი, ორწვერა ისარი; შუბი“, **ბოზალ** (სვან.) „id“ > **ა-ბერზალ** „ორღესული შუბი“. სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული.

მაჭახელა „კუთხ. (იმერ. გურ.) კაჭიანი თოფი“; > **ა-მაჩხალ** „აფხაზური თოფის (!!!) განსაკუთრებული სახეობა“ (შაყრილი, 1986, 436); აფხაზური ფორმა ქართულიდანაა შეთვისებული. დასავლურ დიალექტებში კარგად ცნობილი **მაჭახელა** აჭარაში, სოფ. მაჭახელში მზადდებოდა, აქედან მოდის მისი სახელწოდებაც.

ფილთა „კუთხ. (იმერ. გურ.) „იგივეა, რაც ფილთა თოფი“ **ფილთა** (მეგრ.) „ფილთა“, **ფილითაჲ / ფილითაჲ / ფილთა / ფილითაჲ** (სვან.) „ფილთა თოფი“ > **ა-ფილთა** „ფილთა, ფილთა თოფი“. ბზიფურში ამ მნიშვნელობით გვხვდება **ა-მაჯირ**; აბჟურში შეთვისებულია ქართულიდან.

ფრანგული „ძვ. ერთგვარი ხმალი“ > **ა-ჩრანგ** „1. ხმლის სახეობა, 2. თოფის სახეობა“, 3. ფოლადის სახეობა“; „უმაღლესი ხარისხის ფოლადი“. ვვარაუდობთ, რომ აფხაზური ფორმა ქართულიდანაა შეთვისებული.

ქართულის მეშვეობით უნდა იყოს შეთვისებული აფხაზურში საჭურველის აღმნიშვნელი აღმოსავლურენოვანი სამყაროს კუთვნილი რამდენიმე სიტყვა:

სპარს. **abzâr / afzâr / avzâr** > ქართ. **აბჯარი**, მეგრ. **ანჯარი** „რკინული სამუშაო იარაღი“, სვან. **აბჯარ / ჰაბჯარ** „აბჯარი“ > აფხ. **აბჯარ** „საომარი იარაღი“;

სპარს. **xan al** > ქართ. **ხანჯალი** > აფხ. **ა-ჰანჯალ** „დიდი დანა“;

სპარს. **ბეჰბუდ** „საომარი დანა“ > ქართ. **ბებუთი** > აფხ. **ა-ბებუთ** „ბებუთი“;

სპარ. **ჯაყუ** „პატარა დანა“ > ქართ. **ჯაყვა** „ჯიბით სატარებელი პატარა, დასაკეცი დანა“, მეგრ. **ჯაყვა** „დანა“, სვან. **ჯაყუ / ჯაყუაჲ** „ჯაყვა, ჯიბის დანა“ > აფხ. **ა-ჯაყა** (აბჟ.) (ჯანაშია, 1954, 447) / **ა-ჩაკე** (ბზ.) „ჯაყვა, ჯიბის დანა, კალმის დანა“;

თურქ. **silâh** „იარაღი“ > აჭარ., გურ. **სილაჟი / სილაღი** > აფხ. **ა-შაჟ** „თოფი“. მართალია, თურქიზმები აფხაზურში ძირითადად უშუალოდ თურქებთან ურთიერთობის შედეგად ჩნდებოდა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში აფხაზური ფორმის აუსლაუტის პალატალიზებული უკანაენისმიერის გაჩენა გვავარაუდებინებს, რომ ის ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშნის რეფლექსი უნდა იყოს.

შედარებით ახალი ნასესხობებია ორსავე ენობრივ ერთეულში შემდეგი სიტყვები:

ზარბაზანი [სპ. ზარბაზან] „მსხვილი ყალიბის ცეცხლსასროლი იარაღი, ქვემეხი“, **ზაბარზანი** (მეგრ.) „ზარბაზანი“ — **ა-ბზარბზან** „ზარბაზანი“. გ. მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ აფხაზურში ქართულიდანა ნასესხები.

ლადუმი „ზოგი ფეტქებადი ნივთიერების საერთო სახელი“, **ლა-დუმი** (მეგრ.) „ნაღმი, დინამიტი“, **ლადუმ** (სვან.) „ნაღმი“ — **ა-ლადუმ** „ლალუმი“ (ჯანაშია, 1954, 168); ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ აფხაზურისთვის სესხების შუალედური რგოლი ქართულია.

ნაგანი „ერთგვარი სისტემის მბრუნავცილინდრიანი რევოლვერი“ — **ა-ნაგან, ანაგან ტაპანჩა** „ნაგანი“.

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შევიდა ქართველურსა და აფხაზურში არაბ.-სპარს. **ყამა**. შდრ.: **ყამა** (გურ.) „მრგვალწვერა სატევარი“, **ყამა** (მეგრ.) „ხანჯალი“, **კამა** (ლაზ.) „დიდი დანა, ხანჯალი“ — **ა-ყამა** „ხანჯალი, სატევარი. სიტყვა გვაქვს კავკასიის მრავალ ენაში: **ყამა** (აბაზ.) „ხანჯალი“, **ყამა** (ყაბ.), **ყამა** (უბიხ.), **ღამა** (ჩეჩნ.) „ღაშნა“, **ყამა / ყამა** (ოს.) „ხანჯალი“.

ჩვენ შეგნებულად ავარიდეთ თავი ორსავე ენაში უახლოესი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე შეთვისებულ საჭურვლის აღმნიშვნელ სიტყვების განხილვას. ამ შემთხვევაში სესხების მიმართულებით კვლევა ჭირს და მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა ნაკლებია.

შ ა ლ ვ ა გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა (თბილისი)

ხორბლეულის აღმნიშვნელი ორი სიტყვის შესახებ ქართულში („დოლი“, „პური“)

სამეცნიერო ლიტერატურაში საქართველოზე, როგორც ხორბლის უძველეს კერაზე მსოფლიოში, ბევრი არის დაწერილი, რაც სხვადასხვა პროფილის მეცნიერების შედეგებით დასტურდება. სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია ხორბლის 14 ენდემური და 130 სახესხვაობა, რომელთაგან ზოგიერთი ეკოტიპი მხოლოდ საქართველოში გვხვდება.

მოხსენებაში საუბარია ქართულში ცნობილი პურეულის ორი სახელის შედგენილობა-წარმომავლობაზე და სხვა სისტემის ენებში ფონეტიკურად და მნიშვნელობით მსგავს ტერმინებთან მათ ურთიერთობაზე.

1. დოლი, დოლის პური

„ხორბლეულის ჯიში,, დოლი :უჭვავო იფქლი“ (ს.ს.ორბელიანი)

„რბილი, საშემოდგომო ხორბალი“

დოლი ფუძის არმოდწეული ვარიანტი დილი სავარაუდოდ გამოიყოფა სიტყვაში ქრთილი („საშემოდგომო ქერი“), რომელიც მიღებული ჩანს კომპოზიტ *ქერ-დილიდან (ქერ-იფქლი). თავის მხრივ, ქერ-დილი *ქერდოლისგან უნდა მომდინარეობდეს ქერ-დოლი > ქერ-დუ-ლი > ქერდილი (ო.კახაძე); დოლი რაჭულ დიალექტში დოლა ფორმითაცაა ცნობილი. დოლს უკავშირდება ტოპონიმი დოლის ყანა. შესაძლოა, დოლი და დოლადან მომდინარეობდეს პირის სახელები დოლი და დოლა, რომლებიც გვარსახელებში-დოლიძე, დოლიშვილი, დოლაბერიძეში უნდა იყოს ამოსაცნობი.

ქართულ სიტყვად მიჩნეული დოლი (ი.ჯავახიშვილი) სხვა ენებშიცაა გადასული: რუსული დიალექტური(სარატოვი) „მარცვალში პურეული ნივთიერება“, ოსური ვ 1 , ვი „ხორბლის პური“, დარგუული c'uli, აკუმურ დიალექტში zulha „პური“. ქართული დოლი, დიალექტური დოლა > ჩუვაშური tul, tula „ხორბალი“, „ასლი“.

2. პური

პური როგორც ძველი, ასევე ახალი ქართული ენის ლექსიკის აქტიურ ფონდს მიეკუთვნება. ქართულ სალიტერატურო ენაში ამ სიტყვის ორი მთავარი მნიშვნელობაა: 1. პური (ხორბლეულის მოზე-ლილი ფქვილისგან გამომცხვარი ადამიანის საკვები) 2. ხორბალი თრიტიცუმ (შდრ. პურის ყანა) .

ეს ტერმინი სხვადასხვა ფორმით ფართოდაა გავრცელებული ინდოევროპულ ენებში, განსაკუთრებით კი სლავური და ბალტური შტოების ენებში , სადაც იგი ძირითადად მცენარეს („ხორბალი“, „ჭანგა“, „ასლი“) აღნიშნავს. ძველი ბერძნული puros „ხორბალი“ , სანსკრიტი, ჰინდი p ri „კვერ“ („პური მრგვალი“ — ს. ს. ორბელიანი).

განსახილველი სიტყვის წარმომავლობაზე ორი თვალსაზრისია გამოთქმული: ა.ნასესხობა ბ. ძირეულ ქართულია.

ა. ბერძნული წარმომობისა (ი.ჯავახიშვილი, გ. მელიქიშვილი, ო.კახაძე, რ. გორდეზიანი), რომელიმე ინდოევროპული ენიდანაა ნასესხები (ვ. გეორგიევი), პელასგურიდან არის შეთვისებული (ი. კარსტი). მოხსენების ავტორის აზრით, puros ძველ ბერძნულ ენაში სუბსტრატული პელასგური ფუძეა, რომელიც ქართულმა ენამ შემოინახა.

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი, რომლებიც პურეულის ამ სახელს ინდოევროპულ ენათა მასალის მიხედვით გააანალიზეს, ფუძის წინასახედ *phur ივარაუდეს. მათ por მიგრაციულ ტერმინად მიაჩნიათ თურქულ ენებში .

ბ. ქართული სიტყვაა, რომელიც ქართველურ ენათა მონაცემებით შიძლება აიხსნას (გ. როგავა, ა. ონიანი, ა. ურუშაძე, მ. ჩუხუა). „პური“ შედარებულია ქართველურ დიალექტებში ცნობილ სხვადასხვა სიტყვასთან. დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლურ დიალექტებში შესულადაა მიჩნეული პოშოლა „ხორბლეულის სახეობა“ („ჩვეულებრივი (რბილი) ხორბლის საგაზაფხულო უფხო ჯიმის სახელწოდება ქართლსა და კახეთში — ქეგლ VI 276), (დიალ.) (ქიზი-

ყური) პოშოლა, პროშოლა „პურეულის ჯიმი“, „პოშოლა, მახა (ლეჩხუმური) პურის ჯიშია, გრძელი და ბრტყელი თავთავი იცის“. სხვა მოსაზრებით, ქართული „პურის“ შესატყვისი არის სვანური პუშ („ერთგვარი საჭმელი ბალახი“). მეცნიერთა აზრით, აქ ქართველური ენებისთვის დამახასიათებელ რ:შ ბგერათმონაცვეობასთან გვაქვს საქმე, რომელიც მორფოლოგიური შესატყვისობაა (გ. როგავა), ფონეტიკური ხასიათისაა (ა. ონიანი).

განსახილველი ტერმინი სხვადასხვა ფორმითა და „პურის“ მნიშვნელობით დასტურდება უპირატესად ე.წ. სამხრეთარაბულის რამდენიმე ენაში: ჰარასუსი, მეჰრი, შაჰრი, იემენური, კუნძულ სოკოტრის არაბულ მეტყველებაში შემდეგი მნიშვნელობებით: „მარცვალი“, „სიმინდი“, „ხორბალი“: ბორ — სოკოტრი, ბოჰრ — შაჰრი, ბერ — მეჰრი, ბერრ — ჰარასუსი. აღნიშნული მნიშვნელობით და ბარ ფორმითაა ცნობილი იგი ძველ ებრაულში. ბურ „ხორბლის“ მნიშვნელობით დამკვიდრდა არაბული სალიტერატურო ენის ლექსიკურ ფონდშიც .

ხორბლეულის სახელთა „ეპიცენტრიდან“ — საქართველოდან სემიტურ ენობრივ სამყაროში შესვლის თვალსაზრისით მხედველობაშია მისაღები აგრეთვე მიწათმოქმედების ისეთი მნიშვნელოვანი იარაღის ქართული სახელის სემიტურ ენების ლექსიკურ მარაგში შესვლა, როგორიცაა ნამგალი > არაბული მინჯალ.

ჩუვაშთა წინაპრების ვოლგისპირეთში მიგრაციის შედეგად p r, boray ფორმით შეითვისა რამდენიმე ყივჩაღურმა ენამ: ჩუვაშური, თათრული, ბაშკირული, ყაზახური შედგენილი boray-ს სახით, რომელიც, როტაციზმით ჩუვაშურს ემსგავსება და ამდენად იგი ერთი მხრივ ჩუვაშური p r -ისა და მეორე მხრივ საერთო თურქული bu - day- ს კონტამინაციით მიღებული გვგონია .

უნგრელთა წინაპრების ურალში ცხოვრებისას მათი ჩუვაშებთან კონტაქტების დროს ძველი ბულგარულიდან r>z გადასვლით „ხორბლის“ მნიშვნელობით უნგრულ ენაში დამკვიდრდა b za.

ჩუვაშურიდან სიტყვა იმავე ფორმითა და მნიშვნელობით ისესხა მეზობელმა ფინურ-უგრულმა ენამ - ჩერემისულმა (მარიულმა). იგივე ტერმინთან უნდა გვეკონდეს ასევე ვოლგისპირელი მონღოლების ყალმუხთა ენაში bayr „ასლი“ , შდრ. აგრეთვე კორეული pore „ქერი“..

ი. ჯავახიშვილი თავდაპირველ მნიშვნელობად „საკვებს“ ვარაუდობდა. ჩვენი აზრით, განსახილველი ქართული სიტყვის წინარესახე სავარაუდოდ უნდა იყოს *პური, ამოსავალი სემანტიკა კი „ხორბლის სახესხვაობა, პური... ვარაუდს სხვა სისტემის ენებში (ინდოევროპული, სემიტური, ალთაური) შესული ქართული ფუძის ზემომოყვანილი მნიშვნელობებიც ამყარებს. ამ კუთხით გასათვალისწინებელია წინაბერძნული ტოპონიმებიც:

ქალაქი კ. კრეტაზე, რომელიც თავისი შედგენილობით „ხორბლიანს“ ნიშნავს. ბერძნულ -ნთ სუფიქსს შეესატყვისება ქართული დაბოლოებები -იან-თა, ან-თა, -თა: გურიანთა, ბიჭვინთა, წუნდა და სხვ., აგრეთვე ქალაქი თე-სალიაში.

მოხსენებაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ხორბლეულის სამშობლო საქართველოა. ინდოევროპულ, აფრაზიულ, ალთაურ ენებში ძირითადად „ხორბლის“ მნიშვნელობით ცნობილი სიტყვებისთვის ამოსავალი ქართული ტერმინი „პური“ არის. ხორბლის სახეობის მეორე სახელწოდება „დოლიც“ ქართულიდანაა წადებული როგორც მეზობელ ხალხთა ენებში (ოსური, დარგუული), ასევე ჩრდილოეთით — ვოლგისპირეთში მცხოვრებ ხალხთა ენებსა და კილო-კავებში.

ამ ენათმეცნიერულ მოსაზრებას მეცნიერების სხვა დარგების-ბოტანიკის, გეოგრაფია-ეკოლოგიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის მონაცემებიც უჭერს მხარს.

ლელა გიგლემიანი (თბილისი)

კითხვითი და მიმართებითი ზმნისართები სვანურ დიალექტებში

კითხვითი და მიმართებითი ზმნისართები, ადგილის, დროისა და ვითარების ზმნისართების მსგავსად, სვანური ენის დიალექტებში მნიშვნელოვან სხვაობებს გვიჩვენებს, რომელთა რაოდენობა საკმაოდ მრავალფეროვანია.

მოხსენებაში განხილული იქნება აღნიშნულ ზმნისართთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი.

1. კითხვითი ზმნისართები: **იმეგ||იმე** (ზს., ქს.) „სად“, **იმთე** (ბზ., ბქ., ლზს., ჩოლ.), **იმოხ** (ლნტ.) „საით, საითკენ“, **იმხან** (ბზ.), **იმხენ** (ბქ.), **იმეხ**, **იმეხენ** (ლნტ.) „საიდან“, **იმჟი** (ზს., ქს.), **იმჟინ** (ბზ., ლზს.) „როგორ“, **იმლა** (ზს., ლზს., ჩოლ.), **იმალა** (ლნტ.) „რატომ“, **შომა** (ზს., ქს.), **შომჟა||შომჟა** (ბზ.), **შომჟ** (ბქ.) და ა. შ.

რამდენიმე სვანურ კითხვით ზმნისართში გამოიყოფა ფუძისეული **იმ-ელემენტი**, რომელიც წარმოშობით ნაცვალსახელური ფუძეა.

2. მიმართებითი ზმნისართები: **იმჟნა** (ბზ.), **იმგჟნა**, **იმგჟნ** (ბქ.), **იმჟნა||იმე** (ლზს.), **იმანა||იმე** (ლნტ.) „სადაც“, **შომჟნა** (ბზ.), **შომჟნ||შომა** (ბქ.), **შომჟნა** (ლზს.), **შომჟნა** (ლნტ.) „როცა, როდესაც“, **იმჟნაჟი** (ბზ.), **იმგჟნაჟი** (ბქ.), **იმჟნაჟი** (ლზს.), **იმანაჟი** (ლნტ.) „როგორც“ და სხვ.

მიმართებითი ზმნისართები სვანურში, ისევე როგორც ქართულში, კითხვითი ზმნისართებისაგან ნაწარმოებად მიიჩნევა, მათში მაწარმოებლად გამოიყოფა **-ი**, **-ე**, **-ჟნა** ნაწილაკები (ვ. თოფურია). აღნიშნული ზმნისართები, როგორც ცნობილია, რთულ წინადადებაში კავშირებად გამოიყენება.

გიორგი გოგოლაშვილი (თბილისი)

ბესარიონ ჯორბენაძე და ქართული დიალექტოლოგიის საკითხები

ქართული დიალექტოლოგია ბესარიონ ჯორბენაძის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი სფეროა.

თავისი ფუნდამენტური მონოგრაფიებითა — „ქართველური ენები და დიალექტები“ (1995), „ქართული დიალექტოლოგია“ (ტ. I — 1989, ტ. II — 1998, III ტ. გამოსაცემია) — თუ ცალკეული გამოკვლევებით ბ. ჯორბენაძემ ფაქტობრივ შეაჯამა დიალექტოლოგიური

კვლევა-ძიების ის ეტაპი, რომელსაც მე-20 საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა აკაკი შანიძემ.

თავისი მოღვაწეობით ბ. ჯორბენაძემ სათავე დაუდო ჩვენში დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების ახალ ეტაპს.

თ ა მ ი ლ ა გ ო გ ო ლ ა ძ ე (გორი)

გრიგოლ რობაქიძე ქართული ენის შესახებ

1. გრიგოლ რობაქიძე ერთი იმ მწერალთაგანია, რომლისთვისაც ქართული ენის საკითხები თითქმის აუცილებელი შემადგენელია ჰიპოსტატისა, ილია ჭავჭავაძემ რომ ჩამოაყალიბა: „ენა, მამული, სარწმუნოება“. თუმცა იმ განსხვავებით, რომ თითოეული მათგანის უკან, რობაქიძე ქართველი ერის სრულ ისტორიას გაისიგრძეგანებს წარმართული ეპოქიდან XX საუკუნემდე, ასე წარმოგვიდგება კიდევ მისი შეხედულებანი ქართულ ენაზე, ქართული სიტყვის ეტიმოლოგიაზე პუბლიცისტურ თუ ლიტერატურულ წერილებში „საქართველოს ხერხემალი“, „მზის ხანა ქართველთა“, „საკრალური წყობა“, „დავით აღმაშენებელი“, „მარჯი საქართველოს“, „მიხეილ წერეთელი“ და სხვა.

2. 1950 წელს მოსკოვში გამართულ დისკუსიაზე ენის დეფინიციისათვის ენგელსისეული ფორმულის (ენა „საშუალება ურთიერთმორის გაგებინებისა“) საპირისპიროდ, გრიგოლ რობაქიძე გამოკვეთს ენის იმ სპეციფიკურ თვისებას, როგორცაა მისი სააზროვნო ფუნქცია და მოუწოდებს ქართველ ერს ჩაწვდეს საქართველოს ცოცხალ ფესვებს: „მის გენიალურ ენას, მის უნივერსალურ მითოსს, მის ჰეროულ თავგადასავალს, მის ხალას სტილს, მის სიცოცხლისა“;

3. სწორედ აქედან გამომდინარე, მწერალი ცდილობს, თითოეული თუ არა, ზოგიერთი ქართული სიტყვის არსი ჯერ კიდევ წარმართულ ეპოქაში მოიძიოს. ამის მაგალითად გამოდგება ფრზეოლოგიზმების „თვალი მზიური“, „თვალი ჩასული მტევანში დაკავშირება ქართველთა უძველეს სათაყვანო სიმბოლოსთან, მზესთან; „ცხ“ კომპლექსის მაგიური საწყისების გამოვლენა სიტყვებში: „სიცოცხლე“, „ცე-

ცხლი“, „მღვდელისა“ და „ლუდვის“ წარმომავლობა კავშირის ძიება და სხვა.

4. მიმოიხილავს რა ნიკოლო მიწიშვილის წერილს „ფიქრები საქართველოზე“, გრიგოლ რობაქიძე მთაწმინდელების თარგმანს „ენის-ქმნას“ უწოდებს და გამოკვეთს მათ გენიალობას;

5. დიალექტთან მიმართებაში გრიგოლ რობაქიძე მეტ-ნაკლებად თავისუფალია, რამდენადაც სწორედ პროვინცალიზმში ხედავს ერის მთლიანობას. და ამავდროულად, მისი სხვადასხვა კუთხის ორიგინალობას. ამისი დასტურია მინიშნება დავით კლდიაშვილისათვის დამახასიათებელ იმერიზმზე „უცნოურია“ (დავით კლდიაშვილი), „ბოვუ-შოო“ მიხეილ წერეთელზე მოგონებიდან ერთ ეპიზოდზე („მიხეილ წერეთელი“), რასაც გრიგოლ რობაქიძე უწოდებს „ზემოიმერული კილოს“ ერთგვარ „აკამათლებას“ (აღნიშნულ სიტყვას „ბავში“ თვით მწერალიც იყენებს არაერთგზის თავის წერილებში);

6. მიხეილ წერეთლის კვლევას ქართულისა და შუმერულის ნათესაობის შესახებ გრიგოლ რობაქიძე, ერთი მხრივ, საყურადღებოდ მიიჩნევს და აყენებს მეტად საინტერესო შენიშვნებს ქართულის, როგორც „უპირვანდელესი“ ენის შესახებ.

თ ა მ ა რ გ უ ზ უ ა (ქუთაისი)

ქართული ენის კომპოზიტა მოდელები უშუალო შემადგენლების ანალიზის მეთოდის მიხედვით

ამერიკული დესკრიფციული სკოლის წიაღში შემუშავებული უშუალო შემადგენელთა მეთოდი, მართალია, ანალიზის მეთოდად კი იწოდება, მაგრამ ამ მეთოდის პროცედურებში გარკვევისას ცხადი ხდება, რომ აქ საქმე უფრო აღწერასთან გვაქვს, ვიდრე ანალიზთან; აქ მთავარია ენობრივი ფაქტების რეგისტრაცია და არა რაიმეს განმარტება. როცა რთული სიტყვების უშუალო შემადგენელთა მიხედვით აღწერას მოვანდენთ, სემანტიკისთვის გვერდის ავლა მოგვიხდება. განსაკუთრებით თვალშისაცემი ეს ნაწარმოები სემანტიკის მქონე

და უნიკალური შემადგენლის შემცველი რთული სიტყვების აღწერისას ხდება, რადგან ასეთ კომპოზიტებში კომპონენტებს შორის არანაირი მოტივირებული კავშირი არ ჩანს. მაგალითად, შდრ. *ჭირნახული*, როგორც მოსავალთან დაკავშირებული სიტყვა და *ჭირ ნახული/ჭირ ნახი...* მსგავსი, მეტაფორიზაციის გზით მიღებული კომპოზიტებია: *გულმოსული*, *გულწასული*, *გონებადამჯდარი*, *ენამზე* და ა.შ.

ჩვეულებრივ, უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის მეთოდი ტერმინალურ თუ არატერმინალურ ელემენტთა აღწერას შესაბამისი სიმბოლოებით ახდენს, თუმცა კომპოზიტთა დაშლისას მათი ნაწილი ვერ გამოგვადგება, ნაწილის შემოღება კი ჩვენვე მოგვიხდება. მოკლედ, რთული სიტყვების ელემენტებს შემდეგი სიმბოლოებით აღვწერთ:

კომპოზიტი — C, არსებითი სახელის ჯგუფი — NP, ზედსართავი სახელის ჯგუფი — AP, არსებითი სახელი — N, ზედსართავი სახელი — A, რიცხვითი სახელი — NUM, ზმნიზედა — Adv, ბმული ფორმა — B, სადერივაციო აფიქსი — D, „და“ კავშირი — cop.

დაშლის თვალსაზრისით საინტერესოა კოპულატიური კომპოზიტები. როგორც ვიცით, ტოლად შერწყმული სახელები, ჩვეულებრივ, დეფისით იწერება. „და“ კავშირის ფუნქციას ასეთ რთულ სიტყვებში სწორედ დეფისი ასრულებს. უშუალო შემადგენლებად დაშლისას რა ვუყოთ დეფისს, როგორც ნაგულისხმევ უშუალო შემადგენელს — „და“ კავშირს?

ამ საკითხს მივყავართ მეთოდის ისეთ პრობლემამდე, როგორცაა დამხმარე სიტყვის მდგომარეობის განსაზღვრა: ჩავთვალოთ ის დამოუკიდებელ უშუალო შემადგენლად თუ ერთ-ერთ უშუალო შემადგენელს მივაკუთვნოთ? თუ ამ უკანასკნელ ვარიანტს ავირჩევთ, ასეთი კითხვის წინაშე აღმოვჩნდებით: რომელ უშუალო შემადგენელს მივაკუთვნოთ? ქართულში საკმაოდ გვაქვს მაერთებელი კავშირები და არა მხოლოდ გვაქვს, ვიყენებთ კიდევ. როცა მოცემულია ასეთი კონსტრუქცია: „მე და ღამე“, რომელს მივაკუთვნოთ „და“, „მე“-ს თუ „ღამე“-ს? ვფიქრობთ, ამგვარ კითხვა-დილემას თავიდან ავიცილებთ, თუ კავშირს დამოუკიდებელ უშუალო შემადგენლად განვიხილავთ, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ კავშირებსაც აქვთ ერთგვარი სინტაქსური ფუნქცია.

დაშლის თვალსაზრისით ასევე საინტერესოა ე.წ. უნიკალური კომპონენტის შემცველი კომპოზიტები. ტერმინი „უნიკალური ელემენტი“ ლეონარდ ბლუმფილდმა ისეთ ენობრივ ფორმებს უწოდა, რომლებიც მხოლოდ ერთ ბმულ ფორმაში გვხვდებიან. ამის რამდენიმე შემთხვევა ქართულშიც არსებობს. ასეთი რთული სიტყვების უშუალო შემადგენელთა მიხედვით დაშლისას უნიკალურ ელემენტს აღვნიშნავთ სიმბოლოთი **B (Bound form)** ანუ ბმული ფორმა, რომელიც ვერასოდეს ვერ შეგვხვდება იზოლირებულად. ასეთი ბმული ფორმებია: — *მთილი* (კომპოზიტში: დედამთილი, მამამთილი), — *პენტელა* (კომპოზიტში: ცრუპენტელა), — *ჭარტალა* (კომპოზიტში: ენაჭარტალა) და ა.შ.

მოკლედ, კომპონენტთა რაგვარობის გათვალისწინებით, თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და მის ტერიტორიულ დიალექტებში არსებული რთული სიტყვის რამდენიმე ძირითადი, აქტუალური მოდელი შეგვიძლია გამოვყოთ:

C = NP(=N) + AP(=A)

(მაგ., მთაწმინდა, კარღია, გულჩვილი, ენამჭვერი, ცეცხლმოდებული, ხელგაშლილი, ჭირნახული, ხელწასული, გზატკეცილი, თავდაჭერილი და ა.შ.)

C = NP1(N1+GEN) + NP2(=N2)

(მაგ., კარისკაცი, გულისყური, ნაცრისფერი, ერისთავი, გულისწყრომა, გულისთქმა და ა.შ.)

C = NP1(=N1) + NP2(=N2)

(მაგ., ფეხბურთი, კალათბურთი, თავსართი, თავკაცი, პირსახოცი, დღესასწაული, კინოსურათი და ა.შ.)

C = NP1(=N) + cop(*) + NP2(=N2)

(მაგ., სასმელ-საჭმელი, და-ძმა, დედ-მამა, ძალ-ღონე, ღობე-ყორე, მინდორ-ველი, დანა-ჩანგალი და ა.შ.)

C = AP(=A) + NP(=N)

(მაგ., დიდოსტატი, ბოროტმოქმედი, ბოლოსიტყვა, ბოლოთქმა და ა.შ.)

C = Adv1 + cop(*) + Adv2

(მაგ., აქა-იქ, აქეთ-იქეთ, ზამთარ-ზაფხულ და ა.შ.)

C = Adv + AP(=A)

(მაგ., წინწასული, უკანმიდევნებელი, შორსმავალი და ა.შ.)

C = NP(=NUM) + AP(N+D)

(მაგ., ორწლიანი, სამდღიანი, ერთმარცვლიანი, ერთსულოვანი, ერთუკრედიანი, ერთფეროვანი, სამყურა, მრავალძარღვა, ოთხთვალა და ა.შ.)

C = AP1(=A) + AP2(N+D)

(მაგ., კეთილზმოვანი, დიდბუნებოვანი, დიდგვაროვანი, დიდსულოვანი, დიდმნიშვნელოვანი, გრძელფეხება, დიდგულა, შავთვალა და ა.შ.)

C = AP1(=A1) + AP2(=A2)

(მაგ., შავბნელი, კეთილშობილი, ნელთბილი და ა.შ.)

C = AP1(=A1) + cop (*) + AP2(=A2)

(მაგ., ტკბილ-მწარე, ტყუილ-მართალი, შავ-თეთრი, წითელ-ყვითელი და ა.შ.)

C = NP (=N) + B

(მაგ., დედამთილი, მამამთილი, ცრუბენტელა, ენაჭარტალა, თვალთმაქცი და ა.შ.).

ეკა და დიანი (ქუთაისი)

-ც ნაწილაკიანი ფორმები ტაოურში

ტაოელ ქართველთა მეტყველებაში დასტურდება -ც ნაწილაკ-დართული სახელის ფორმები, რომლებიც გარეგნულად ნათესაობით/მიცემით ბრუნვას მოგვაგონებს, თუმცა სახელობითის ფუნქციით გამოიყენება. გვხვდება როგორც მხოლოდობითში, ისე მრავლობითში. მაგალითად:

ბიჭისაც იქ არი, **ელთისაც** იქ არი, **მაზლი** იქ არი, **მაზლისი** ღენჭები (ვაჟები) იქ არიან; **მანგალისაც** გვაქვა, **მანგალი** აგზე არი; **პირველათ** მანქანებ არ იყო, **გზასაც** არ იყო; ამისი **დედემაც** ჩეგდა იქა; **ალაპალული** (თევზის სახეობა) **დიდისაც** არი, **პატარამაც** არი; **სოლანი** (ხახვი) **წვრილ-წვრილისაც** არი; **ჩვენისაც** ქართულია, **თქვენისაც...** **კაცებისაც** მუშაობენ; **ქალებისაც** მოდიან; **მალეებისაც** (საქონელი) სახში შევლენ...

ვფიქრობთ, საანალიზო ფორმები გაჩენილია III პირის (/ჩვენებით) ნაცვალსახელთა -ც ნაწილაკიანი ფორმების ანალოგიისა და განზოგადების საფუძველზე.

საგულისხმოა ის ფაქტი, ტაოურში (განსაკუთრებით ხევას სოფლებში) **ის/ეს** ნაცვალსახელთა -ც ნაწილაკიანი ფორმებთან უმთავრესად **ა** ხმოვანია წარმოდგენილი (**ისაც/ესაც**). შდრ.: ქობაის სოფლებში სათანადო შემთხვევებში ძირითადად **ი/ე** ხმოვნები გამოვლინდება (**ისიც/ესიც**).

ხევას სოფლებში -საც ერთიან მორფემად ჩანს გააზრებული; გარდა სახელებისა, გვხვდება ზმნისართებთანაც, მაგალითად:

ი **მერესაც** ცარიელია, სამ თანე ცაიელი; **აქსაც** არი ჭესტივალი; მოხრაკავ, **ისესაც** შეჭამ...

წარმოდგენილი ფაქტები სპეციფიკური ჩანს ტაოური მეტყველებისათვის.

მოხსენებაში გაანალიზდება ტაოში 2011-2012 წლებში მოწყობილი ექსპედიციის პერიოდში ჩვენ მიერ მოპოვებული დიალექტური მასალა.

ლ ა ლ ი ე ზ უ გ ბ ა ი ა (თბილისი)

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები მეგრულ-ლაზურში

წარმოდგენილი საკითხი დამუშავებულია საგრანტო პროექტის „მეგრულისა და ლაზურის შეპირისპირებითი მორფოლოგია ძირ-ფუძეთა იდექსითურთ“ ფარგლებში.

მეგრულსა და ლაზურში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების სისტემა ქართულის მსგავსად ემყარება კითხვით ნაცვალსახელებს: **მუ** „რა?“, **მი** „ვინ?“, **ნამუ** „რომელი?“ მათი გაფორმება ხდება როგორც ნაწილაკებით, ასევე მეშველი ზმნით და საკავშირებელი სიტყვითაც, რის გამოც განუსაზღვრელი ნაცვალსახელები რთული აგებულებისა და ზოგჯერ გამჭვირვალეც კი არის რთული დამოკიდებული წინადადების კონსტრუქცია მოცემულ ნაცვალსახელურ ფორმა-

ში. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია მეგრულში, რომელიც მეტი ვარიაციულობითაც გამოირჩევა ლაზურთან შედარებით.

მეგრულში ჯერ კიდევ იოს. ყიფშიძე გამოყოფდა განუსაზღვრელი ნაცვალსახელების სამ რიგს. თანამედროვე ეტაპზეც შესაძლებელია რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა.

პირველ ჯგუფში გვაქვს მოდელი: კითხვით ნაცვალსახელს მიერთვის **-თი** „-ცა“ ნაწილაკი, რომელსაც ისტორიულად მოსდევდა **იცი** „იქნება“ მეშველი ზმნა და **-ნი** „რომ“ კავშირი (როგავა). ამ კონსტრუქციის შერწყმის შედეგად მიღებული ფორმებია: **მითინი < მითი/ი იცი ნი** „ვინმე“ (ვინც რომ იქნება); **მუთუნი < მუთი/ი იცი ნი** „რამე“ (რაც რომ იქნება), **ნამუთინი < ნამუთი/ი იცი ნი** „რომელიმე“ (რომელიც რომ იქნება). ეს უკანასკნელი წარმოდგენილია რამდენიმე ვარიანტით: ე-დაბოლოებით — **ნამუთიმე, ნამუ-**ს შეკვეცილი ვარიანტებით — **ნამთინი, ნამთინე**.

მეორე ჯგუფი განუსაზღვრელი ნაცვალსახელებისა წარმოდგენილია ნაწილაკებით: **-გი < -გა** ქართ. **-და** ნაწილაკის ფუნქციური შესატყვისია, **-და < -თა < -თი** ქართ. **-ცა** ნაწილაკის ფუნქციური შესატყვისია. მასასადამე, ქართულის ვი-ლა-ცა, რა-ლა-ცა, რომელი-ლა-ცა მასალის გათვალისწინებით ისტორიულად ასე უნდა ყოფილიყო: ***მი-გა-თი, *მუ-გა-თი, *ნამუ-გა-თი**, მაგრამ განვითარების რაღაც ეტაპზე მომხდარა ნაწილაკების გადასმა, რასაც მოჰყვა **-თ-ს** გამჟღავნება **-გა-ს** წინა პოზიციაში: ***მი-თი-გა > *მითგა > მიდგა** „ვილაცა“, ***მუ-თი-გა > *მუთგა > მუდგა** „რაღაცა“, ***ნამუ-თი-გა > *ნამუთგა > ნამუდგა > ნამდგა** „რომელიღაცა“. აღსანიშნავია, რომ ლაზურში ფონეტიკური გარდაქმნების ბოლო ეტაპი საპირისპირო მიმართულებით წავიდა. ამდენად, მივიღეთ **მიდგა, მუდგა, ნამდგა** ფორმები, თუმცა შემდგომ ამათი ვარიაციებიც გვაქვს: **მიგიდა** „ვილაც, ვინმე“, **მიდა** „იმანო“, **მუდგია** „რაღაცა, რამე“, **მუდღეფი** „რამეები, რამე-რუმეები“, **ნამდგია** „რომელიღაცა“.

ამავე ჯგუფში შემოდის მუჭომი „როგორი“ ნაცვალსახელისგან ნაწარმოები ნაცვალსახელები: **მუჭომდგია/ მუჭოიდგა/ მუჭოდგია/ მუჭოდგა** „როგორიღაცა“.

მესამე ჯგუფი ემყარება მეორეს, ანუ **მიდგა, მუდგა, ნამდგა** ნაცვალსახელები ჰქმნიან რთულ კონსტრუქციას ორი მოდელით: 1.

ჩვენთვის უკვე ნაცნობი — ნაცვალსახელურ ფუძეს **+ იცი** „იქნება“ ზმნა **+ ნი** კავშირი, 2. ნაცვალსახელურ ფუძეს **+ ორე** „არის“ ზმნა **+ ნი** კავშირი. შესაბამისად, გვაქვს შემდეგი ნაცვალსახელები: 1. **მი-დგაინი < მიდგა იცი ნი** „ვილაც, ვინმე“, **მუდგაინი < მუდგა იცი ნი** „რაღაცა, რამე“, **ნამდგაინი < ნამდგა იცი ნი** „რომელიმე, რამე, ვინმე“; 2. **მიდგარენი < მიდგა ორე ნი** „ვილაცა, ვინმე, მავანი“ (ვინც რომ არის), **მუდგარენი < მუდგა ორე ნი** „რაღაცა“ (რაც რომ არის), **ნამდგარენი < ნამდგა ორე ნი** „ვილაც, ვინმე“. უნდა ითქვას, რომ მეორე მოდელით ნაწარმოებ ნაცვალსახელთა ვარიანტებიც არსებობს.

ლაზურში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები მეგრულთან შედარებით მცირერიცხოვანია წარმოების მოდელების მიხედვით, თუმცა არსებული სტრუქტურა მთლიანად მიუყვება მეგრულს. ძირითადია მეორე ტიპის წარმოება, ანუ წარმოდგენილია ნაწილაკებით: **-გა** და **-თი**, იმ განსხვავებით, რომ ფონეტიკური გარდაქმნა საპირისპირო მიმართულებით წარიმართა, კერძოდ, ნაწილაკთა მეტათეზისის გარეშე თი-ს რედუქციის შედეგად წარმოქმნილ მიმდევრობაში მოხდა მჟღერი გ-ს დაყრუბება: **-თგა > -თხა**. შესაბამისად, ამ მოდელით ნაწარმოები ძირითადი ნაცვალსახელებია: **მითხა/ მინთხა < *მინთგა < *მინ-თი-გა** „ვილაცა, ვინმე“, **მუთხა/ მუნთხა < *მუნთგა < *მუნ-თი-გა** „რაღაცა, რამე“. ამ ნაცვალსახელების ახალ ვარიაციებს ჰქმნის **-ნი** დაბოლოება, რომელიც იგივე ნაწილაკი ჩანს, რაც მეგრულში (შდრ. მითი-ნი, მუთუ-ნი...): **მითხანი** „ვილაცა“, **მუთხანი** „რაღაცა“, **ნამუთხანი** „რომელიღაცა“. ეს უკანასკნელი მხოლოდ ამ ფორმითაა ლაზურში დადასტურებული, ანუ ვერ დაიძებნა ***ნამუთხა**.

რაც შეეხება მეშველი ზმნით ნაწარმოებ ფორმებს, მეგრულისგან განსხვავებული მოდელია იმ თვალსაზრისით, რომ **მითი** „ვინც“, **მუ-თი** „რაც“, **ნამუთი** „რომელიც“ მიმართებით ნაცვალსახელებს მიერთვის **რენ** ზმნა. შედეგად გვაქვს ნაცვალსახელური ფორმები: **მითი-რენ/ მითიენ** „ვინმე“ (ვინც არის), **მუთურენ/ მუთუენ** „რამე“ (რაც არის). ასეთი წარმოება ვიწურისათვისაა დამახასიათებელი. პარალელურად დასტურდება **-ერე<ორე** ზმნური წარმოშობის დერივანტით გაფორმებული ფორმები: **მინთერე < მინთერე** „ვინმე, ვილაცა“, **ნამთერე** „რომელიღაცა“, ხოლო **მიტიკერე/ მიტიკორე < მითი-ქ-ორე**

„ვინმე“, **მუტიკერე/ მუტიკორე < მუთი-ქ-ორე** „რალაც, რამე“ ფორმები დამახასიათებელია ათინური კილოკავისთვის და მიღებულია მიმართებითი ნაცვალსახელების მოთხრობითი ფორმისთვის **ერე-ს** მიერთებით. ამგვარი წარმოება მეგრულსაც ახასიათებს, შდრ. **მუდგაქიენი < მუდგა-ქი/ ც რენ** „რალაცა“ (რაც არის).

შეიძლება ითქვას, რომ განუსაზღვრელი ნაცვალსახელის წარმოების საერთო ქართველური მოდელის გვერდით მეგრულსა და ლაზურში გამოყენებულია მეშველზმნიანი ფორმები, რომელთა სტრუქტურა შედარებით უფრო მარტივია ლაზურში.

ეკატერინე ვაწაძე (ქუთაისი)

ფატიკური კომუნიკაცია სალიტერატურო ენასა და დიალექტში

ფატიკური კომუნიკაცია, რომლის მეცნიერულ კვლევაში დამკვიდრება უკავშირდება პოლონელი მეცნიერის ბრონისლავ მალინოვსკის სახელს, კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა. იგი ემსახურება არა ფაქტობრივი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას, არამედ თბილი, მეგობრული ატმოსფეროს შექმნას, უხერხული, მოულოდნელად ჩამოვარდნილი სიჩუმის დარღვევას, საუბრებს შორის პაუზების შევსებას, საუბრის დაწყებასა და დამთავრებას. სიტყვა „ფატიკური“ ბერძნულიდან მომინარეობს (**phatos** — სალაპარაკო, **phanai** — ლაპარაკი).

ფატიკური კომუნიკაციის თემები ერთმანეთისაგან განსხვავებულია ქალისა და მამაკაცის მეტყველებაში. ქალებში ფატიკური კომუნიკაციის თემა არის გარეგნობა, პირადი ცხოვრების დეტალები; მამაკაცებში კი ფატიკური გამონათქვამები ვრცელდება ისეთ სფეროებზე, როგორცაა სპორტი, პოლიტიკა.

ფატიკური საკომუნიკაციო აქტები ისევე აქტიურად გამოიყენება დიალექტებში, როგორც სალიტერატურო ენაში. მიუხედავად ამისა,

ენის სუბსტანდარტულ ვარიანტებში ამ მხრივ არსებულ ვითარებას სათანადო ყურადღება არ ეთმობა.

ჩვენი მიზანია კონკრეტული მაგალითების საფუძველზე შევადაროთ ერთმანეთს ქართულ სალიტერატურო ენასა და იმერულ დიალექტში დადასტურებული ფატიკური გამონათქვამები, ვნახოთ რა მსგავსება-განსხვავებები არსებობს მათ შორის და შევიტყოთ რამდენად მნიშვნელოვანია მათი ცოდნა მეგობრული ურთიერთობის დამყარების, შენარჩუნებისა და წარმატებული კომუნიკაციის წარმართვისათვის. თავაზიანობის გამომხატველ ფატიკურ გამონათქვამებს იღემეტრადე 9 ჯგუფში აერთიანებს(15). სწორედ ამ ჯგუფებში მოცემულ სალიტერატურო ფატიკურ გამონათქვამებს შევუბირისპირებთ იმერულ დიალექტში მოპოვებულ ფატიკურ სამეტყველო აქტებს. **მისალმება:** სალიტერატურო ენა- *გამარჯობა; დილა მშვიდობისა; შუადღე მშვიდობისა; საღამო მშვიდობისა.* იმერული დიალექტი — *დილა მშვიდობისა ჩემო ბატონო, ხომ მშვიდობით ბრძანდებით, ბატონო? ამას ვის ხედავს ჩემი თვალები!* **გამომშვიდობებანი:** სალიტერატურო ენა — *ნახვამდის; მშვიდობით; კარგად იყავი; აბა, ჯერჯერობით.* იმერული დიალექტი — *აბა ჰე, შენ იცი!..ღმერთმა კეთილად გამგზავროს: არ დეიკარგო, ხშირად შემოგვიარე; წაღმა წაღმართიანად გველოს!* **მადლიერების გამომხატველი ფრაზები:** სალიტერატურო ენა — *გმადლობთ; დიდი მადლობა.* იმერული დიალექტი — *მადლობელი ვარ შენი. ჩემს დღეში რავა დევივიწყებ რაც შენ ჩემი ოჯახისთვის იშრომე; ავაშენათ ღმერთმა; გადამეხადოს; მობოდიშება:* სალიტერატურო ენა — *მაპატიეთ; დიდი ბოდიში; ძალიან ვწუხვარ; დამნაშავე ვარ მაპატიეთ..* იმერული დიალექტი — *ეს რავა მომივიდა?! ეს რა დამემართა, ბოდიში შენი ჭირიმე; დედა ჩემი სიკვდილი.* **დაპატიებანი:** სალიტერატურო ენა — *სტუმარი ღვთისაა; გამოგვიარე; მოვიინახულე ხოლმე.* იმერული დიალექტი — *მობრძანდი შენი ჭირიმე!. მოდი დაგვეწვიე სადილზე; შენ არ მომიკვდე, მე შენ არ ვაგიშვა!* **შეთავაზებანი:** სალიტერატურო ენა — *რა გნებავთ?; რით შემიძლია დაგეხმაროთ?* იმერული დიალექტი — *თუ რამე დავჭირდეს ხო იცი აქ ვარ; არ მოგერიდოს იცოდე.* **დალოცვები მთალოცვები:** სალიტერატურო ენა — *ღმერთმა დაგლოცოს! სულ დალოცვილი ყოფილიყავი.* იმერული დიალექტი — *ღვთის წყალობა არ მოგაკლოს*

ღმერთმა; სულ მშვიდობაში და სიკეთეში მოგახმაროს ღმერთმა! ეს ერთი და სხვა მრავალი. **თანაგრძნობის გამომხატველი გამოთქმები:** სალიტერატურო ენა — ნუ გეშინია, ორ-სამ დღეში ჩიტვიტ იქნები; აბა შენ იცი, მალე გამოჩანს მრთელდი; იმერული დიალექტი — არ შეშინდე, გამაგრდი. მაგი რაა შე კაცო. **ქათინაურები:** სალიტერატურო ენა — რა კარგად გამოიყურები! ძალიან გიხდება ეს კაბა. იმერული დიალექტი — გხატავს, სულ შენზეა გამოჭრილი, გადასარევი სახლი გაქვს; შენ შემოგველე რა შვილები გყავს..

იმერულ დიალექტში ასევე ხშირად გამოიყენება ფატიკური წყევლის ფორმები: ვაი შენ და ჯანდაბა; ღმერთმა დაწყევლოს მაგ შეჩვენებულო; შენ იარე უკუღმა; შენი გაკეთებული არ გეიშვა არსად და ა.შ. შემომოყვანილი მავალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იმერულ დიალექტში დადასტურებული ფატიკური გამონათქვამები უფრო ექსპრესიული და მრავალფეროვანია, რეგისტრის მიხედვით -- კი უფრო ფამილარული.

რ უ ს უ დ ა ნ ზ ე ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი (თბილისი)

სიტყვასიტყვითი ნაწილაკები ქართული ენის დიალექტებში

1. სხვათა სიტყვას, ჩვეულებრივ, ორ ჯგუფად ყოფენ: პირდაპირ და ირიბ ნათქვამად, მაგრამ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა მათი კლასიფიკაციის შესახებ, განსაკუთრებით ეხება ეს სხვათა სიტყვის ნაწილაკიან ფორმებს. მეცნიერთა დიდი ნაწილი მათ მიაკუთვნებს პირდაპირ ნათქვამს, ზოგი კი — ირიბს. გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ ნაწილაკდართულ სხვათა სიტყვას შუალედური ადგილი უკავია პირდაპირსა და ირიბ ნათქვამს შორის.

2. სიტყვასიტყვით ნაწილაკებს ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში შესწავლის ხანგრძლივი ისტორია აქვს. მათი გამოყენების თავისებურება და ფუნქციები დაახასიათა ჯერ კიდევ პლ. იოსელიანმა.

3. ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები ხშირად იყენებს სიტყვასიტყვით ნაწილაკებს, რომელთა უპირველესი ფუნქციაა მოსაუბრის — სხვისი ან თავისი — ნათქვამის (ნაფიქრის) უცვლელი გამეორება.

4. ქართული ენის დიალექტებში გამოყენებულია სიტყვასიტყვითი ნაწილაკები და მათი ფონეტიკური ვარიანტები: -მეთქი||-მეთქინი||-მევთქვი||-მეთქვი, -თქო||-თქვა და -ო||-ვი||-უ. სალიტერატურო ქართულიდან განსხვავებით, დასავლურ დიალექტებში (გურულში, აჭარულში) ნიშანდობლივია -მეთქი ნაწილაკის ნაზალიზაცია (ბოლოკიდური -ნ-ს დართვა), ასევე ხშირია -თქვა ნაწილაკის გამოყენება -თქოს ან ზოგჯერ -მეთქის ფუნქციით. აღსანიშნავია -მეთქი და -ო ნაწილაკთა ფუნქციების აღრევა, კერძოდ, -ო ნაწილაკის გამოყენების არეალის გავრცობა (მაგალითად, -ო გამოიყენება -მეთქი ნაწილაკის ფუნქციით კახურში, ქიზიყურში, გურულში).

5. სხვათა სიტყვის -ო||-ვ ნაწილაკი შეიძლება დაერთოს წინადადების ყველა წევრს. -ო ბოლოკიდურ პოზიციაში იქცევა -ვ-დ, ინგილოურში კი შეიძლება ჩაენაცვლოს უ კითხვითობის ა ხმოვნის წინ.

6. რაჭულისთვის (და იმერულის ზოგიერთი თქმისთვის) დამახასიათებელია ზმნაში ნართაული ა სხვათა სიტყვის ო-ს წინ, თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში: პირის ნიშნების, მრავლობითის სუფიქსების ან თემის ნიშნების შემდეგ, ზოგჯერ ნართაული ა დასტურდება სხვა მეტყველების ნაწილებთანაც..

7. აღსანიშნავია, რომ სასაუბრო მეტყველებაში გავრცელებულია „მეუთხარი“ ფორმა. ვფიქრობთ, ის ზუსტად ისეთივე ყალიბისაა, როგორც „-მეთქი“, ოღონდ არ აღიქმება რომელიმე სიტყვასთან შერწყმულად. ჩვენი აზრით, „მეუთხარი“ ფორმა დიალოგის გადმოცემისას უნდა ჩაითვალოს სხვათა სიტყვის ნაწილაკად.

ლილე თანდილაგა (ბათუმი)

მსგავსი ფონეტიკური ცვლილებები ლაზურსა და შავშურში

თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ძველი ქართველური კილოები (ლაზური, შავშური) დღემდე განიცდიან ფონეტიკურ ცვლილებებს. ეს ფონეტიკური ცვლილებები სესხებასთან ერთად ხდება, იგი მრავალფეროვანია.

როგორც მოგეხსენებათ, თურქულს მკვეთრი თანხმოვნები არ გააჩნია. სესხების შედეგად მთელი რიგი თანხმოვნები განიცდიან ცვლილებებს. ლაზურშიც და შავშურშიც თითქმის ერთნაირი პროცესი მიმდინარეობს. ნასესხებ სიტყვებში ხდება გამკვეთრება. თუმცა მსესხებელ ენას იგივე თანხმოვნები გააჩნია. აქ ჩანს ნასესხობათა თავისებურებანი. უცხო სიტყვების ნაწილი უცვლელია ფონოლოგიურად ნაწილი კი მკვეთრდება. ამჯერად მინდა ყურადღება შევაჩერო რამდენიმე შემთხვევაზე: თურქული t (თ) გადმოდის ქართულში ტ-დ, ხოლო თურქული h (ჰ) გადმოდის ქართულ ხ-დ. ზუსტად ასეთივე პროცესია ლაზურშიც.

1. ხისიმები — ხისიმეფე — hisimler — ნათესავები ხისიმები გვყავდა (367).
2. ხალაშვილი — ხალა — halao lü — მამიდაშვილი ჩემი ბაბოსი ხალაშვილია (370)
3. მეხსუს — მეხსუზ — mahsus — განგებ აქ ამოდის სოკოები მახსუს მოყავანო (370)
4. ხასტანლული — ხასტალული — hastalık — ავადმყოფო ხასტალული ქონდა (371)
5. ხებრები — ხაბრები — haberler — ამბები ხებრები არ ვიცი, ძველი არ ვიცი (383)

თურქული t — ქართულ ტ-ში

1. იშტე — იშტე — i te - აი თავანშივე ყრია იშტე (367)
2. ხასტანლული — ხასტალული — hastalık — ავადმყოფობა. ხასტალული ჰქონდა.
3. დოხტორი — დოხტორი — doktor — ექიმი

ერთი გოგო დოხტორია ართვინ.

4. თეშტი — ტესტი — test — დოქი (დიდი)

წინა სირ ორი თეშტი მოვადულე (387)

სესხების ეს პროცესი საინტერესოა, იმიტომ რომ ორივე კილო ერთნაირ პროცესს განიცდის. სესხება ჩვეულებრივი პროცესია მაგრამ ამ ორ კილოზე მოლაპარაკე ქართველებისათვის საერთო სახელმწიფო ენა თურქულია. სესხებას სხვა ცული მხარეც გააჩნია: ფონეტიკური ცვლილებების მიღმა ენა კარგავს იმ სიტყვის ქართულ და ლაზურ შესატყვისს. ვიმედოვნებთ რომ სესხება ვერ მოახდენს არსებით გავლენას და ეს კილოები ამ კუთხეს დიდხანს დაამშვენებს.

დიანა კაკაშვილი (თბილისი)

შენიშვნები ძველი გავაზის (ახალსოფლის) ტოპონიმის შესახებ

ძველი გავაზი (ახალსოფელი) კახეთში, ყვარლის რაიონში, მდინარეებს — ავანისხევსა და შოროხევს — შორის, კავკასიონის დიდი მთის ძირში მდებარეობს. ძველად სოფელს გავაზი ერქვა. დღევანდელი ახალსოფელი ძველი გავაზის ტერიტორიას სანახევროდ ფარავს. ძველი სოფელი ახლის ზემო ნაწილშიც ყოფილა გაშლილი, სადაც დღეს დაუსახლებელი ადგილებია, აგრეთვე მინდორი კოპალე და წმ. გიორგის ტაძარი. გადმოცემის თანახმად, სოფელი გავაზი ლეკიანობის დროს დაიკალა და უფრო ქვემოთ, დაახ. 20 კილომეტრის იქით დასახლდა. ცოტა გვიან, როცა უკვე მშვიდობა დამკვიდრდა, სოფელი ხელახლა გაშენდა, ზოგიერთი თქმულებით ახალსოფელში კვლავ გავაზელები ამოტრიალდნენ და ძველ საცხოვრისს დაუბრუნდნენ, ამასთან — ცარიელ ადგილას სხვადსხვა კუთხიდან ჩამოსახლეს ხალხი. ბევრს ახლაც შემორჩენილი აქვს ისტორია თავისი წარმომავლობის შესახებ და ყვებიან, რომ ესა და ეს გვარი ჩამოსულია ამა და ამ კუთხიდანო. მაგ., ტყეშელაშვილები და დგვარელები რაჭველები არიან, ყვენწაშვილები — ჭიათურლები. უფრო გვიან სოფელში ჩამოსახ-

ლდა ქსნის ხეობიდან კომპაქტური ჯგუფი და სოფლის ზემო ნაწილში დასახლდა, ახალი უბანი გაშენდა, ამ უბანს დღესაც „მთიულებს“ ეძახიან.

სოფლის სახელწოდება ფრინველის სახელს უნდა უკავშირდებოდეს, გავაზი ულამაზესი ფრინველი ყოფილა და ახლა აღარ არსებობს, გადაშენებულია.

ამ სოფლის ტოპონიმები საგანგებოდ არავის შეუსწავლია. შევეხებით ზოგიერთ მათგანს. ტოპონიმები შემდეგი სახით დავაჯგუფეთ: 1) უბნის სახელწოდებები; 2) მიწის (ნაკვეთის) ადგილის სახელწოდებები; 3) მთის სახელწოდებები; 4) წყლის სახელწოდებები; 5) ხევის და 6) ტყის სახელწოდებები.

1. უ ბ ნ ი ს ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ე ბ ი

სარუსო — დადესტნელებით დასახლებული უბანი, შემოდის ახალსოფლის სათემოში, მდებარეობს მდინარე შოროხევის გადაღმა. ადრე, დადესტნელების ჩამოსახლებაამდე დასახლებული ყოფილა რუსებით.

მთიულები — მე-20 საუკუნის შუა წლებში ჩამოასახლეს ქსნის ხობიდან მთიულები და კომპაქტურად დასახლდნენ სოფლის ზემოთ, ჯერ კიდევ დაუსახლებელ უბანში.

საცხენე — დასახლებული უბანი, სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით. შემოდის ახალსოფლის თემში. ის ახალსოფელზე ძველი დასახლება უნდა იყოს.

2. მიწის (ნაკვეთის) ადგილის სახელწოდებები

ცაცხვის მიწა — ცაცხვები იდგა ბევრი (თხილისწყაროს, მამოჯნავედ, მის ქვემოთა).

თუშინთ მიწა — (სოფ. ბალლოჯიანის ზემოთ), ახალსოფლის სამხრეთით.

ქვევრის წყარო — იქვეა, მომიჯნავეა თუშინთ მიწისა.

იულდა — სოფლის ზემოთ, მის გარდიგარდმო მდებარეობს, წმ. გიორგიდან საცხენისკენ.

დარბაზოვანი — ადგილი ავანის სათავესთან.

კობალე — დაუსახლებელი ადგილია, მინდვრები, ახალსოფლის ჩრდილო დასავლეთით, სოფლის თავში. იქ, სადაც დღეს წმ. გიორგის მცირე ტაძარი დგას.

3. მ თ ი ს ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ე ბ ი

ბაგიოთ — მთის სახელი კავკასიონის კალთებზე.

ბალლოჯიანის მთები — მთაში საძოვრებია, ბალლოჯიანელებს დაჰყავდათ აქ ცხვარი. ბოლოჯი — ბუჩქი ან ტანდაბალი ხე ვარდისებრთა ოჯახისა.

ნაჩარნი გორი — ძალიან კლდიანია, თითქოს გამოჩარხესო.

საყარაულო — მთაა, ლეკიანობის დროს იქ გუშაგი იდგა. აქედან პირდაპირ ჩანს დიდი ველი და ცეცხლის ანთებით აძლევდნენ ნიშანს მტრის შემოსვლისას.

4. წ ყ ლ ი ს ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ე ბ ი

ბელად გუბე — შუა ზაფხულშიც რომ ახვიდე, სულაა გუბე, არ შრება.

აფნის წყარო — ტყეში ახალსოფლის აღმოსავლეთით.

კოდის წყარო — ხის კოდი იყო ჩადგმული, საიდანაც გადმოდიოდა წყალი (სოფელ ბოლქვის ზემოთ, ახალსოფლის ხამხრეთით, მინდორში).

გეჯი წყალი — არმისული დოლოიანთან, ცოტა ქვემოთ, წყალს აქვს ისეთი ფორმა, როგორც გეჯას. აქ საქონელს ასმევდნენ წყალს.

წილიანას წყალი — ავანის ხევის სათავესთან.

5. ხ ე ვ ი ს ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ე ბ ი

ავანის ხევი — ახალსოფლის მოსაზღვრედ-დასავლეთით.

შორო ხევი — ახალსოფლის მოსაზღვრედ-ჩრდილოეთით.

ქვაწერი — პატარა მდინარეა სოფლის თავში, მდინარე ავანის ხევის სათავესთან.

6. ტ ყ ი ს ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ე ბ ი

წვრილიანა — წვრილი, აშოლტილი ტყე (სოფლის სამხრეთით, აფნისაკენ მიმავალ გზაზე).

ნაკალოვრები — კობალეს ზემოთ, მდინარე ახანისხევის გადაღმა ტყეა, მთის პირას. გადმოცემის თანახმად, ლეკიანობის დროს ბავშვები გალუწეს კევრით.

სიბანა — ტყის სახელია, სოფლის ჩრდილოეთით, სანამ დაიწყებდა დიდი კავკასიონის მთა.

ნაბაზრალი — ავანისხევის გადაღმა, ახლა ტყეა, ადრე, გავაზის დროს აქ უნდა ყოფილიყო ბაზარი.

ქართულ-ზანური თ : სვანური შთ/მდ/მტ ბგერათფარდობის ახლებური ინტერპრეტაციისათვის ბურუშული ენის მონაცემთა გათვალისწინებით

ბურუშული ენის მონაცემთა გათვალისწინება ქართულ-ზანური თ : სვანური შთ/მდ/მტ ბგერათფარდობის ახლებური ინტერპრეტაციისა და ადრეული საერთო-ქართველურისათვის ყრუ ლატერალური აფრიკატის /**ლ'**/ (/***tʰ**/) პოსტულირების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.

აღნიშნული ფარდობისათვის ამოსავალ ერთეულად მკვლევართა ნაწილი (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ბ. გიგინეიშვილი...) ***/ს'/** ფონემათიმდეგრობას ვარაუდობს, ნაწილი კი — ***/თ'/** ფონემის პალატალიზებულ ***/თ'~** (ი. მელიქიშვილი, ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი), ან პრეასპირირებულ ***/ჰთ'/** (გ. კლიმოვი) ალოფონებს.

ფიქრობთ, რომ შემდეგ ქართველურ-ბურუშულ ლექსიკურ შეპირისპირებებში — ს.-ქართვ. ***ს'თუმ-** > სვან. შდიმ „ყური“: ბურ. -**Itúmal, túmal** „ყური“, ს.-ქართვ. ***ს'თარ-** > ქართ. (ქართლ.) და-თართვა „დაგრეხილი ძაფის მოშვება, დაცარვა“; სვან. ლი-შდრ-ან-ი, ლი-შდრ-ან-ი, ლი-შტრ-ან-ი „(თოკის, საბლის, ბაგირის...) დაგრეხა“: ბურ. (ი.) **táali** „ბაგირის დასაგრეხი თოკი“, (ჰ., ნ.) **-Itáli-**, (ი.) **táali-**, **-Itáali-**, „გახვევა, შეხვევა, თასმით შეკვრა“ — გამოვლენილი ბგერათფარდობის — ქართვ. ***/ს'/** : ბურ. (ჰ., ნ.) **/ლტ/,** (ი.) **/tʰ/** — საფუძველზე ამოსავალ ერთეულად შეიძლება ყრუ ლატერალური აფრიკატი ***/ლ'/** (/***tʰ**/) იქნეს მიჩნეული.

საერთო-ქართველურ-ბურუშული ენობრივი ერთიანობის გვიანდელ ეტაპზე ეს ყრუ ლატერალური აფრიკატი, სავარაუდოდ, ყრუ ლატერალური სპირანტისა **/ლ'/** (/**tʰ**/) და ყრუ ფშვინვიერი დენტალური ხშულის **/თ/** (/**th**/) კომპლექსად გარდაიქმნა, ანუ ***/ლ'/** (/***tʰ**/) > ***/ლ'თ/** (**/* th**/), რასაც, როგორც ჩანს, საერთო-ქართველურის ერთ

დიალექტურ არეალში ***/ლ'თ/** > **/ლ(ს)თ/**, მეორეში ***/ლ'თ/** > **/მთ/**, ხოლო ბურუშულში **/* th/** > **/tʰ/** გადასვლები მოჰყვა.

გასათვალისწინებელია, რომ ის მკვლევრები, რომლებიც ბურუშულს ჩრდილოკავკასიურ ენებთან აკავშირებენ, ამ ენისათვის სპეციფიკურ **/-It-/** ბგერათიმდეგრობას სწორედ ამოსავალი ლატერალური ბგერების რეფლექსად განიხილავენ. შდრ., მაგ.:

ბურ. (ჰ., ნ.) **-Itúl-**, (ი.) **túl-**, **-Itúl-** „უნაგირის დადგმა“, (ჰ., ნ.) **tilía**, (ი.) **tilíha**, **teléa** „უნაგირი“: ხუნდ. 'ilí, ხვარშ. 'eq'el, ლაკ. k'ili „უნაგირი“;

ბურ. **tá-**, **Itá-** „ფეხსაცმლის, ტანსაცმლის ჩაცმა“: ანდ. i 'in „ფეხსაცმლის, შარგლის ჩაცმა“, დიდ. i , ინხ. n-e „ფეხსაცმლის ჩაცმა“.

სავარაუდოდ, ასევე ლატერალური აფრიკატი — ოღონდ, ამჯერად უკვე გლოტალური ***/ტ'/** — უნდა აღდგეს იმ ამოსავალ ფორმებში, რომელთა გარდაქმნის შედეგადაც უნდა იყოს მიღებული შემდეგი შესაძლო ქართველურ-ბურუშულ(-დადესტნური) კოგნატები:

ს.-ქართვ. ***ტალ-** > ქართ. ტალი „ციცაბო; კაყი“, (საბა) აგრეთვე: „კბილის ანახეთქი“; სვან. [ზან. (მეგრ.)] ტოლი „კაყი“: ბურ. (ჰ.) **talí** „ციცაბო ფერდობი“: ხუნდ. t'álu „კლდე, კლდოვანი პლატო“, ბეჟ. 'alo „ქვა, კლდე“...;

ს.-ქართვ. ***ტოლ-** > ქართ. ტოლი : ბურ. (ი.) **túlum**, **-Itúlum** „მსგავსი“, (ჰ.) **-Itúr** მან- „მიბაძვა“;

ს.-ქართვ. ***ტურ-** > ქართ. მ-ტურ-ი; სვან. ტურ-დ, ტურ-მ-დ, ტურ-ამ-დ ლიგნე, ტურ-რ-დ ლიგნე „ნამსხვრევებად, ნაფლეტებად ქცევა, დამტვრევა“: ბურ. (ჰ., ნ.) **turú-**, **nu-Itúr**, **nu-túr**, (ი.) **túr-**, **du-Itúr** „ნამსხვრევა, დამტვრევა“.

თუკი ეს დაკავშირებები სწორია, მაშინ გამოდის, რომ საერთო-ქართველური გლოტალური ლატერალური აფრიკატის რეფლექსებს ქართულ და სვანურ ენებში გლოტალური დენტალური ხშული წარმოადგენს, ანუ ***/ტ'/** ორივეგან > **/ტ/**, ხოლო ქართ. **წ** : ზან. **ჭ** : სვან. **ჭ** ბგერათფარდობისათვის, (რომლის საფუძველზეც ჰ. ფენრიხი საერთო-ქართველურ გლოტალურ ლატერალურ აფრიკატს აღადგენს), ამოსავალ ერთეულად სხვა ლატერალური ფონემა (გლოტალური ლატერალური სპირანტი **/ლ'/** ?) უნდა ვივარაუდოთ.

მ ა ი ა კ ი კ ვ ა ძ ე (ბათუმი)

ქართული ლექსიკა კლარჯთა თურქულ მეტყველებაში

ისტორიული კლარჯეთის მოსახლეობის ენა დღეს ძირითადად თურქულია (გამონაკლისია რამდენიმე ხეობა). იქაურთა თურქული მეტყველებისა და ტრადიციების შესწავლა მნიშვნელოვანია ქართული ლინგვისტიკისა და ზოგადად ქართველოლოგიის თვალსაზრისით.

მოხსენების მიზანია კლარჯთა თურქულში ქართული ლექსიკის ძიება. ერთია, რა ხდება რეალურად ცოცხალ მეტყველებაში და მეორე, რა ვითარებაა აქაური თურქი (ან სულაც გათურქებული ქართველი) მწერლების ენაში.

საანალიზო მასალა ძირითადად კლარჯეთის თურქულენოვან სოფლებს მოიცავს. პუბლიცისტურ წერილებში, მხატვრულ ლიტერატურაში, პოეზიის ენაში დღემდე შემორჩენილია ქართული ლექსიკის მეტად საინტერესო ნიმუშები, უფრო მეტიც, ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დასტურდება ან ზოგჯერ არ დასტურდება სხვა სამხრულ დიალექტებში (მასალა შედარებულია პროფ. შ. ფუტყარაძის „ჩვენებულების ქართულთან“, პროფ. მ. ფაღვას, პროფ. მ. ცინცაძის შავშურ ტექსტებთან, მკ მ. ხახუტაიშვილის მუჰაჯირთა მეტყველების ნიმუშებთან, მეცნ. კანდიდატ ე. ბერიძის „ნიგალთან“).

კლარჯეთის სოფლებში დრო-ჟამის გამო უამრავი ხუროთმოძღვრული ძეგლი თუ ისტორიული ნივთი განადგურდა, დაიკარგა ძველი ქართული ტრადიციები, ბევრ მათგანში წაიშალა ქართული მეტყველება. აქაურთა თურქულ მეტყველებაში დალექილია ქართული ლექსიკა.

მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

Neker= ნეკერი Meşe =მუხა. შდრ. შ. ფეტკა. **ნეკრი** ზირი- **ნეკრის** ძირი (ზაფხულობით ტყეში დაკაფვენ თელის, ცაცხვის, მუხის, წიფლის ტოტებს, კონებად შეკრავენ და კაცის სიმალლეზე დააწყობენ. ამ წყობას ნეკრის ძირი ეწოდება, ნეკერი, ტყეში გამხმარი, ინარჩუნებს ვიტამინებს).

Cismat= ot, yaprak- წიწმატი= ბალახი, ფოთოლი; შდრ. შ. ფუტყარაძე -გარეული მხალეული, ბალახი: „წიწმატი ყანებში აშუა“ (იმ.).

ტყის წიწმატი (იმერ.).

Zegan = ზეგანი = yüksek yerlesim birimi ერთიანი ერთეული, მაღალი ადგილი.

Orokh = ოროკი; uzun sure ekilip; გრძელი ვადით დათესილი მინდორი; შდრ. **ოროკი** (გურ.) ნარყალი ნიადაგი, სახნავ-სათესი მიწა (ალ. ლლონტი).

ხარო = ambardak, bolum=შესანახი ნაგებობა, თაროები რაიმეს დასაწყობად; შდრ. შ. ფუტყარაძე, **ხარო**-ჭირნახულის, სიმინდის, ლობიოს, კარტოფილის, ხილეულის შესანახი ადგილი, თურქ. **Raf.** „წრეგლი ბელელში **ხარეები** დავაკეთე“, შდრ. საბა **ხარო** — ქვიტკირის ორმო; **ხარო** — 1. (ქართლ. ქიზიყ. მესხ.) დიდი, ღრმა ორმო, პურის ორმო; 2 (გურ.) ნალია, სასიმინდე; 3. **ხარო** (სკივრი ხორბლის შესანახად; ambar (არაბ.) — ამბარი, ბელელი, საწყობი;

Çingo = ceviz=ნიგოზი; შდრ. ლლონტი **წინგერო** (აჭარ.) ნიგოზის **წინგო**, ნიგოზის წებერა.

Sakarkaşo= şehit mezarları= **საქარქაშო**, ომში დაღუპვა, დაცემა (ტრადიციის თანახმად, დაღუპულთა საფლავებზე ბავშვებს, ახალგაზრდებს, ხეობებს მოყავთ შესაწირი, კლავენ და ჩაიფიქრებენ სურვილებს).

კლარჯთა თურქული მეტყველების კვლევა სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ საინტერესო ფორმებს გამოავლენს.

ზ ე ი ნ ა ბ კ ი კ ვ ი ძ ე (ქუთაისი)

დიალექტის ლიტერატურული ფუნქციები ქართულ მწერლობაში

ენაში არსებული ლექსიკური კომპონენტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს ლიტერატურაში. ამ მხრივ საინტერესო საკვლევ მასალას ქმნის დიალექტური მოვლენები. ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი მეტყველება ლიტერატურული თხზულების მხოლოდ მხატვრულ გაფორმებას კი არ ემსახურება, არამედ იძენს

პერსონაჟის გამოსახვის, მწერლური მიზანდასახულობის ინტერპრეტაციის, ლიტერატურული მიმდინარეობის თავისებურების გამოვლენისა და დამკვიდრების მისიას. რის შედეგადაც იქცევა ერთ-ერთ განსაკუთრებულ და მრავალფუნქციურ ხერხად. უნდა აღინიშნოს, რომ დიალექტის ასეთი ფუნქციური დატვირთვა ნიშნულია არა მხოლოდ ქართული მწერლობისათვის, არამედ ზოგადად მსოფლიო ლიტერატურისთვისაც.

ენის განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ დიალექტისათვის ლიტერატურული ფუნქციის მინიჭება უნდა დაწყებულიყო XIX საუკუნეში, კერძოდ კი რეალიზმის ჩასახვის დროიდან. რა თქმა უნდა, დიალექტური ფორმები გვხვდება გაცილებით უფრო ადრინდელ ლიტერატურაში, თუნდაც რომანტიზმის დროს. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მას არ უნდა ჰქონოდა არც მხატვრული ენის გამოხატვისა და მით უმეტეს, არც პერსონაჟის ენობრივი საშუალებებით დახასიათების დანიშნულება.

ქართულ მწერლობაში დიალექტის ინტენსიური გამოყენება იწყება კრიტიკული რეალიზმის პერიოდში. აქ შეინიშნება რამდენიმე თვისებრივი დონე. დიალექტური ფორმები ორი ფუნქციით გამოიყენება: ერთი, მწერლის ენობრივი ქსოვილის გასამრავალფეროვნებლად და მეორე, — მეტყველების მიხედვით პერსონაჟის დასახასიათებლად. ასევე უნდა მუუხთითოთ, რომ ავტორები იყენებენ იმ მხარის ფორმებს, საიდანაც თვითონ არიან წარმოშობით, ამ შემთხვევაში დიალექტის მხატვრული ფუნქცია მხოლოდ ლიტერატურისმცოდნეობითი დაკვირვების ველში შედის და არ გამოავლენს მისით მწერალთა მიზნობრივ დაინტერესებას (მაგალითად ხალხოსნებში). მაგრამ იმავე რეალიზმის ეპოქაში იწყება დიალექტური ფორმების გამიზნული ხმარება. ეს უფრო მეტად ვლინდება მოქმედ პირთა მეტყველების აღწერისას.

ამ ხერხის დამკვიდრება ილია ჭავჭავაძის სახელს უნდა უკავშირდებოდეს, რადგან მის თხზულებებში (მაგ.: „მგზავრის წერილები“, „სცენები გლეხთა განთავისუფლების დროიდან“, „სარჩობელაზე“) აშკარად იკვეთება პერსონაჟის მეტყველებაში დიალექტური ფორმების მიზნობრივი გამოყენება; ამასთან აქ ფიქსირდება როგორც უშუალოდ მოქმედი პირის დახასიათების დანიშნულება, ასევე ეთნოგრაფიული კოლორიტის გამოხატვისა და მწერლის იდეის გაცხადების ფუნქცია.

ასეთი დატვირთვა განსაკუთრებული თავისებურებით ერთგვარ ტრადიციად იქცევა ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგის ნაწერებში. რაც ავლენს დიალექტის კიდევ ერთ ლიტერატურულ დანიშნულებას,— გამოკვეთოს მწერლის სტილური თავისებურება.

მომდევნო პერიოდში დიალექტის ხმარება იქცევა ერთგვარ ლიტერატურულ შაბლონად და XX საუკუნის მწერლობაში სხვადასხვაგვარი დანიშნულებით დამკვიდრების ტრადიციაც ყალიბდება. განსაკუთრებით საჩინოა ის, რომ მისი ხვედრითი წილი იზრდება მოდერნისტულ პოეზიაში. პოსტმოდერნიზმში კი დიალექტის ეკლექტიკური გამოყენება ლიტერატურული მიმდინარეობის ნიშნად ფორმდება.

ქართულ ლიტერატურაში დიალექტის ფუნქცია საკმაოდ მრავალფეროვანია და არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი თავისებურებით. ასევე საჩინოა ისიც, რომ ის აქტიურად მონაწილეობს ლიტერატურული პროცესების განვითარებაში.

მარიამ კობერიძე (გორი)

ზედსართავსახელიანი ტოპონიმები ფრონეს ხეობის ქართლურში

ფრონეს ხეობის ქართლურში ზედსართავსახელიანი ტოპონიმები მიგვანიშნებენ სათიბების, საძოვრების, სახნავ-სათესი ადგილების, სოფლებისა და სხვადასხვა დასახლებული პუნქტების რაიმე ნიშან-თვისებაზე.

ფერსა და გემოს მიგვანიშნებს ტოპონიმები: **ლაშე** (←მლაშე. მარილიანი მიწები ძვილეთში); **ცივი** (სახნავი ადგილი ტაშისკარში); **თეთრი ბეგები** (ადგილი აგნევიში); **ქვათეთრი** (სოფელი ზნაურის რაიონში); **მლაშეწყალი** (წყარო ნაბახტევიში); **ქვაშავა** (ადგილი ჩორჩანაში); **ძირტკბილა** (ადგილი ბაყაანთ უბანში); **ყვითელი ტბა** (ადგილი ბულბულისციხეში); **წითელმიწები** (სათესი ადგილი აბისში)...

ობიექტის ფიზიკური დახასიათება სახელდება ტოპონიმებში: **გრძელურები** (ადგილი ფცაში); **გრძელი ველები** (სათიბი ადგილი ნულში); **დიდმუხა** (სოფელი ზნაურის რაიონში); **პატარა ციხიათა**

(უბანი ყორნისში); **რგვალი სერი** (საძოვარი დვანში); **დიდბეგები** (ადგილი ტახტისძირში); **წვრილი მიწები** (სათესი ადგილი ახალშენში); **ციცქნეთი** (ადგილი ახალშენში); **მშრალი დელე** (ადგილი თაგუეთში); **ნოყიანი** (ადგილი ხცისში); **ნედლათი** (სათესი ახალშენში); **ტილიანი წყარო** (დვანში); **ძვილეთი** (←ძველეთი. სოფელი ზნაურის რაიონში), **დამპალა ადგილი** (წყლიანი სახნავი ადგილი ტკოცაში); **ბრმახევი** (ადგილი ახალშენში); **ყრუხევი** (ადგილი, ხევი); **ყრალი-დელე** (დელე ჩორჩანაში); **მუნიმიწა** (სათიბი ნულში).

-ებ სუფიქსითაა წარმოდგენილი ტოპონიმები: **ლაშეები** (მარილიანი მიწები ბრეთში); **ახალეები** (ადგილი ფლევეში); **წითელაურები** (ადგილი, სათესი ავლევეში). ზოგჯერ ან სუფიქსს დაკარგული აქვს მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ფუნქცია.

ფრონეს ხეობის ქართულურში ზედსათავსახელიან ტოპონიმთა უმეტესი ნაწილი კომპოზიტებია. მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავი სახელი წარმოდგენილია ფუძის სახით: **მყრალტბა** (←მყრალი ტბა. ადგილი თაგუეთში); **დიდანო** (ადგილი ალში); **დიდმიწები** (ადგილი ხუნდისუბანში); **თეთრკლდიანი სერი** (ადგილი ოძისში); **შავჭალეები** (ადგილი ქვენატკოცაში); **მშიერი მამული** (სახნავი ადგილი ახალშენში); **გრძელი მიწა** (ადგილი ალიბარში, ზნაურის რაიონში); **კონიჭალების წყარო** (მოხისში); **კონტობა** (ადგილი ნულში).

მარინე კუხალაშვილი (ქუთაისი)

კითხვითი ა ნაწილაკის ადგილისათვის ქართულ დიალექტთა შორის

კითხვითი ა ნაწილაკი საერთო ქართველური კუთვნილებაა. იგი უკავშირდება სვანურ ა, L და მეგრულ ა ნაწილაკებს. უძველეს ქართულში ა უნდა ყოფილიყო მახვილიანი, ხოლო მომდევნო პერიოდში მან დაკარგა მახვილი, რაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი მისი დაკარგვისა სალიტერატურო ქართულში. ძველ ქართულში კითხვითი ა ნაწილაკის ფუნქცია უკვე შერყეულია, საშუალო ქართულის ძეგლებში

(ვეფხისტყაოსანი, ვისრამიანი, ამირანდარეჯანიანი...) იგი იშვიათად დასტურდება, ხოლო ახალმა სალიტერატურო ქართულმა კითხვითი ა მთლიანად დაკარგა. ახალი ქართული ენის დიალექტთაგან კითხვითი ა შემოინახეს ხევსურულმა, თუშურმა, ფშაურმა, ინგილოურმა, ფერეიდნულმა, რაჭულმა, ნაწილობრივ მთიულურმა და იმერულმა. ზოგიერთ დიალექტებში (ზემოიმერული, მთარაჭული, ინგილოური...) კითხვითი ა გამოიყენება კითხვითსიტყვიან წინადადებაშიც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ დიალექტში აღნიშნული ნაწილაკის ფუნქცია შერყეულია.

კითხვას გამოხატავს ჩაკითხვითი ა (←ჰა) ნაწილაკიც. მისი გაიგივება ძველი ქართულის კითხვით ა ნაწილაკთან არ შეიძლება. იგი წარმოშობით შორისდებულს ჩანს.

თამარ ლომთაძე, მარინა ქაცარავა (ქუთაისი)

სასაუბრო ლექსიკის მარკირებისათვის ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლექსიკა ყველაზე ცვალებადი ნაწილია ენისა. იგი მუდმივად ვითარდება, ივსება, იხვეწება. ყველაზე მძაფრად ენისა და საზოგადოების მჭიდრო კავშირი სწორედ ლექსიკაში ვლინდება.

სასაუბრო ლექსიკა, მართალია, დაბალი პრესტიჟულობით ხასიათდება, მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ ასეთ სიტყვებს, შევხვდებით, რომ სიტყვის გადატანითი ხმარების შემთხვევები, სიტყვათა ახალი მნიშვნელობის განვითარება და საერთოდ, სიტყვათა მნიშვნელობასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი სწორედ აქ იღებს სათავეს.

გარდა იმისა, რომ სლენგიდან სალაპარაკო ენაში გადასული ბევრი სიტყვის მნიშვნელობა საერთოდ აღუწერელია ლექსიკონებში, ასევე, ზოგიერთი ქართული სიტყვის გადატანითი ან ახალი მნიშვნელობაც, რომლებიც სასაუბრო ენისათვისაა დამახასიათებელი არ

არის მარკირებული. არადა ენის შემსწავლელთათვის, ასევე კომპიუტერული ლინგვისტიკისათვის, ასეთი სიტყვების სრულყოფილი განმარტება ძალზე მნიშვნელოვანი იქნება.

აქვე მარკირებული უნდა იყოს და ძირითადის გვერდით განიმარტოს ის სიტყვები, რომლებიც სასაუბრო ენაში განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება. მაგალითისათვის დავასახელებთ რამდენიმე მათგანს: ტეხავს, ლიმონი, კერავს და სხვა.

სასაუბრო ლექსიკის უმეტესობა თავადაც სარგებლობს ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკით და კიდევაც ასაზრდოებს მას.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი (თბილისი)

პირობითი კილო სვანურ ენაში

როგორც ცნობილია, დრო-კილოთა ფორმები სვანურ ზმნას, სალიტერატურო ენასთან შედარებით, უფრო მრავლად მოეპოვება; „მეტ“ მწკრივთა (ა. შანიძე) შორის სვანური ზმნის უღლების ტრადიციულ პარადიგმაში, გარდა ე. წ. „უხილავი“ ფორმებისა (I სერიის თურმეობითებისა), შედის უსრული მყოფადი და უსრული პირობითი, ჩვენ შეხედულებით კი — სრული მყოფადის ძირითადპრევერბიანი სახეობა და III სერიის პირობით-შედევობითებიც.

ვ. თოფურია აღნიშნავს, რომ „კილო სამია სვანურში: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი. ამათგან საგანგებო ნიშნები მოეპოვება კავშირებითს, სხვებს — არა. თხრობითსა და კავშირებითს თავ-თავისი დრო აქვთ, ამდენად ისინი ერთმანეთთან არიან გადახლართული და ერთადაც განიხილავენ დრო-კილოთა სახელით“.

სვანურის საეჭვობა-სავარაუდოობის გამომხატველ ზმნურ ფორმებს, რომელთაც ჩვენ „საკუთრივ ინფერენციულ მწკრივებს“ ვუწოდებთ, აღნიშნულ კილოთაგან (თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი) ვერც ერთი ვერ ეფარდება: თხრობითისგან მათ სემანტიკა განსხვავებს, კავშირებითისგან კი — დამოუკიდებლად (ვრცელი კონ-

ტექსტისა თუ მოდალური ლექსების გარეშე) ეპისტემიკური მოდლობის მარტივი კონსტრუქციის შექმნის უნარი.

ჩვენი აზრით, სვანური საკუთრივ **ინფერენციული მწკრივები** ოპოზიციურობის თვალსაზრისით სრულიად თანაბარ პირობებში არიან თხრობითი (ნეიტრალური, ინდიკატიური) კილოს ფორმებთან, რამდენადაც ისინი, მის (**თხრობითი კილოს**) **მსგავსად, ქმნიან ნეიტრალურ შესიტყვებას** (ა. არაბულის ტერმინოლოგიით), **რასაც ვერ ვიტვით კავშირებითებზე. სემანტიკურად კი საანალიზო ფორმები მარკირებულნი არიან საეჭვობა-სავარაუდოობის ნიშნით, რაც საბოლოო ჯამში მოქმედების/მოვლენის შესახებ ცოდნის პირობითობას (დაუდასტურებლობას) გულისხმობს:**

ლწდი მესტიას უჩხე „დღეს მესტიაში წვიმს“ შდრ. **ლწდი მესტიას იუჩხინი** „დღეს მესტიაში ალბათ (შესაძლოა) წვიმს“;

ალას ღუაშე ლელუ ჩუხუმა „ამას ჯიხვის ხორცი უჭამია (=ნაჭამი აქვს)“ შდრ. **ალას ღუაშე ლელუ ჩუხუმი** „ამას ჯიხვის ხორცი ალბათ (შესაძლოა) უჭამია (=ნაჭამი ექნება)“...

პირობითი კილოს გადმოცემის ფუნქცია ძირითადად შემდეგი მწკრივებისთვის:

ინფერენციული **აწმყო** (resp. უსრული მყოფადი): **პ-არ-უნ-ი** „წერდეს იქნება“, „ალბათ წერს“/„წერდეს იქნება“ (შდრ. ნეიტრალური **აწმყო**: **პ-ა რ-ი** „წერს“);

ინფერენციული (ძირითადპრევერბიანი) სრული **მყოფადი**: **ჩუაღ-რ-ნე** „ალბათ დაწერს/დაწეროს იქნება“ (შდრ. ნეიტრალური/კატეგორიული, ოდენ „წინდებულ-თანდებულის“ სრული **მყოფადი**: **ჩუ-პ-არ-ი** „დაწერს“);

უსრული **პირობითი**: **პ-არ-უნ-რლ** „ალბათ/შესაძლოა/იქნებ წერდა“ (შდრ. **უწვევტელი**: **პ-არ-და** „წერდა“);

სრული **პირობითი**: **აღ-რ-ნ-ა** „ალბათ/შესაძლოა/იქნებ დაწერდა“ (შდრ. ქართულისებური წარმოების **პირობითი**, resp. **ხოლმეობითი**: **ჩუ-პ-არ-და** „დაწერდა“);

პირობით-შედევობითი I: **ხ-ე-არ-ი** „შესაძლოა/ალბათ/იქნებ დაწერა მას ის“ = „დაწერი იქნება“ (შდრ. უსრული I **შედევობითი**: **ხ-ო-არ-ა** „დაწერა“ = „დაწერი აქვს“).

პირობით-შედევობითი II: ხ-ე-არ-ლ „დაეწერა ალბათ/იქნებ მას ის“ = „დაწერა ექნებოდა“ (მდრ. უსრული II **შედევობითი: ხ-ლ-არ-ან** „დაეწერა მას ის“ = „დაწერა ჰქონდა“).

პირობითს ცალკე კილოდ გამოყოფენ მეგრულში (არნ. ჩიქობავა, ი. ყიფშიძე ნ. კოტინოვი, ბ. ქობალავა...), სადაც ის შესაბამისი მწკრივებითაა გადმოცემული და მაწარმოებელია -კო(ნ) სუფიქსი. სპეციალურ ლიტერატურაში (გ. კარტოზია) აღნიშნავენ, რომ „პირობითის მწკრივები მეგრულში წარმოშობით აღწერილი ფორმებია, მაგრამ დროთა განმავლობაში ორგანულ წარმოებად ქცეულან“. სვანურში კი პირობითი კილო ზმნის ორგანული ფორმებით გამოიხატება.

ამრიგად, სვანურ ენაში არსებობს სინთეზური ზმნები, რომლებიც ფორმითა და სემანტიკით განსხვავდებიან შესაბამისი დროის თხრობითი კილოს ზმნებისგან, ხოლო მათთან (თხრობითი კილოს ფორმებთან) თანაფარდობაში არიან ნეიტრალური, უმცირესი კონტექსტის დამოუკიდებლად შექმნის უნარით; საანალიზო ფორმათა კილო პირობითია. მაშასადამე, სვანურში პირობითი კილო რელევანტურია და თხრობითი კილოს სრულფუნქციან ოპოზიციას წარმოადგენს.

ო მ ა რ მ ე მ ი შ ი შ ი (ბათუმი)

ბრუნვათა ფუნქციები ლაზურში

სახელობითი ბრუნვის ფუნქციათა შორის ყველაზე მთავარია ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების გამოხატვა. ის ეწევა წოდებითი ბრუნვის მაგვირობასაც.

მოთხრობითი ლაზურში მხოლოდ ქვემდებარის ბრუნვაა: სხვა ქართველურ ენათაგან განსხვავებით ლაზურში გარდამავალ ზმნებთან სამივე სერიაში ქვემდებარე ერგატივშია. მიცემითი ლაზურში ქვემდებარისა და ირიბი დამატების ბრუნვაა. იგი გამოიყენება ადგილისა და დროის გარემოებად.

ნათესაობითი ბრუნვა აქ განსაზღვრების ფუნქციას ასრულებს. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს შეუძლია **რომ, თუ** კავშირის ფუნ-

ქციის გამოხატვა, როცა ის დაერთვის ზმნის ფორმას. მასდარი ნათესაობით ბრუნვაში მომავალი დროის მიმდევობის ფარდია. ცოცხალ მეტყველებაში მოქმედებითი უბრალო დამატების ფუნქციით რეა-ლიზდება.

მიმართულებითი ბრუნვა თანდებულის მიცემითის ფუნქციით გამოიყენება; მიმართულებით ბრუნვაში დასმული მასდარი ლაზურში ვითარებითი ბრუნვით გადმოიცემა.

დაშორებითი ბრუნვა უდრის თანდებულის ნათესაობითსა და მოქმედებითს.

მ ე დ ე ა მ ე ქ ე ა ბ ი შ ე ი ლ ი (თბილისი)

ჭუმათის გურულის ზოგი ფონეტიკური თავისებურების შესახებ

ქართული ენის დიალექტთა შორის გურულს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მის შესახებ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს (ს. ლენტი, ი.მეგრელიძე, გ.იმნაიშვილი და სხვ.), რომელიც ძირითადად რამდენიმე ათეული წლის წინ არის შექმნილი. მას შემდეგ, ბუნებრივია, დიალექტებმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, განსაკუთრებით ფონეტიკური პროცესების თვალსაზრისით. ჩვენ სწორედ ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ ოსურგეთის რაიონის სოფელ ჭუმათის მეტყველება. აღმოჩნდა ზოგი მნიშვნელოვანი განსხვავება სამეცნიერო ლიტერატურასთან შედარებით. განსაკუთრებით თვალში საცემია სხვაობა თაობათა შორის მეტყველებაში. შევეხებით რამდენიმე ფონეტიკურ პროცესს.

გ.იმნაიშვილი აღნიშნავს, რომ მთელ გურულში გავრცელებულია პრევერბისეულ ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია ფორმანტისეულ მომდევნო ხმოვანთან: **-ობ-** სუფიქსისა და **სა-ო** კონფიქსის **ო** იმსგავსებს ფუძისეულ წინამავალ **ა** ხმოვანს სრულად: **მუშობა, თებ-ზობა...** და ა.შ. ეს ფორმები საშუალო და უფროსი თაობის ჭუმათელთა მეტყველებაში დღეს იშვიათია, ახალგაზრდებში კი სალიტე-

რატურო ფორმით იხმარება.

მ ფ პროცესი: **ლეფსი** (ნემსი), **ფხარე**, **ფხნალი**... ამჟამად ჯუმათელთა მეტყველებაში არცერთ ამ შემთხვევაში **მ** არ გადადის **ფ**-ში და იგი უცვლელად რჩება: **ნემსი**, **მხარე**, **მხნალი**.

დ ტ პროცესი დამახასიათებელია ამ სოფლისათვის, ოღონდ ახალგაზრდებში იშვიათია: **გაკუჭტა**, **კტარი**, **დანწყტოული**, **დაანწყტოვ** (ეს უკანასკნელი ძირითადად „დაანწყტოვ“ ფორმით გვხვდება).

ჯუმათელთა მეტყველებაში აღარ გვხვდება „კარქი“ ფორმა, მაგრამ გვაქვს **დეიკარქა**, **გადაიკარქა**.

გახვა (გახყვა გაჰყვა), **ხავს** (ხყავს ჰყავს), **ხონდა** (ხქონდა ჰქონდა) ფორმების ნაცვლად დღეს ახალგაზრდები ხმა-რობენ **ყავს**, **ქონდა**, **გაყვა** ფორმებს.

დისიმილაცია მეტ-ნაკლებად თავს იჩენს სოფლის მეტყველებაში. მაგრამ ფუძისეული **-ეს** განმსგავსება, როცა მას უშუალოდ ერთვის **-ებ** (ეე იე): **ხიები**, **ღელიები** (აგრეთვე, შიგვხვეწეთ, შიგვდით) დამახასიათებელია მხოლოდ ასაკოვანთა მეტყველებისათვის (ისიც არა ყოველთვის).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული თანხმობანთა დისიმილაციიდან ჯუმათში არ გვხვდება: ნ—მ ნ—გ ე. . **რამდენივე**, **რამოდენივეჭერ**; მ—ნ—მ მ—ლ—მ **მალამდი** || **მალამდე**; მ—ნ მ—ლ - **იმდელი** || **იმდოლი**, **რამდოლი** (ეს ფორმები ასაკოვანთა მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს).

გურულში მეტათეზისი დაახლოებით ერთნაირად დასტურდება ყველგან, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებული მეტათეზისების შემთხვევები, ყველა ჯუმათელის მეტყველებაში ერთნაირად არ არის წარმოდგენილი: ასაკოვნებში მეტათეზისი ლ—რ ნ—ყ, ლ—ნ ნ—ლ, ბმ მბ და სხვა თითქმის უგამონაკლისოდ გვაქვს (გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს: ყ—ნ ნ—ყ — **ნოჟავს**, ყ—ნ ნ—ჯ - **ანჯანყება**, რაც არაა ამ სოფლის მეტყველებაში, ხოლო ხვედრ ხვრედ, საერთოდ სიტყვა „**დანხედრება**“ გამოიყენება „**დაანრედა**“ ფორმით, შესაბამისად აქ მეტათეზისზე ვერ ვისაუბრებთ). ახალგაზრდებში მეტათეზისის შემთხვევები არასისტემურია. დღეს ახალგაზრდებში ვერ შეგვხვდებით ფორმებს: **ყორისფელი** (რ—ლ ლ—რ), **მენალი** (ლ—ნ ნ—ლ), **მინუში** (ნ—მ მ—ნ) **ოზრუგეთი** (ზურ ზრუ).

ბგერის ჩართვის პროცესიდან ყველაზე გავრცელებულია **ბ**, **მ**, **ნ**, **რ**, **ვ** ბგერების ჩართვა: **გუმბრა**, **ვენწვალე**, **ანკლოვს**, **მისდღემჩი**, **უმფრო**, **მურთაქა**, **ურცხო**, **მაშვინ**, **ნაციხვარი**. გვაქვს **კ** და **პ** ბგერების ჩართვის შემთხვევები: **კკვალა**, **დაპწა**.

ბგერათა დაკარგვა (**მამისი**, **არკაცი** (არაკაცი), **ვეფერი** და ა.შ) და უკუმშველი ფორმების (**ქმარის**, **წყალიზა**, **საპონით** და სხვა) ხმარება ისევე გავრცელებულია ჯუმათელთა ყველა თაობის მეტყველებაში, როგორც ეს არაერთ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული.

ამგვარად, სამეცნიერო ლიტერატურაში გურულისათვის გამოყოფილი ფონეტიკურ მოვლენებიდან ამჟამად სოფელ ჯუმათის მეტყველებაში ბევრი აღარ გვხვდება, ამასთან სხვადასხვა თაობის მეტყველებაში მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თავისებურებათა შენარჩუნებაში დიდ როლს თამაშობს კონკრეტული პირის განათლების დონე.

კო ბ ა მი თ ა გ ვ ა რ ი ა (თბილისი)

ხმაბაძვითი სიტყვების ზოგი საკითხისათვის

ცნობილია, რომ ხმაბაძვითი სიტყვები ისევე შედიან ამა თუ იმ ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში, მსგავსად ექსპრესიული თუ ბავშვის ლექსიკისა, როგორც სხვა ლექსელები. მიუხედავად ხმაბაძვითი, ექსპრესიული და ბავშვის ლექსიკის მთავრობისა, ასეთი სიტყვები არაა სავალდებულო მაინცა და მაინც ერთი ენიდან მეორეში შესულად ჩაითვალოს — ისინი, შესაძლოა, დამოუკიდებელი, კონკრეტულ ენათა ენათშემოქმედების ნაყოფიც იყონ (გ. ბურჭულაძე).

მაგალითად, ქართ. **გუგული** ყველა ქართველურ ენაში დასტურდება ზან. **გუგულ**-ი, სვან. **გაგო** (არნ. ჩიქობავა), **გიგუ**, **გიგო** (გ. კლიმოვი).

ამ ლექსემათაგან ძირეულად **გუგ**- სეგმენტია მიჩნეული და მას სახავენ საერთოქართველური ერთიანობის დროინდელ ფუძედ, თუმცა სვანურის მონაცემთა მიმართება ქართულ-ზანურ მასალასთან

პრობლემატურადაა მიჩნეული, რაკი **გუგულ** ონომატოპოეტური ბუნებისააო (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე).

ხმაბაძვითია ანალოგიური სათანადო ფუძეები, მაგალითად, დალესტნურ ენებშიც: ხუნძ. **გიგუ, გიქუ**, ანდ. გაგუ; დარგ. **გიგუთ** და არაქ. **ვიქუნ** (<*გიქუნ <*გიგუნ) (გ. ბურჭულაძე). ამ მცირე მასალის მიხედვითაც კი დალესტნურ ენებში ქართველურ ენათა ***გუგ**-ის ეკვივალენტურ ფუძეებში ძირეულ მორფემებად გ, ქ, ქჰ, ყ, ჩ წარმოჩნდა.

ამოსავალი ამ თანხმოვანათვის კი, ცხადია, არის **გ, ქ**...

ასევე ხმაბაძვითია ქართულში ყვავი, ჩხიკვი, ოფოფი და მისთანანი.

ამათგან **ოფოფი** (მეგრ. ოფოფი, ჰან. ოფამფე, სვან. ოფოფა) ლექსემაზე მიუთითებენ, რომ იგი შესაძლოა, ქართველურ ენებში შეთვისებული იყოსო (არნ. ჩიქობავა) და უდარებენ მას სომხ. **jopop**, ლათ. **upupa** რომლებიც ინდო-ევროპულ ***epop** // **upop**-ს უკავშირებიანო (გ. კლიმოვი).

მიუხედავად ასეთი დამთხვევისა, შესაძლოა, არც ეს ფუძე იყოს შესული ქართველურ ენებში, შდრ. მაგ. ხუნძური **იფიფ** „ოფოფი“ (აგრეთვე **ჰუდჰუდ**). ასე რომ, არაა გამორიცხული „ოფოფის“ აღმნიშვნელი ფუძეები დამოუკიდებელი იყოს და არა ნასესხები. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი ე. წ. საბავშვო ლექსიკის ერთ შემთხვევასთან დაკავშირებით: „...სავსებით შესაძლებელია დამოუკიდებელი მსგავსი აგებულების სიტყვა მივიღოთ სხვადასხვა ენაში სესხების გარეშე“. მაგ. ქართ. **ბაბე** < **ბაბა**, ზან. **ბაბა**, ჰან. **ბაბა**, თურქ. **ბაბა** „მამა“, აფხ. **ა-აბ** „მამა“. ანალოგიური ფუძეები დასტურდება სხვა კავკასიურ ენებშიც.

კანონზომიერი, რეგულარული ბგერათშესატყვისობანი უნდა დასტურდებოდეს ამ რიგის სიტყვებშიც:

მაგ. მერცხალი <*მერწიხალი; სადაც **წირხ** — (რწიხ-) წარმოშობით ხმაბაძვითი ფუძეა, რომელიც მერცხლის ხმიანობას, მის ჰიკჰიკს ასახავს“ (ტ. გულდავა). ამ ფუძეს მეგრულში კანონზომიერად შეესატყვისება **მარჭინოლი (მაჭირნოლი)** (ქართ. ე: მეგრ. **ა** / ქართ. **წ**: მეგრ. **ჭ**).

ქართ. **ღერღერი** (*ღარღარი): ჰან. **ღორღონჯი**, მეგრ. **ღორღონჯი**, სვან. **ღარღად** „ბატი“.

არნ. ჩიქობავამ ქართლისათვის ამოსავლად ***ღარღად**-ი „ბატი“ ივარაუდა, რომლის კანონზომიერი შესატყვისია მეგრულ-ჰანურის

ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ფუძეები.

ქართულ ***ღარღად** ფუძეში იგივე ძირეული მორფემებია წარმოდგენილი, რაც გვაქვს „ლაპარაკი“, „ხმაურის“ — აღმნიშვნელ სემანტიკურ ველში გაერთიანებულ ზოგ ფუძეში, როგორცაა, მაგალითად, **ღარღილი** „ხმამალლა ლაპარაკი“ (გურ., იმერ.), **ღაღალური** „ხმამალალი და ტკბილი გალობა“ (გურ.) (გ. ბურჭულაძე).

ნიკოლოზ ოთინაშვილი (გორი)

მცენარეთა სახელწოდებების შესწავლისათვის

ზემო ქართლის ხეობებში ენობრივი, ონომატოპოეტური მასალის შეგროვებისას მცენარეთა სახელები და მათთან დაკავშირებული ტოპონიმიური ერთეულებიც აღვსუსხეთ. ისინი საინტერესოა და მრავალფეროვანია.

2009 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე, პროექტი, რომელიც გაიმართა რუსთაველის ფონდის დაფინანსებით „სამყაროს ხატი — ხალხური სამედიცინო ცოდნის ეთნოლინგვისტური ანალიზი“, ფარგლებში წარმოვადგინეთ მოხსენება სათაურით „სამყარნალო მცენარეთა სახელები ზემო ქართლში“. არეალი, ეტიმოლოგია, დიალექტური სახელები, რამაც საკმაო დაინტერესება გამოიწვია.

მცენარეთა სახელები ხშირად საფუძვლად უდევს ტოპონიმებს, ისინი იწარმოება ქართველური სიტყვაწარმოების საშუალებებით, რომლებიც დღესაც პროდუქტიულია.

2009 წლის კონფერენციაზე დავახასიათეთ სათოვლია, იგივე უტუნა, რომელიც ისტორიული პროვინცია გვერდისძირის აღმოსავლეთით ორობოძალას მთაზეა გავრცელებული. ეს მთა არის წყალგამყოფი მდინარეების პატარა ლიხვისა და მეჭუდისა. მთის აღმოსავლეთის მხრიდან სათავეს იღებს პატარა ღელე, რომელსაც მწყემსები „უტუნას ღელეს“ უწოდებენ. ეს მდინარე სათავეში ბუნებრივ მღვიმეში წარმოიქმნება, რომელიც სიგრძით ორასი მეტრია და ადამიანი

შიგ თავისუფლად გაივლის. მღვიმეში სიცივეა და იქიდან გამოსული ცივი ჰაერი გართ თბილ ჰაერს ეჯახება და წარმოიქმნის ყინულის სქელ ფენას და ივლისის თვეშიც კი ყინულია და მცირედ თოვლი, უცუნაც აყვავებულია.

სხვადასხვა ხეობაში დავაფიქსირეთ ასეთი მცენარეები და ხემცენარეები, რომელთა სახელებია: ეკალიჭი, იგივე კანკრა, ენძელა, იფანი, მრავალძარღვა იგივე ძაღლის ენა, მუხა, რკო, რცხილა, სოჭი და სხვები, რომლებიც ენობრივი და დიალექტური სახესხვაობითაც საფუძვლად უდევს ტოპონიმებს და ისტორიულადაც ასე მომდინარეობენ.

მცენარეთა სახელებიდან უნდა მოხდეს საერთო ძირის აღდგენა, რაც ენობრივად მნიშვნელოვანი ფაქტი იქნება.

ი ზ ო ლ დ ა რ უ ს ა ძ ე (ქუთაისი)

ილია ჭყონიას „სიტყვის კონაში“ საბა-სულხან ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები (წიგნის გამოცემიდან 100 წლისთავის გამო)

ნაშრომში მოცემულია ილია ჭყონიას „სიტყვის კონის“ (1910წ.) განხილვა. ეს ლექსიკონი შეიცავს 1910 წლამდე ქართულ პერიოდულ პრესასა და ჟურნალებში დაბეჭდილ-სალექსიკონო ერთეულებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის მასალა, რაც ი. ჭყონიას მოუპოვებია საბა-სულხან ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვების სახით.

წიგნის აღნაგობა ასეთია: 74 გვერდზე მოთავსებულია 1857 ლექსიკონი ერთეული. ზუსტ განმარტებებს ახლავს მითითება, თუ რომელი დიალექტიდანაა აღებული და ვისი შეკრებილია მასალა. ზოგიერთს მიწერილი აქვს გამოქვეყნების ადგილიცა და თარიღიც.

ლექსიკონში გვხვდება გურული, თუშური, იმერული, იმერხეული, ლეჩხუმური, ინგილოური, სვანური, ფშაური, ქართლური,

ქართლ-კახური, ძველი ქართული, ხევსურული დიალექტური ერთეულები და ქუთათური.

გურული სიტყვები ავტორს ა. გოგვაძის, მამია გურულის, თავად მიხაილ ნაკაშიძის, ნინო ნაკაშიძის, სიმონ გეგენავას, ტელეპაკ გურიელის ნაწერებიდან ამოუკრებია.

იმერული სიტყვები ვლადიმერ ბზვანელის, პეტრე მირიანაშვილის, იმერლის, დავით კლდიაშვილის, ნიკო აბდუშელიშვილის, ს. დათეშიძის, კონსტანტინე ერისთავის, კონსტანტინე ყიფიანის ნაწერებიდან და ზოგიერთის შედგენილი სალექსიკონო მასალებიდან აქვს შეტანილი „სიტყვის კონაში“ ავტორს.

ინგილოური მოსე ჯანაშვილის ნაწერებიდან აქვს ამოკრებილი, ფშაურ სიტყვებზე ვაჟა-ფშაველა და ბაჩანა არიან მითითებულნი, სვანური — თავისუფალი სვანის, ქართლური ეკატერინე გაბაშვილის თხზულებებიდან, ქართლ-კახური კი ზაქარია გულისაშვილის ნაშრომებიდან არის ამოკრებილი.

წიგნი გამოცემულია პეტერბურში 1910 წელს (типография императорской академии наук). ახლავს რუსულ ენაზე შედგენილი Предисловие, რომელსაც ხელს აწერს ნიკო მარი. აქვეა მოთავსებული შემოკლებული სიტყვებისა და სათაურების, ავტორებისა და შემკრებელთა სახელ-გვარების ახსნა (გვ. IV-V) .

სალექსიკონო ერთეულები დამოწმებულია სხვადასხვა დიალექტებით.

ილია ჭყონიას სიტყვის კონიდან ბევრი სიტყვა შეემატა ქართული ენის რვატომიან განმარტებით ლექსიკონს (1950-1964). ასევე, აქ წარმოდგენილი ლექსიკონი ერთეულები შევიდა ალ. ლლონტის ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში (თბ., 1984).

ი. ჭყონიას „სიტყვის კონა“ ქართული სალიტერატურო ენის სარეზერვო ფონდია. ის აუცილებელი და საჭიროა ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისათვის.

„უზეკე“ ლექსებისათვის მეგრულში

მეგრულში დასტურდება ფრაზეოლოგიური გამონათქვამი **უზეკეთ მუთუნ ვეჟინია**, მთქმელთა ახსნით, მისი მნიშვნელობა ასეთია „ბედისწერის გარეშე არაფერი იქნებაო (მოხდებაო)“.

აღნიშნულ ფრაზეოლოგიზმში საყურადღებოა (მეგრ.) **უზეკე** ფორმა, რომლის გამოყენების სხვა შემთხვევა ჩვენთვის არაა ცნობილი.

დ. ფიფიას სალექსიკონო მასალის მიხედვით, **უზეკოთ** (მეგრ.) ზმნიზედაა და განმარტებულია როგორც „უმიზეზოდ“ (სალიტ. ქართ.).

ვფიქრობ, **უ-ზეკ-ე** უარყოფითაფიქსიანი ლექსემაა. **ზეკ-** საერთოქართველური **ზაკ-** ძირის ვარიანტი უნდა იყოს: **უზეკე** **Æ უზაკვე** **Æ უზაკუე**.

ო. ქაჯაიას განმარტებით, **ზაკუა (ზაკუას)** სახელია **ზაკუნს** ზმნისა — 1. ზაკვა, ჩხიბვა — გათვალვა. **მაზაკვალეფ ზაკუას ნიტე შურო ვაყუას**. ქ.ხ.ს. I. გვ.24. — „მზაკვრები ზაკვამი ნეტავი სულაც არ იყვნენ. **მინსით ჭირი ოჭირუდუ, ვარა მითინ ბზაკუნდეს**: ქ.ხ.ს. I. გვ.330 — „ზოგსაც ჭირი სჭირდა, ან ვინმე გათვალავდა...“ (ო. ქაჯაია II, გვ. 8). აქვე დასტურდება **ზაკ-** ძირიანი **გოზაკუ** „გათვალა“, **გუუზაკუ** „გაუთვალავს“, მაზაკვალი „მზაკვარი“... **უზაკუ, უგუზაკუ** „გაუთვალავი“ შდრ. **ზაკუა** (იქვე, გვ. 9); ავტორს შეტანილი აქვს **უზეკოთ** ფორმაც და მითითებულია, რომ ეს ლექსემა დ. ფიფიას სალექსიკონო მასალიდანაა (ო. ქაჯაია III, გვ.57).

საერთოქართველურ **ზაკუა** ლექსემას ვხვდებით სულხან-შაბა ორბელიანის ლექსიკონში: **ზაკუა (ზაკვა)** „ზაკვა არის პირით სიყვარულსა იჩემებდეს და გულითა ბოროტი დაიმარხოს. მზაკვარი ეშმაკი არის... (საბა, I, გვ.273).

ძველ ქართულში **ზაკუვა** — ვერავობა (ზ. სარჯველაძე, 2004, გვ.431); **უზაკუველი** — „მართალი“, **უზაკუველობა** „სიმართლე“ (ზ. სარჯველაძე, 2004, გვ. 519).

ჩვენი აზრით, მეგრული უზეკე იგივეა რაც, უზაკუველი (ძვ. ქართ.), რომელიც სემანტიკურად დაუკავშირდა „ბედისწერას“: **უზეკეთ მუთუნ ვეჟინია** „ბედისწერის გარეშე არაფერი იქნებაო (მოხდებაო)“.

ზოგიერთი ნასახელარი ზმნის სემანტიკისათვის იმერულში

1. ქართული ენის დიალექტებში გავრცელებულია სახელურ ფუძეთაგან ნაწარმოები ზმნები, რომელთა სემანტიკაც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საერთოქართველურ, ისე კონკრეტულად ერთი დიალექტის, კერძოდ, იმერულის დონეზე. მაგალითად, იმერულში არის ზმნური ფორმა **აიანცება** (= აფორიაქება: *აიანცებს ყველაფერს*), რომლის ამოსავალი სახელური ფუძეა **ანცი** — ცელქი, დაუდგარი, მოუსვენარი (ჩვეულებრივ ითქმის ბავშვზე) (ქეგლ, I, 71). იმერ. **აიანცება** არ დასტურდება ლექსიკონებში, თუმცა ამავე ძირის ნასახელარი ზმნები გვხვდება ქართული ენის სხვა დიალექტებში, კერძოდ, ქართლურსა და გურულში: **აანცება** — აკლება, აფორიაქება (ალ. ლლონტი, გვ. 19); ინგილოურში არის: **ავანცება** = აკლება. **აივანცეს** — აიკლეს, ააფორიაქეს (იქვე, გვ. 24).

2. ზოგჯერ დიალექტში ესა თუ ის ნასახელარი ზმნა იფართოებს მნიშვნელობას. მაგალითად, **ბანი** პოლისემანტიკური სიტყვაა. მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა უკავშირდება ხმას, სიმღერას: **ბანი** — ხმა, რომელიც ეწყობა სიმღერას. ბანს ეუბნება. ბანს მისცემს (აძლევეს) (ქეგლ, I, 119). იმერულში გადატანითი მნიშვნელობით დასტურდება ამ სახელისაგან ნაწარმოები ზმნა **აებანიება: ამებანია** = ამეტორლილა, ამყვა (მაგალითად, საქმეში). **აბანიება** — სხვაზე აყოლა, გატოლება, ატორლილება (ლ. უკლება, 2010, გვ. 17);

3. საერთოქართველურ დონეზე საინტერესოა **კუნძ- / ყუნჯ- ჭუნც- / ყუნთ-კუნცნ-** სახელურ ფუძეთაგან ნაწარმოები ზმნების განხილვა: იმერულში არის: **დეიკუნძა (< კუნძ-)** = დაიხარა; **დეიკუნძება** = მოხრილი დადის. **დაკუნძვა** (გურ.) დაკუზვა, დახრა (ალ. ლლონტი, გვ. 176). ამავე სემანტიკისაა **ყუნც- / კუნცნ-** ძირის ზმნები: **დაიყუნცა / დაიკუნცნა** = ჩაიცუცქა. ამოსავალი ძირი საერთოქართველურ დონეზე იქნება: ***ყუც-**.

ქართ. **ყუც- / ყუნც-ი: ყუნც-ულ-ი**. ქართულ **ყუნც- (< *ყუც-)** ძირს შეესატყვისება მეგრული **ცუც-** (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, გვ.

546): მეგრ. **ცუც-უ-ა / ცუც-ინ-ი** = ყუნცვა; **ვ-ო-ცუც-უ-ქ** = ვიყუნცე-ბით.

ამავე სემანტიკურ ველს შეიძლება დავუკავშიროთ **დაყუნთებუ-ლი** (ფშ.) = დასკუბებული, წამომჯდარი ძაღლი, ბაყაყი (ალ. ღლონ-ტი, გვ. 193).

4. იმერულში დასტურდება სხვა ნასახელარი ზმნები: **დაბოფია-ლობს || დაბოფირობს (< ბოფიალი || ბოფირი < ბოფი)** (შდრ.: ფშ. **აბოფირებს** — ერთმანეთში რევს, შლის, აწიოკებს); **დაყაჭვა (< ყაჭ)** = დახარჯვა (ფულისა): **დაყაჭა ფულეობი; ჩამოყაჭვა** = ფულის მიცემა; ამბების თქმა. ჩამოყაჭე ფულები / ამბები; **ამოკუჭვა (< კუჭ)** (იმერ., რაჭ.) ამოძრობა, ძირით ამოგდება, ამოთხრა; **გაკუჭვა // გა-კუჭიანება** = გაბრაზება (გურ. — რ. სალინ.). **გაკუჭიანება** დას-ტურდება ჩვენებურების ქართულსა და ტაურში (შ. ფუტკ.). სემა-ნტიკური გადაწევის შედეგად უნდა იყოს მიღებული იმერული **და-კუჭვა** = დაჭმუჭვნა: **დაიკუჭება** გრდმ. (კუთხ.) იხ. დაიჭმუჭნება (ქეგლ, I, 376) (შდრ.: ქართლ. **დაკუნჭვა** = დაჭმუჭვნა (ალ. ღლონ-ტი, გვ. 176), აგრეთვე: იმერ., ლეჩხ. **დაჭუჭკნა** — დაკუნა = დაჭ-მუჭნა) (იქვე, 199)...

მოხსენებაში წარმოდგენილი სალექსიკონო მასალა საინტერესო იქნება დიალექტური ლექსიკონების სრულყოფის თვალსაზრისით.

ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა (თბილისი)

აფხაზებით დასახლებული აჭარის სოფლების ტოპონიმიდან

აჭარის ტოპონიმის მიეძღვნა როგორც მონოგრაფიული, ისე ცალკეული გამოკვლევები. მოხსენებაში განვიხილავთ აჭარის იმ სოფ-ლების ტოპონიმის, რომლებშიც XIX საუკუნეში გადასახლებული აფხაზი მუჰაჯირები დასახლდნენ.

მუჰაჯირი აფხაზები ძირითადად მკვიდრობდნენ ქალაქ ბათუმსა

და მის ახლომდებარე სოფლებში. ამჟამად ბათუმში აფხაზები კომ-პაქტურად ცხოვრობენ ე.წ. **გარადოკში** და **ლუდის ქარხნის** დასახ-ლებაში, რომელსაც ადრე „**აფხაზების უბანი**“ ჰქმევია, ასევე აჭა-რის სოფლებში.

ტოპონიმები ჩავიწერეთ შემდეგ სოფლებში: ფერია, სალიბაური, ჭარნალი, ქვედა სამება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ადრე დამოუკიდებ-ლად არსებული სოფლები (ანგისა, ადლია) ადმინისტრაციული ცვლი-ლებების შედეგად შეუერთდა ქალაქ ბათუმს და ადრე არსებული ტო-პონიმების დაკარგვისთვის ამასაც უნდა შეეწყო ხელი. მოხსენებაში განვიხილავთ იმ ტოპონიმებს, რომლებიც გამოცემულ გამოკვლევებში არაა შეტანილი, ან შესულია სხვა სტატუსით. თითოეულ ტოპონიმს ფრჩხილებში ვუთითებთ გავრცელების ადგილს.

მასალის ანალიზისას გამოიკვეთა ისეთი უბნები, რომელთა სა-ხელდება მომხდარა სათანადო ტერიტორიაზე ამა თუ იმ გვარის და-სახლების მიხედვით: **ქავთარაძეები** — უბანი (ს. ჭარნალი) (საწარ-მოებლად გამოყენებულია მრავლობითობის ან სუფიქსი).

მდინარეები: ჭარნალი (ადრე ჰქმევია ტყესა და ღელეს), **სია-გოლი** (ს. ჭარნალი) (თურქ. sira „რივი, მწკრივი“, göl „ტბა“), **ბარ-ცხანა** (ქვედა სამება), **მეჯინის წყალი** (ს. ადლია).

ღელეები: ჩახჩანის ღელე (ჩარჩანანი — ი. სიხარულიძე), **ჩერმუხღელე** (ს. ჭარნალი). სხვა სოფლებში (ფერია, ქვედა სამება, სალიბაური) ღელეებს კონკრეტული სახელები არ მოეპოვებათ, ზო-გადი სახელით (**ღელე**) მოიხსენიებენ.

წყაროები: კოკის წყარო (ს. ჭარნალი), **ანმედის წყარო** (ს. სა-ლიბაური). წყაროთა სახელწოდებების პირველი კომპონენტი ანთროპ-ტონიმია.

ტბები: აბანოს წყალი (ს. ჭარნალი) (აბანოწყალი — ტყე, ღე-ლე — ი. სიხარულიძე) — სამკურნალო ტბა.

საძოვრები: დიდი დუზი, დებიქდუზი (სიხარულიძესთან არის **დიბეგდუზი**), **ალიაღი დუზი** (ს. ჭარნალი). შესიტყვების მეორე წევ-რი არის თურქულიდან ნასესხები **დუზი** (თურქ. düz „ვაკე“).

ჭარნალში ყოფილა **ჩაის პლანტაცია**, სადაც მოგვიანებით ხალხი ძალით შეჭრილა და დასახლებულა. ამის გამო დაურქმევიათ **ნაძა-ლაღები**.

ჭარნალში ტყიდან გამოდის ჩანჩქერი და აღნიშნულ ადგილსაც **ჩანჩქერი** ჰქვია.

ი. სიხარულიძესთან ს. ჭარნალის ზოგი ტოპონიმი ჩაის პლანტაციას ან ციტრუსოვან ადგილს აღნიშნავს, ამჯერად იქ სამოსახლოებაა: **ქურთლული** (ქურთების უბანი; -ლულ-ი (<luk) — დანიშნულების გამომხატველი თურქული სუფიქსი) და **ყუზინანა** (ჩვენ დავადასტურეთ **ყუზიყანა|კუზიყანა**) „საბატკნე“, სადაც **ყუზი|კუზი** < თურქ. kuzu „ბატკანი“).

მნათობი ცალკე სოფლადაა გამოყოფილი ი. სიხარულიძესთან, ამჯერად სოფელ **ფერიაში** შედის.

ი. სიხარულიძის მონოგრაფიებთან ჩვენი მასალების შედარებამ გვიჩვენა, რომ ბევრი ტოპონიმი დავიწყებას მისცემია.

უცნაურია, მაგრამ ვერცერთ სოფელში ვერ დავადასტურეთ აფხაზური ტოპონიმები, თუმცა აქ აფხაზები 100 წელზე მეტია სახლობენ (ი. სიხარულიძეს დადასტურებული აქვს ერთადერთი აფხაზური ტოპონიმი ს. ანგისაში — აარცტი აბაარა).

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ზოგიერთ ტოპონიმთან დაკავშირებული მეცნიერული და ხალხური ეტიმოლოგიები.

ნ ი ნ ო ფ ხ ა კ ა ძ ე (ქუთაისი)

ლინგვოკულტურული ფენომენი და დიალექტი

1. სამყაროს ლინგვისტური ტრანსფორმაცია ენობრივი კოლექტივის ერთგვარი ხედვის შედეგია.

2. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ურთიერთსაპირისპირო შეხედულებები ენისა და ეროვნული იდენტობის მიმართების შესახებ. ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ქართველთა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა დასაბამიდანვე ავლენს უმნიშვნელოვანეს კავშირს ეთნიკურობასთან და ენობრივ „იდეოლოგიას“ მთელი ერის საკუთრებად წარმოაჩენს.

3. თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ორიენტირებამ ანთროპოლოგიურ თვალსაზრისზე ცხადი გახადა ენის შესწავლის საჭიროება სოციალური სტატუსის მქონე პიროვნებაზე ორიენტირებით, რომელიც კულტურული გარემოს წარმომადგენელია.

4. ენა სოციალური პროცესია (ლაბოვი). ენობრივი კოლექტივის სოციალური არაერთგვაროვნება განაპირობებს ენობრივი ვარიანტის — დიალექტის — კვლევის აუცილებლობას სოციალურ-კულტურული განსხვავებულობის გათვალისწინებით.

5. ვარიანტულობა უნდა განვიხილოთ როგორც მთლიანი პოტენციის ნაირგვარი რეალიზების შესაძლებლობა. მთლიანობა განსაკუთრებით კარგად მჟღავნდება ეთნოკულტურული ღირებულებების ლინგვისტური მანიფესტაციით. ეთნოკულტურა ქრონოლოგიური და სივრცული განზომილებების მრავალფეროვანი შენაკადების გამაერთიანებელია. განსხვავებულობა ეთნოკულტურის კომპონენტთა ერთობლიობად წარმოიდგინება. ეს არის მთლიანობა, რომლის ერთგვარობასაც კოლექტივის ერთგვარი აღქმა ადასტურებს. კომუნიკაციის ეფექტურობა ენის ტევადობითა და მასში აკუმულირებული კულტურული ცოდნით არის საფუძველდებული. კონცეპტთა ფორმირება, მათი გამოხატვა და აღქმა მთლიანი პროცესის განუყოფელი ნაწილებია.

6. დიალექტი, როგორც ენის შინაარსობრივი სიღრმის წარმომჩენი სტრუქტურა, ენობრივი კოლექტივის აზროვნების, ზნეობრივი ორიენტირების, სულიერი სწრაფვის გამომხატველია. მასში სამყაროს სურათი ენობრივი საზოგადოების ლინგვოკულტურული კონცეპტოსფეროს ადეკვატურია. საყოველთაოდ ცნობილია ქართული კულტურის ქრონოლოგიური სიძველე და შინაარსობრივი სიღრმე.

7. სტატიაში განხილულია ლინგვოკულტურული ფენომენის ვერბალიზების ზოგიერთი ასპექტი ქართული დიალექტების მიხედვით.

კითხვითი -ა ნაწილაკის ფუნქციური კვალიფიკაციისათვის ქართული ენის დიალექტებსა და ქართულ ოთხთავში

1. ძველ ქართულსა და ქართული ენის რამდენიმე დიალექტში (მთის დიალექტებში, გარდა მოხეურისა, ასევე ინგილოურში, რაჭულში, იმერულში) კითხვით ნაწილაკთაგან პროდუქტიულობით გამოირჩევა **-ა**, რომელიც ზოგჯერ კითხვით **-მე** ნაწილაკთან ერთად: მთიულ.: „**არ დარდობს-ა** დედაშენი?“; „**არა-მე-ა** ორნივე ჯორღმულსა შთაცვენ?“ (ლ. 6,39). მთიულურ-გუდამაყრულსა და ფშაურ დიალექტებში, ასევე სვანურში, კითხვითი **-ა** ნაწილაკის წინ ჩნდება ინტერვოკალური **ჲ** (ფშ. „**წავიდა-ჲ-ა**?“; სვან. „**ხონა-ჲ-ა**“ = „იცის?“), ხოლო ხევსურულში კითხვით **-ა** ნაწილაკს ზოგჯერ მოსდევს ხმოვანი **-ე** (**წავიდეს-ა-ე**?), რომელიც იმერულში კითხვით **-ა** ნაწილაკს ჩაანაცვლებს: „რა უყოთ-ე?“ (აკ. შანიძე, ბ. ჯორბენაძე).

კითხვითი **-ა** ნაწილაკი გამოირიცხავს კითხვითი ნაცვალსახელის არსებობას კითხვით წინადადებაში (აკ. შანიძე, თ. უთურგაიძე), გამონაკლისია ინგილოური, სადაც **-ა** ნაცვალსახელის ან ზმნიზედის შემცველ კონსტრუქციაშიც იჩენს თავს: „მინ **არის-ა**?“ = „ვინ არის?“ (ბ. ჯორბენაძე). ვარაუდობენ, რომ კითხვითი **-ა** ნაწილაკი ძველ ქართულში ჯერ ერთმარცვლიან წევრებთან დაისმოდა და შემდეგ განზოგადდა (შ. აფრიდონიძე), ხოლო **-ა** ნაწილაკის დასუსტებისა და გაქრობის მიზეზად ასახელებენ მის უმახვილობას ძველ ქართულში (არნ. ჩიქობავა, აკ. შანიძე, თ. უთურგაიძე).

2. კითხვითი **-ა** ნაწილაკი, კითხვითი **-მე** ნაწილაკისაგან განსხვავებით, მიჩნეულია შეკითხვის გრამატიკულ მორფემად, რომლის ფუნქციაა, აწარმოოს მხოლოდ კითხვითი ფორმა (თ. უთურგაიძე). ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს ქართული ოთხთავის შესაბამისი მასალა, კერძოდ: **-ა** კითხვითნაწილაკიანი (55) და **მე+ა** კითხვითნაწილაკიანი (4) კონსტრუქცია, რომელთაგან:

- ა) 25-ში კითხვითი **-ა** ნაწილაკი ოდენ ზმნა-შემასმენელს დაერთვის („**გულისგმა-ჰყავთ-ა** ესე ყოველი?“ — მ. 13,51);
- ბ) 30-ში კითხვით **-ა** ნაწილაკდართულ ზმნა-შემასმენელს ახ-

ლავს ნაწილაკები: **არა** „არ“ (12-გზის), **არა** ამისთვის „იმიტომ არ“ (1-გზის), **არცაღა** ესე „არც ეს“ (1-გზის), **ანუ** „განა“, **ანუ არა** „განა არ“ (3-გზის), **ანუ არა** ესე „განა ეს არ“ (2-გზის), **ნუ** „განა; ნუთუ“ (1-გზის), **ნუუკუე** „განა; ნუთუ“ (2-გზის), **უკუე** „მაშ; ნუთუ“ (2-გზის); დროის ზმნიზედა **არასაღა** „არასდროს“ (2-გზის), ვითარების ზმნიზედა **ესრეთ** „ასე“ (1-გზის). 2 სინტაქსური კონსტრუქცია ზმნა-შემასმენლის ელიფსისის შემცველია: „უფალო, რაოდენ-გზის შემცლდოს ძმამან ჩემმან, და მიუტეო მას? ვიდრე შვდ-გზისამდე-ა [შემცლოდოს]?“ (მ. 18,21); „უკუეთუ თივამ იგი ველისამ, რომელი დღეს არს და ხვალე თორნესა შთაეგზნის, ღმერთმან ესრეთ შემოღსის, **არა-მე** უფროდს თქუენ-ა [შეგმოსის], მცირედ-მორწმუნენო?“ (მ. 6,30);

გ) უკანასკნელი მაგალითი ერთ-ერთია 4 სინტაქსურ კონსტრუქციათაგან, რომლებშიც კითხვითი **-ა** ნაწილაკი კითხვით **-მე** ნაწილაკთან ერთად: ხან შერწყმულად — **არა-მე+ა** (ლ. 6,39), ხან განკვეთილად - **არა-მე ... -ა** (მ. 6,26; 12,11).

3. სამივე ტიპის **-ა** კითხვითნაწილაკიანი კონსტრუქცია, თავიანთი მიზანდასახულობით, განეკუთვნება საძიებო და სასწავლო-სამოძღვრებო (შეგონებით) შეკითხვებს. ქართულ ოთხთავში არსებული ყველა **-ა** კითხვითნაწილაკიანი კონსტრუქცია უგამონაკლისოდ შეიცავს შეკითხვის ერთსა და იმავე სემანტიკურ მოტივაციას,

ქართული ენის დიალექტებში კითხვით **-ა** ნაწილაკს მოეპოვება კითხვითობის სემანტიკის გამომხატველი მრავალწახნაგოვანი ფუნქცია (ჩაკითხვა — საპასუხო დადასტურების მოტივაციით, თხოვნა, მოლოდინი, გაკვირვება, განცვიფრება, დაეჭვება და სხვა). ამის საპირისპიროდ, ქართულ ოთხთავში კითხვით **-ა** ნაწილაკს აქვს ერთადერთი ფუნქცია: ჩაკითხვა-ჩაძიება ან დაზუსტება-დაკონკრეტება — დადასტურების (და არა ალტერნატიული, ანუ დადასტურება-უარყოფის) მოტივაციით, რაც ახალ ქართულად უმეტესწილად გადმოიცემა ჩაკითხვა-ჩაძიების **განა** (იშვიათად — გაკვირვების **ნუთუ**) კითხვითი ნაწილაკით, რომელიც ზოგჯერ ელიფსისითაა წარმოდგენილი: „**ანუ არა ჯერ-არს-ა** ჩემდა, რაღცა მინდეს, ყოფად ჩემსა ზედა?“ = „**განა** არ შეიძლება, როგორც მინდა, ისე მოვექცე ჩემსას?“ (მ. 20, 15); „ვის უკუე თქუენგანსა მამასა სთხოვდეს ძე პურსა, **ნუუკუე** ქვა? **მი-**

სცეს-ა მას?“ = „რომელი თქვენგანის მამა, თუ სთხოვს ძე პურს, **განა / ნუთუ** ქვას მისცემს მას?“ (ლ. 11, 11); „შენ **უკუე ხარ-ა** ძე ღმრთისა?“ = „**ნუთუ** შენ ხარ ძე ღმრთისა?“ (ლ. 22, 70).

ქართული ოთხთავის საანალიზო მასალა ადრესანტ-ადრესატის გადანაწილების თვალსაზრისითაც არის საყურადღებო: **33** სინტაქსურ კონსტრუქციაში ადრესანტი (შემკითხველი) უფალი იესო ქრისტეა, ხოლო დანარჩენ **26**-ში იგი ან ადრესატია, ან კიდევ ადრესანტი მასთან მიმართებით სვამს შეკითხვას — იგია შეკითხვის ობიექტი. ადრესანტ-ადრესატის გადანაწილების ამგვარ თავისებურებას განაპირობებს სახარებისეული შეკითხვის საგანგებო საღვთისმეტყველო დანიშნულება: მკითხველისა თუ მსმენელის გულისყური ცხონების ძიებისაკენ ბუნებრივად აღძრული შეკითხვებით წარიმართოს.

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი (თბილისი)

მრავალგზისობის გამოხატვა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მრავალგზისობის გამოხატვის სხვადასხვა საშუალება გამოვლინდა. პოემებში მოქმედება ძირითადად ხდება ხევსურეთსა და ფშავში და ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ამ დიალექტებში მრავალგზისობა ორგანულად გამოიხატება; ნიშანდობლივია ისიც, რომ ხევსურულსა და ფშავურში მრავალგზისობის ფორმობრივად განსხვავებულია: ხევსურულში I და II პირს აწარმოებს -იდ-ი სუფიქსი, ფშავურში — -ოდ-ი, ხოლო ორივე დიალექტს III პირის ფორმა ძველი ქართულის მსგავსად ეწარმოება. ვაჟას პოეზიაში მრავალგზისობის გამოხატვის ორივე დიალექტისთვის დამახასიათებელი ფორმები გამოიყენება.

II ხოლმეობითის III პირის ფორმები:

„როცა **გამოჩნდის** ღრუბელი/ წვიმამ **დაიწყის** შრიალი,
დევთ ლახტი **მიუღირიან**/ და ასტეხიან ღრიალი
გაქრის წვიმა და ღრუბელმა/ უკვე **იწყიან** ტრიალი“
(„კობალა“)

როგორც აღვნიშნეთ, ხევსურულში ხოლმეობითის მწკრივს III პირის ფორმა ძველი ქართულის მსგავსად ეწარმოება, მაგრამ ვაჟასთან გამოვლინდა იმგვარი შემთხვევა, III პირის ხოლმეობითის ფორმა I და II პირის ანალოგიით იწარმოება **გააფხავილის**, I და II პირის -იდ-ი სუფიქსიანი ფორმები კი არ შეგვხვდნია:

„ეს რომ ალუდამ გაიგო,/ თოფს დაუპირა ტალიო,
აისხა იარაღები/ **გააფხავილის** ხმალიო“.

(„ალუდა ქეთელაური“)

ვაჟასთან შევხვდით ფშავურისთვის დამახასიათებელ -ოდ-ი სუფიქსით ნაწარმოებ ხოლმეობითის მწკრივებს, რომლებიც III პირის ფორმებით გადმოიცემა და გამოხატავს თხოვნა-მუდარას. ხოლმეობითის ამგვარი წარმოება ფშავურისთვის არის დამახასიათებელი:

„მალლისა მთისა წვერზედა/ საფლავი **გამითხაროდი**,
ჩემის სამშობლოს ქვიშანი/ ხშირ-ხშირად **მომაყაროდი**“.

(„სიმღერა“)

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ზოგჯერ მრავალგზისობა უწყვეტლის მწკრივით გამოიხატება:

„ნეტავი იმას, ვინაცა,/ მაგის მკლავზედა **სწვებოდა**,
ვისისა მკერდი, აწ კრული,/ მაგის გულ-მკერდზე **სწვებოდა**“.

(„სტუმარ-მასპინძელი“)

ვაჟასთან მრავალგზისობა აგრეთვე გამოიხატება ლექსიკური საშუალებებით:

„ეს იყო **მუდამ**, ჭკვათხელო/ ჩვენის გაქლეტის ცდაშია,
მგლურად რომ გვეტეგებოდა,/რომ გვიჯდებოდა გზაშია“

(„სტუმარ-მასპინძელი“)

კიდევ ერთი მაგალითი:

„იცოდა, გველსა ჰხარშავდენ, იმასა სჭამდენ **ხშირადა**;
ქაჯნი ქაჯობით იტანდენ/ გველის მიღებას პურადა“.

(„გველის მჭამელი“)

როგორც ვხვდებით, ვაჟას შემოქმედებაში შევხვდით მრავალგზისობის გამოხატვის ისეთ საშუალებებს როგორცაა ხოლმეობითის მწკრივები, უწყვეტლის მწკრივები და ლექსიკური საშუალებები, მაგრამ არ გვხვდება სალიტერატურო ქართულისთვის დამახასიათებელი „ხოლმე“ ნაწილაკი.

ნატო შავრეშიანი, მედეა საღლიანი (თბილისი)

უკავშირო ჰიპოტაქსური წინადადებისათვის სვანურში

ქვეყნობილ წინადადებაში გვაქვს შემთხვევები, როცა დაქვემდებარების გარეგანი ნიშნები (მაქვემდებარებელი კავშირები, წვერ-კავშირები) ფორმოზრეზად გამოხატული არ არის, მიუხედავად ამისა, წინადადებათა ურთიერთმიმართება მაინც დაქვემდებარებითია. ასეთ ჰიპოტაქსურ წინადადებაში შემავალი დამოკიდებული წინადადების მიმართება მთავართან ინტონაციით გამოიხატება.

მოხსენებაში საუბარი იქნება უკავშირო ქვეყნობილ წინადადებაზე სვანურში, რომელიც ქვემო სვანურ დიალექტებში არცთუ ხშირად დასტურდება. სხვადასხვაობაა ინტონაციის თვალსაზრისითაც, უკავშირო წინადადებებში ინტონაცია ყველაზე გამოკვეთილია ზემოსვანურ დიალექტებში, განსაკუთრებით ბალსქვემოურში (ზოგჯერ ბალსზემოურშიც), რომელიც აშკარად გვავრძობინებს კავშირის ან საკავშირებელი სიტყვის კონპენსირებას სვანურის სხვა დიალექტებთან შედარებით. მაგ.:

ლარლარარუნ ესღრ უჩქას ლიზგრზე ლაზბინე (ზზ., სვან. ენის ქრესტ., 69) „მინდორზე რომ ჩადიოდა, მაშინ ბუტბუტი დაიწყო („სათიბებს“ ქვე მიდის, მაშინ ბუტბუტი დაიწყო)“

ლიგემს ქა ილიესგზ, ერქანღტე სვა ზომტემზ ლემასგუ (ბქ., სვან. ენის ქრესტ., 198) „აშენებას რომ მოილეგს, მერე შეუნთებენ ცეცხლს („აგ-ებ-ა-ს დაამთავრებენ. მერე შეუნთებენ ცეცხლს“)“

ალე ბესის ქა ხასგნდ, უენკიდ ჟავ (ლზზ., სვან. ენის ქრესტ., 249) „ეს ბესის რომ შემოესმა, აილო ტიკი („ეს ბესის შემოესმა, აილო ტიკი“)“

ზა ქამეჩედ, ზომკომნა ერქა მიჩა გასამრჯელო (ლზზ., სვან. ენის ქრესტ., 249) „წელიწადი რომ გასულა, უთხოვია მაშინ თავისი გასამრჯელო („წელი გასულა, უთხოვია მაშინ მისი გასამრჯელო“)“

ლგვას ევლა ხათრეხ ამზუმ ხანს, **ზონამდ ლოქ იცხემ** (ჩოლ.) „რძეს იმიტომ ასმევენ ამდენი ხანი, კარგად გაიზრდებო („რძეს იმისთვის ასმევენ ამ-ზომა ხანს-ს, კარგად იზრდება“)“.

ხშირად ჰიპოტაქსურ წინადადებებში მთავარში არ არის წარმოდგენილი საკორელაციო სიტყვები, თუმცა მათი აღდგენა, ქართულის

მსგავსად, ადვილად შეიძლება. ამ სახის წინადადებებშიც არაერთგვაროვანი სურათია.

ეთერ შენგელია (თბილისი)

სამოსლის საწარმოებლად გამოყენებული ხელსაწყოების სახელწოდებანი მეგრულ-ლაზურში

სამოსლის საწარმოებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის ხელსაწყო. ამ თვალსაზრისით ლექსიკა ფართოდ არის წარმოდგენილი მეგრულ-ლაზურში.

მოცემულ სემანტიკურ ჯგუფში გაერთიანებულია სამოსლის შესაკერად, მოსაქსოვად, მოსაქარგად, გამოსათლელ-გამოსატრელად, გასაზომად გამოყენებულ ხელსაწყოთა სახელწოდებანი.

სამოსლის შესაკერად გამოყენებულ ხელსაწყოთა სახელწოდებანი:

მეგრ. **ლეშ**-ი || **ლეფშ**-ი || **ლიფშ**-ი || **ლიშ**-ი || **მეშ**-ი „ნემსი“, ლაზ. **ლემშ**-ი; მეგრ. **ლიშიშ**-ი **ცუჯ**-ი „ნემსის ყუნწი“, ლაზ. **ლემშიშ**-ი **ცუჯ**-ი; მეგრ. **ლიშიშ**-ი **წვანჯღ**-ი; მეგრ. **მანათ**-ი „მანათი“, ლაზ. **დიდ**-ი **ლემშ**-ი || **ბიზ**-ი; მეგრ. **ოდგიშ**-ი „სადგისი“, ლაზ. **იბეტ**-ი; მეგრ. **სათითე** „კერვის დროს სახმარი“ (ხელსაწყო), ლაზ. **სათით**-ი || **ლუქსუდ**-ი; მეგრ. **ოჭალი მაშინა** || **მანქანა** საკერავი მანქანა, ლაზ. **ოჭუში მაქენა** || **მაქინა** || **მაქენა** || **მაშინა** || **მაშენა**; მეგრ. **ხეშ**-ი **მაშინა** || **მაშენა** „ხელის მანქანა“ ლაზ. **ხეშ**-ი **მაშენა** || **მაქენა**; მეგრ. **კუჩხეშ**-ი **მაშინა** „ფეხის მანქანა“, ლაზ. **კუჩხეშ**-ი **მაქენა**; მეგრ. **მარქვა** „მაქო“ მეგრ. **მარსა** „მასრა“, ლაზ. **მასლა** „მარსა“.

სამოსლის მოსაქსოვად გამოყენებულ ხელსაწყოთა სახელწოდებანი:

მეგრ. **დაძგა** „დაზგა“, მეგრ. **ბზინგი**-ი „საქსოვი დაზგის ნაწილი“, მეგრ. **აბზა** || **აფზა** || **აფზვა** 1. „ბეჭი, ცხენის წინა ფეხები“; 2. საქსოვი მოწყობილობის ნაწილი, სავარცხელი. ლაზ. **აფზა** „საქსოვი დაზგის ნაწილი“, მეგრ. **ორშვალ**-ი „ქსელი, საქურალი, საგურალი“, მეგრ. **ფარფალია** „საქსოვი დაზგის ნაწილი, იგივეა, რაც სარსოლი“;

მეგრ. **ჩერია** „ითისტარი, ჩერია“; მეგრ. **ყაზნახ** II **ყაზნახ**-ი „ყაისნა-ლი“; მეგრ. **ჩხირ**-ი (**ჩხირეფ**-ი) „ჩხირი“ („ჩხირები“) II **ოშუალ**-ი **ჩხირ**-ი (**ჩხირეფ**-ი) „საქსოვი ჩხირი“ („ჩხირები“), ლაზ. **მჩხილ**-ი „ჩხირი (საქსოვი)“ II **ოშუში ჩხირეფე**; მეგრ. **რულე** „საქსოვი და-ზგის ნაწილი“; მეგრ. **საორშუალო**; მეგრ. **საოშუალე რიკი** „საქსოვი მოწყობილობა“; მეგრ. **ორცხონჯ**-ი II **ორცხონდ**-ი „სავარცხელი (სა-ქსოვი დაზგის ნაწილი)“; ლაზ. **ონცხონჯ**-ი, **ოცხოჯ**-ი „სავარცხელი“; ლაზ. **მცხაჯ**-ი „სავარცხელი (საქსოვი დაზგის ნაწილი)“; ლაზ. **საფექ-რო**, **ოცხოჯ**-ი „დგომი, მასური (= მასრა), მასული“; ლაზ. **ალამიდ**-ი, **ანამიდ**-ი „საქსოვი დაზგის ცილინდრული ნაწილი“; ლაზ. **ზემჯ**-ი „სა-ქსოვი დაზგის ნაწილი“; მეგრ. **ეიოზეგალ**-ი „ასაქსელი (საქსოვი და-ზგის ნაწილი)“.

სამოსლის მოსაქარგად გამოყენებულ ხელსაწყოთა სახელწოდებანი:

მეგრ. **ქარგა** „ქარგა“ ლაზ. **გერგეფ**-ი „ქარგა, საქსოვი დაზგის ნაწილი“.

სამოსლის გამოსათლელ-გამოსაჭრელად გამოყენებულ ხელსა-წყოთა სახელწოდებანი:

მეგრ. **მარგატელ**-ი „მაკრატელი“, ლაზ. **მაკას**-ი; მეგრ. **ჩევიჩ**-ი „დანის მსგავსი საჭრელი“; მეგრ. **თლაჭევიჩ**-ი „ტყავის გასათლელი“, **კარაინჩ**-ი „ძირის პირების მოსაჭრელ-მოსასუფთავებელი“; მეგრ. **ჭუ-ბურსან**-ი „ძირების გასასუფთავებელი“;

საზომი ხელსაწოები:

მეგრ. **ოლარაჲ** „სანტიმეტრი“, „საზომი“; მეგრ. **თანგ**-ი „თარგი“, „ტანისამოსის ზომა“;

გამოიყოფა საერთოქართველური, საკუთრივ მეგრულ-ლაზური და ნასესხები ლექსიკა. მასალა მნიშვნელოვანია წარმოების თვალსაზ-რით. გამოვლენილია: მარტივი, ნაწარმოები ერთეულები და შესი-ცუვებანი.

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა (თბილისი)

მეგრული კათ- ძირის შესახებ

მეგრულ **კათ-** ძირი მრავალი ზმნური ფორმის შემადგენლობაში გვაქვს და მნიშვნელობათა ფართო სპექტრით გამოირჩევა: **კათანს** „კრებს“, **იკათუნა** „იკრიბებიან“ (ერთ ცნობილ ლექსში ნათქვამია: ჩქიმი სქვაში საქორთუომ მადშალიეფქ დიკათეს „ჩემი ლამაზი საქართველოს ბულბულები შეიკრიბნენ“), **აკათუ** „უერთდება“; (შე)ერევა“; **მიაკათუ** „(მი)უფარდება“; **მაკათუ** „ეწყება (ტკივილი, ავადმყოფობა)“...

გვაქვს **კათ-** ძირისაგან ნაწარმოები მასდარის პარალელური ფორმები: **კათა** II **კათუა** II **კათაფა** II **კათინი** „შეკრება, შეერთება, მივარდნა...“ მოქმედებითი გვარის მიმღობის ფორმა იწარმოება **მა—ალ** კონფიქსით: **მაკათალი** „შემკრები, შემაერთებელი...“; ვნებითი გვარის მიმღობის რამდენიმე ფორმა დასტურდება: ნ. დროისა — **კათელი** II **კათილი** II **კათაფილი** „შეკრებილი, შეერთებული, შერეული...“ და მყოფადისა — **ოკათალი** „შესაკრები, შესაერთებელი, შესარევი...“

კათ- ძირზე დამყარებული საინტერესო ფორმებია: **ოკათუეში** II **ოკათუ** II **ოკათური** II **ოკათურე** „შესაკრები ადგილი“.

როგორც ცნობილია, მეგრული **კოჩი** „კაცი“ სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმაა **კოჩეფი** „კაცები“, მაგრამ ამავე მნიშვნელობით უფ-რო ხშირად იხმარება სხვა ფუძე: **კათა** „კაცები, ხალხი, ადამიანები“, რომელიც **კათა** მასდარს უნდა უკავშირდებოდეს (პ. ჭარაია, ი. ყიფ-შიძე); ივარაუდება მასდარის გასუბსტანტივება. განსხვავებული თვალ-საზრისები ეკუთვნის ა. ცაგარელსა და ქ. ლომთათიძეს.

მეგრული **კათ-**, როგორც ერთ-ერთი კომპონენტი, არაერთი კომ-პოზიციის წარმოებაში იღებს მონაწილეობას: **ქომოლ-კათა** „მამაკაცე-ბი“ (შდრ. მხ. **ქომოლ-კოჩი** „მამაკაცი“), **ოსურ-კათა** „დედაკაცები“ (შდრ. **ოსურ-კოჩი** „დედაკაცი“), **ბოშ-კათა** „ყმაწვილკაცები“ (შდრ. **ბოშ-კოჩი** „ყმაწვილკაცი“), **მუშა-კათა** „მუშა-კაცები“, **ლალა-კათა** „ზარმაცი ადამიანები“ (შდრ. **ლალა-კოჩი** „ზარმაცი კაცი“), **ჩიმა-კა-თა** „ძმა-კაცები“ (შდრ. **ჩიმა-კოჩი** „ძმაკაცი“)...

კათა შეიძლება მრავლობითი რიცხვის ფორმითაც შეგვხვდეს: **კა-თეფი** „კაცები, ადამიანები“.

საინტერესოა იდიომატური გამოთქმა **კათაშ აკოძახება** „ხალხის თავმოყრა რალაც პრობლემური საკითხის განსახილველად, გადასაწყვეტად“ (ზედმიწ. „ადამიანების შემოძახება“). იდიომაში გამოყენებულია ქართულიდან ნასესხები ძირი **ძახ** (როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, მისი შესატყვისი ძირია მეგრულში **ჯონ**, ოღონდ — სხვა მნიშვნელობით).

რაც შეეხება **კათ**- ძირის კავშირს ქართველურ ენთა სათანადო მასალასთან, აქ პირველ რიგში აღსანიშნავია ლაზური დიალექტის **კათ**- „შერევა, გაყოლა“ ზმნურ ძირთან მიმართება (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა). სამეცნიერო ლიტერატურაში მეგრულ-ლაზურ **კათ**- ძირს აკავშირებენ მის ფონეტიკურ შესატყვის ქართულ **კეთ**-ს „რომელიც წარმოდგენილია **აკეთებს** „რასმე საქმიანობს“ და (შე)უკეთებს „შემას... შეუმატებს“ ზმნებში (ნ. მარი, გ. კლიმოვი, ჰ. ფენრიხი — ზ. სარჯველაძე), თუმცა არ არის გამორიცხული აქ ომონიმურ ძირებთან გვეჭიდეს საქმე.

ი რ ი ნ ე ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე (ქუთაისი)

ნიკოლო მაკიაველის ლინგვისტური თვალსაწიერი: პოლემიკური დიალოგი ენის თაობაზე

ენობრივი სიტუაცია კომპლექსური ხასიათის მოვლენაა; ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ აქვს სწორხაზოვანი ბუნება, მისი დამახასიათებელი ნიშნები ყოველთვის ვერ ლაგდება ერთ, სწორ ხაზზე, ყოველთვის არ იზომება ერთი და იმავე კრიტერიუმებით. აქედან გამომდინარე, მის არსში ჩასაწვდომად ვერ ვიტყვით უარს ამ პრობლემის კვლევაში არსებულ მიდგომათა მრავალრიცხოვნებასა და მრავალფეროვნებაზე, ვერც შესაბამისი გზით მიღებული მონაცემების გათვალისწინებაზე. ენობრივ სიტუაციათა ტიპოლოგიური მოდელებიდან ერთ-ერთი ამგვართავანია შეფასებითი ანუ ესტიმაციური მიდგომა. იგი გულისხმობს იმ ნიშან-თვისებათა გამოვლენა-წარმოჩენას, რომლებიც იდიომათა შინაგანი და გარეგანი შეფასებიდან გამომდინარეობს. ენა ფასდება თავისი ძირძველი მომხმარებლებისა და სხვა ენებ-

ზე მოლაპარაკების მიერ მისი საკომუნიკაციო გამოსადეგობის თვალსაზრისით, ესთეტიკური, კულტურული, პოლიტიკური პრესტიჟულობის ჭრილში და ა. შ. შინაგან შეფასებათა ერთობლიობის საშუალებით შეიძლება დადგინდეს მოცემული ენობრივი ერთობის ე.წ. „ენობრივი ლოიალობის“ ხარისხი, ანუ საკუთარი დედაენის მიმართ ერთგულების დონე.

საერთოდ, როდესაც ამა თუ იმ ენის შესახებ ვსაუბრობთ, ხშირად გვიწევს სხვადასხვა სახის შეფასებების კეთება; ფასდება სიტყვები, გამონათქვამები, ტექსტები, ასევე იდიოლექტები, დიალექტები და მთლიანად ენებიც კი.

ენათმეცნიერების ისტორიაში მრავლად გვხვდება ენათა შეფასებითი შედარების მაგალითები; ეს ის შემთხვევებია, რომელთა დროსაც მკვლევარი თითქოს ერთმანეთს აჯიბრებს ორ ან მეტ ენას. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ წიაღსვლათა უმრავლესობას არაკორექტული შედეგი ჰქონდა, ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ „პრობლემის სირთულის წინაშე კაპიტულაცია გამოვაცხადოთ“ (კომლვეი, 1981).

შეფასებითი მიდგომის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი აღწერილია რენესანსის დროინდელი იტალიელი სახელმწიფო მოღვაწისა და ფილოსოფოსის, დიპლომატისა და მწერლის ნიკოლო მაკიაველის (1469-1527) საენათმეცნიერო თხზულებაში **„მეტყველება ან დიალოგი ჩვენი ენის შესახებ“** („Discorso o dialogo intorno alla nostra lingua“), რომელშიაც სათანადო ენობრივ, კერძოდ, ენის წარმოშობის, სიტყვათა სესხების, იტალიური სალიტერატურო ენის დიალექტების მასალებზე მსჯელობის პროცესში მეტად საინტერესო დაკვირვებებს იძლევა.

თხზულების მიხედვით, წინამდებარე მოხსენებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **ნიკოლო მაკიაველისა და დანტე ალიგიერის** ლინგვისტური პოლემიკური დიალოგი, რომელშიც ავტორი იტალიური ენისა და დიალექტების სოციოლინგვისტურ განზომილებებს გვაწვდის, რაც უაღრესად ფასეულ ინფორმაციას წარმოადგენს.

მ ე რ ა ბ რ უ ხ უ ა (თბილისი)

ზედსართავ სახელთა ბრუნების ერთი თავისებურებისათვის მეგრულში

თავისებურება, რომლის შესახებაც სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ ყოფილა მითითება, თავს იჩენს ვითარებითი ბრუნვის რეალიზაციის დროს; კერძოდ, საყოველთაოდ ცნობილი **-ო // -ოთ** დაბოლოების გვერდით დადასტურდა **-აშ-ე** რთული შედგენილობის მარკერი, როცა ერთმანეთის პარალელურად გვექნება როგორც ჯგირ-**ო // ჯგირ-ოთ**, ასევე ჯგირ-**აშ-ე**; ორივე ფორმის შესატყვისად სალიტერატურო ქართულში გვექნება კარგ-**ად**, ანუ **-ად** ბრუნვის ნიშნით გამონატული გრამატიკული სემანტიკა.

რა წარმოშობისაა მეგრული **-აშ-ე** დაბოლოება?

ამის გასარკვევად ძვირფას ინფორმაციას გვაწვდის მეგრულის სამურზაყანოული კილოკავი, სადაც ამოსავალი **-აშ-ო** სახეობა ჩანს დაცული: ჯგირ-**აშ-ო** „კარგად“, ჭკვერ-**აშ-ო** ჭკვიანად“, ეფ-**აშ-ო** „იფად“, ბონ-**აშ-ო** „სწორად“, გენძ-**აშ-ო** „გრძლად“...

ბუნებრივია, ვიფიქროთ ბოლოკიდური **-ო** საკუთრივ ვითარებითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო საყრდენი **-აშ** შიშინა სახეობა უნდა იყოს მეგრულში კარგად ცნობილი **-ას** (ჯგირ-**ას**, ჭკვერ-**ას**, ეფ-**ას**, ბონ-**ას**...) დაბოლოებისა. ფონეტიკურად ამგვარი ახსნა შესაძლებელია, ვინაიდან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში განშიშინების **შ** → **ს** პროცესი განხორციელდა, მაგრამ **ო** ხმოვნის წინა პოზიციაში ისტორიული **შ** შენარჩუნდა.

ნ ა ტ ო წ უ ლ ე ი ს კ ი რ ი (ქუთაისი)

ექვთიმე თაყაიშვილი ჭოროხის „ბასეინის“ სოციოლინგვისტური პროფილის შესახებ

1939 წელს პარიზში გამოცემულ ჟურნალში „ქართლოსი“ დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის წერილი „სამუსულმანო საქართველო“, რომელშიაც მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ჭოროხის „ბასეინის“ სოციოლინგვისტური პროფილის შესახებ.

წერილის ერთ-ერთ ქვეთავში „მოკლე ისტორია ჭოროხის ბასეინისა“, ავტორი საუბრობს ამ დასახლებული პუნქტის ეთნიკურ და ენობრივ ყოფაზე. დასაბუთებული პუნქტის ეთნიკურ და ენობრივ სოციალური როლი მკვეთრადაა შეცვლილი, კერძოდ, იგი თანდათან დავიწყებასაა მიცემული და მისი ადგილი „თათრულ ენას“ უჭირავს. ექვთიმე თაყაიშვილი ამ ფაქტს შემდეგნაირად ხსნის: „ამას ხელი შეუწყო პირველად სიადვილემ თათრული ენისა, გადმოსახლებამ თათრებისა ქართველ მკვიდრთა შორის, სკოლებმა, სადაც მხოლოდ ყორანს ასწავლიდნენ თათრულ ენაზე და სხვა“.

ქართული ენა მთის მიუვალ ადგილებს შემოუნახავს, რელიეფურ სირთულეს მცველის როლიც უტვირთია და მთის მივარდნილ ადგილებში ენაც შენახულა.

მნიშვნელოვანია გენდერული კუთვნილებისა და სოციალური მოხმარების საკითხიც. ავტორი ხაზგასმით წერს: „მამაკაცებმა ყველამ იცის თათრული, მაგრამ თათრულად ელაპარაკებიან მხოლოდ უცხოელებს და ოსმალთა თანამდებობის პირებს. თავიანთ შორის, ოჯახში მარტო ქართულად ლაპარაკობენ; ნამეტნავად ქალები და ბავშვები“.

ავტორი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ბათუმის ოლქში ქართული ენა ბევრად უკეთესადაა დაცული, ვინაიდან „აქ ქობულეთლებსა და აჭარლებს ყველაზე კარგად აქვთ შენახული ქართული ენა“.

მოხსენებაში განხილული იქნება აღნიშნული წერილის სხვა მნიშვნელოვანი მომენტებიც, მათი ისტორიული და თეორიული ახსნა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე სოციოლინგვისტური სურათის დადგენის თვალსაზრისითაც.

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე (თბილისი)

კუთვნილებითი კომპოზიტები რ. ინანიშვილის სამწერლო ენის მიხედვით

რ. ინანიშვილის ენა სადა, ლაკონიური და ეკონომიურია, ამასთან ერთად შინაარსით ფრიად ტევადი, გამომსახველობითი და ხატოვანი. მწერალი ყოველივე ამას სხვადასხვა ენობრივი საშუალებით

აღწევს. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია კომპოზიცია (რედუქციაციათურთ). მწერალი მხატვრული სახის შესაქმნელად იყენებს როგორც ენაში უკვე საყოველთაოდ ცნობილ კომპოზიტებს, ისე თვითონ სხვადასხვა სიტყვათა შეკავშირებით ქმნის ახალს, როგორც კუთვნილებით, ისე განსაზღვრებით კომპოზიტების. რა თქმა უნდა მწერალი სიტყვათქმნადობისას იცავს ქართული ენისათვის დამახასიათებელ კომპოზიციის წესებს, ახალია მხოლოდ ამ სიტყვათა შეხამებები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გასამიჯნია ავტორისეულ მეტყველებასა და პერსონაჟთა მეტყველებაში გამოყენებული კომპოზიტების ლექსიკურ ერთეულთა შემადგენლობა. ამჯერად შევხებით მხოლოდ მწერლის მიერ შექმნილ კუთვნილებით (ქონების) კომპოზიტებს, რომლებიც „მნიშვნელობის მხრივ გამოხატავს ზედსართავით ან მიმღებობით განსაზღვრული არსებითი სახელის ქონას და უდრის დამოკიდებულ წინადადებას“ (ვ. თოფურია).

კუთვნილებითი კომპოზიტები ძირითადად მსაზღვრელ-საზღვრულია, არსებითი+მიმღებობა ან ზედსართავი. წყობა პრეპოზიციული, ორწევრა, თუმცა დასტურდება სამწევრა და შებრუნებული წყობის შემთხვევებიც. კუთვნილებითი კომპოზიტების არსებითი სახელით უმეტესად ადამიანის (ცხოველის) სხეულის ნაწილების ამსახველი ტერმინებია წარმოდგენილი (ბეჭი, გვერდი, გული, ენა, ზურგი, თავი, თეძო, თვალი, თითი, თმა, იდაყვი, კანი, კანჭი, კისერი, ლაში, ლოყა, მაჯა, მკერდი, მუცელი, მუხლი, მხარი, ნიკაბი, პირი, სხეული, ტანი, ტუჩი, უღვაში, ფერდი, ფეხი, ქოჩორი, ყური, ძარღვი, ძვალი, ხელი...), მეორე ნაწილი კი ნამყო დროის საობიექტო მიმღებობაა, სხვადასხვა აფიქსებითა და ზმნისწინებით გაფორმებული.

მამამისმა,... მეორე ცოლი მოიყვანა, **მხრებწვრილი, იდაყვმწვეტი** და **თვალჭრელი** ქალი („გოლ.“). ზამთრობით **ბეწვჩაბრუნებული** ცხვრის ტყაბუჭი და ჩექმები ეცვა („ალერს.“). ის ქალი **სხეულ-შემქიმბებული**, მაგრამ მაინც რაღაცით ლამაზი ქალი იყო („ალერს.“). მამა ვითომდა **წელნატკენი** ადგა („გოლ.“). წავადექი განიერ, **ფერდებჩაგლუვებულ** ხეებს („ასულ.“). გავყვით დიდი ხნის **ფენუნვედრელ** ბილიკს („ალერს.“). ყველაზე **სულგაკანკული** კი მაშინ ვიყავი, ვაჟას თვალებით რომ შევდიოდი ვენახებსა და ჭალებში („გოლ.“). ის ქალი იყო, ის მაღალი ქალი, ახლა უკვე **ტურეგაბაცებული** („გოლ.“).

ქალმა **ხელებჩაშვებულმა** დაამთავრა სათქმელი („ალერს.“).

იშვითად გვხვდება სამწევრა კომპოზიტებიც. ამ შემთხვევაში მიმღებობა და გარემოების აღმნიშვნელი სიტყვა წინ უსწრებს კუთვნილებით კომპოზიტს.

არის უმთავრესად ასე, კედელზე **გაშლილხელებშიწყობილი** („მთვარ.“). ვეწევით ასე, **ხელზედკუდაგადანვეულები** („მთვარ.“). **სა-ამოდგულდაწვეტილებმა** განვავრძეთ გზა („ალერს.“).

დასტურდება ასევე **იან ა, ია** სუფიქსიანი კომპოზიტებიც. ყვავის **ყვითელგულა, თეთრგვირგვინებიანი** გვირილა („კეთ.“). კონუსას... **ათვირგანქიანი** მუშტი ჰქონებია (ტ. I). პირს იბანდა ნიკალას **თავდეჭეჩა** მამალი („მეგობ.“). პირბადრი, **თვალეზღუღუღა** გოგო („ალერს.“). დადგება ათასი, **მუცლიზელია**, დააღებს პირს („ჯაფ.“). მარგარიტა არა ერთი ევროპელი **თავიგლეჩია** ვაჟკაცის დარდიმანდობის მიზეზი ყოფილა („ჯაფ.“).

ხშირად კუთვნილებითი კომპოზიტების ზემოდსახელებული სახეობები წინადადებაში ერთმანეთის გვერდით გვხვდება. შეგიძინებია ქერა კახელები? — როგორღაც **ფართონაკვთებიანიები**, გლუვნი, **წყლისფერთვალეებიანიები, წარბებგადახუნულები** („ალერს.“). შოფერი უარესი შესახედავია — მაღალი, წელში მოხრილი, **ცალყბამოდლეზილი, ცალთვალა** („ცისფ.“). ხარირემი იდგა **დიდრქებიანი, ბეჭებგლუვი** და **ბეწვდაბეწილი** („გოლ.“). **ცხვირწითელა** და **სახედახუნუწებულმა** ცანცარა გოგონამ ცივი წყალი გადმოგვასხა ამღელვებელი შეხვედრის მომლოდინეთ („ცისფ.“). **თვალჭრელი** და **იდაყვწვეტიანი** ქალი **გუნებაჭრელი** და **ენაწვეტიანიც** არის („ალერს.“). მეც მახსოვს ისინი ერთად — **თეთრპერანგიანიები, შავკისერდაღერებულები, ჭიუტქოჩრიანიები** და **სახეგანათებულნი** („გოლ.“).

გარდა სიტყვაქმნადობისა მწერალი ენაში უკვე არსებულ კომპოზიტებს სხვადასხვა ენობრივი გზებით ახლებურად წარმოაჩენს.

ტანსართლობა უკვე პალტომიც ეტყობა („გოლ.“). ამ **გულსაკლაობას** ის უფრო აძლიერებდა, რომ მზის ჩასვლის ხანი იყო („ალერს.“). ქალის **ჩანმაგრობაც** კი კაცის ხელშიაო („ალერს.“).

პერსონაჟთა მეტყველებისას მწერალი მიმართავს დიალექტურ მასალასაც.

-სად მიხვალ, სადა, ე ბრმავე, **ტვინშებრუნებულო!** („ალერს.“).

მორწყეთ, თქვე **ჯანდამწერებო!** — უყვიროდნენ ქალები („ალერს.“). ვინა და, თეთრაანთ **თავგასიებული** აფრია („შორ.“).

მწერლის მიერ შექმნილი ზოგმა კომპოზიტმა როგორც ახალმა ლექსიკურმა ერთეულმა თავის ასახვა ჰპოვა ქველის I და II ტომების ახ. რედაქციაში (რედ. ავ. არაბული). მაგ. **გულდაარხინებული, გულგასანეთქი, გულისტკივილიანი, გულყრიანი, ბლომოკაუჭებული, ანლგაპარსული, ახალშეთვალული** და სხვ. რიგი მათგანით ლექსების ახალი მნიშვნელობა გამოვლინდება, მაგ. იხ. **გვერდგამოხლართული** II მნიშვნ. (ქველ. ახ. რედ.). ხშირ შემთხვევაში კი მწერლის ენაში დადასტურებული კომპოზიტები ლექსების განმარტებისას სხვა ავტორებთან ერთად მდიდარ საილუსტრაციო მასალას წარმოადგენს.

როინ ჰიკაძე (თელავი)

დროის გადაწევის ფაქტორი სემიოტიკურ ჰერილში შიგნიკახურის მიხედვით

ტრადიციულად მიჩნეულია, რომ დრო არის ზმნის ერთ-ერთი ძირითადი გრამატიკული კატეგორია, კერძოდ, უღლებების კატეგორია. თუმცა გასული საუკუნის 80-90-იან წლებში გამოითქვა საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრება, რომლის თანახმადაც დრო არ არის გრამატიკული კატეგორია, იგი ოდენსემანტიკური კატეგორიაა (გ. გოგოლაშვილი), რაც კიდევ უფრო დამაჯერებლად დასაბუთდა მისივე მონოგრაფიაში „ქართული ზმნა“ (2010წ.) და სათანადოდ აისახა „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ აკადემიურ კურსში (2011წ.).

იკვება, რომ დრო ფაქტობრივად ფარდობითი ცნებაა და ის უნდა განიხილებოდეს როგორც საუბრის მომენტის, ისე კონტექსტისა და ცალკეული წინადადების ზმნა-შემასმენელთა ურთიერთმიმართების გათვალისწინებით. სწორედ ასეთი კორელაცია გვაძლევს რელატიური დროის გამოხატვის სრულ სურათს დროის სემანტიკური ველის ფარგლებში.

საერთოდ, ადამიანის მიერ სამყაროს უღებელი აღქმა ენაში (resp. დიალექტში) თვალნათლივ იკვეთება დროის ფაქტორთან მიმართებაში, რაც დანახული და განცდილია როგორც ევოცენტრულად, ისე ზოგადსივრცულ განფენილობაში. ამასთანავე, საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ზმნაში გამოიყოფა სამი ძირითადი დრო: ახლანდელი, წარსული და მომავალი, რაც სათანადოდ აისახება უღლების სისტემაში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ მწერლებს აქვს სხვადასხვა დროის გამოხატვის უნარი, რაც ხელშესახებად ვლინდება წინადადებაში სხვადასხვა მწერლებთან თანამიმდევრობისას.

პარატაქსული კონსტრუქციის წინადადებაში სხვადასხვა დრო-კილოთა ურთიერთმიმართებისას ყურადღებას იქცევს **დროის გადაწევის** ფაქტორი. ამჯერად განვიხილავთ წყვეტილისა და აწმყოს მწერების დროთა თანამიმდევრობას სემიოტიკურ ჰერილში, სადაც წყვეტილი გადმოგვცემს წარსულში მომხდარი თუ შესრულებული მოქმედების შედეგს, ხოლო აწმყოს ახლანდელი დრო გადატანილია წარსულში, ასეთ კონსტრუქციაში, როგორც წესი, წყვეტილს მოსდევს აწმყო და სწორედ წყვეტილი ქმნის წინადადების წარსულდროიან ველს. ფაქტობრივად გვაქვს ე.წ. „შედევობითი წყვეტილი“ და მისი თანამეწყვილე „შედევობითი აწმყო“.

ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა კახური დიალექტი, კერძოდ, შიგნიკახური:

გადაბრუნდა ეს კაცი და **კვდება**, 69. **აღვა** ნახევარქათამა და **წაიყვანა** მეელიც, **შაისვა** ბარკალქვეშა და **მიჭყამს**, 97. იმათაც **დაჭნოცეს** თავიანთი ცოლები და **ჭყვირიან**, 91. **მოიდნენ** ცოლი მაყრები და **იციკირებიან** აქეთ-იქითა, 101. მემრე **წამოწვა** ერთ ფურცლი ქვეშ ეს წიწილა და **აწკარუნნებს**, **უკრამს** ამ ჩონგურ, 96. ე კაცი **შაშინდა**, **გაუტია** და **მკის**, 85. ერთმა მოლამ **დაფქვა** კოკის ნატეხარი, **წაიღო** და თავის წამლის ბაზრობაზე **ყიღის**, 71. (დათვმა) **ჩაიღო** მარჯვენა ხელი მთლათ პირში და **ღეჭამს**, 73. (მოლა) **დაჭდა** და პურსა **ჭამს** და **ატანს** ი ბატის წვეწ, 72. ერთი კუბო **გაამართინა** და ის კუბო **გაამსო** ქვიშით, **დაიღო** წინ და **ტირის**, 87. **მივიდა** შვილებიანი ძმა და **ტკეპნის** და **ჩაა ძანის**, 75. **შააბა** ოქროდ ურემი, აქლემები და **მიღის**, 89.

დაყარემ ერთმანეთ, **ბეგვავენ**, 93. ვიარე ნაპირ-ნაპირ, მოწი-წებით **ვღამ** ფეხებ, 23. **წავიდა**, **გათხარა**, **მიდის**, 87. **შეეშინდა** მელას, **მირბის**. 93. **გაიქცა** ეს მელა, **გარბის**, **გარბის**, 94. **აღვა** და შუალამე **მივიდა** სახლში, **უბრაგუნებს** კარებს, 86. **მიყვავა** ეს ბებერი თხასა და **შავიდა** იმ ჭალაში, **იბუნა** ის ბაღლი, **გადააბოტა** და პირში ძუძუ **ჩაუღო**, **აწუებს**, 115.

დათვმა ღორეფში **აირბინა**, ძალი თან **გაადევს**, 58. **ამოიშვირა** იმ მელაზე კუდი, ძაღლები ისევ იქა **დგანან**, 94. ძოვი თელავს **წავიდა**, ზოვი ყვარელში **ცხოვრობს**, 28. **წავიდა**, **მიდის** ერთ ტყეზე, **მოუღიო** ღორები, 84.

კიაზოანთ ოჯახში ქალსა მუცელი **აბტივდა** და **გაიძახიან**, 21. **გათენდა** მეორე დილა და ცხვარი **აღარ არი** იმ მეცხვარეებისა, 84.

ზოგჯერ კონტექსტში წყვეტილის თანამეწყვილეებად ერთდროულად მყოფადისა და აწმყოს მწკრივები გვხვდება და ასეთ შემთხვევაშიც ამ უკანასკნელთა მომავალი ან ახლანდელი დრო წყვეტილის გავლენით წარსულშია გადატანილი:

ერთი მაღალი ტყავის ქუდი **მეხურა** თივის სარივით. **მამხლიან** ეს ქალის ძმები, **აიღებენ** და **დაახლიან** დედამიწაზე და **გამიღებს** ფათქვანს: აი, მამაშენის ქვევრი აქ **არის!** **მამდის** სისხლი ყელში, 23. რამდენიმე თვე **გავიდა** და მერე ანში **შაარიგა** თავისი ქალიცა და სიძეც. **დააბატიყა** სიძეცა და ისიც **წავიდა**. **გაშაღე** სუფრა. სხვები ჭიქითა **სვამენ** ღვინოს. იმ ბიჭს უბეში **აქვს** ი თასი. **დააღვეს** ღვინოს და **გადააქცევს**. სუ **დააგიყა** ხალხი, 112.

საანალიზო მასალა ცხადყოფს, რომ მოცემულ შემთხვევაში დრო თავისებურად რეალიზდება კომპონენტ ზმნა-შემასმენელთა ისეთი თანამიმდევრობისას, როდესაც წყვეტილს მოსდევს წარსულად გადაზარიანებული აწმყო; საკავშირებელ საშუალებად კი გამოიყენება მაჯგუფებელი „და“ ან უკავშირო შეერთება.

ამრიგად, შიგნიკახურიდან მოხმობილი მასალა გვიჩვენებს, რომ ენისათვის უცხო არ არის დროის გადაწევის ფაქტორი; კერძოდ, პარატაქსული კონსტრუქციის წყვეტილი-აწმყოს მწკრივთა თანამიმდევრობის მოდელში აწმყოთი გამოხატული ახლანდელი დროის მოქმედება წყვეტილის გავლენით გაზარიანებულია როგორც წარსულში მომხდარი.

ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი (თბილისი)

ხ ი ბ ლ - ს ი ტ ვ ე ს ი ს ტ ო რ ი უ ლ - ე ტ ი მ ო ლ ო გ ი უ რ ი ა ნ ა ლ ი ზ ი

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა **ხიბლი** დამოუკიდებლად არ არის, ეს ლექსიკური ერთეული **ხიბალ** ფუძესთან ერთადაა და ასეა განმარტებული: „**ხიბალ-ი**, **ხიბლ-ი** [სპარს. **ხაბალ**] 1. ჯადო, გრძნება. *სხვა რამ ქნა ხიბლი ასეთი, თოვლი ჰაერში ავიდა („შაჰნამე“). // გადატ. მომხიბვლელობა, მიმზიდველობა. [ქალი] გრძნობდა, რომ უწინდელი ხიბლი ბოლივით ეფანტებოდა (მ. ჯავახ.).* 2. „ემმაკი და კუდიანი კაცი“ („დილა“).“ იქვე, „**ხიბლვა** ...1. გრძნებით შეკვრა. 2. მოჯადოება, მოხიბლვა... **ხიბლავ-ს** 1. გრძნებით კრავს, — აჯადოებს... 2. უღარეს მოწონებას იწვევს, იტაცებს...“ (ქველ. VIII, 1964).

ქართ. **ხიბლ-ი** ირან.-არაბ. (ირან. xāb 1 ; არაბ. xbl „შლა, სიგიჟე, ხვანჯი, მოშლა, გაფუჭება, ვნება, მავნებლობა“; ემმაკობა, გრძნეულება, ხლათი, აგრეთვე „ხიბლი“ (იუსტ. აბულაძე... „შაჰ-ნამე“ ტ. II).

სულხან-საბას განმარტებით კი, **ხიბლი** არის „საგრძნებო კრული“. **ხიბლვა** „შეგრძნება ნ. მიხილავი, ნახიბლი, სახიბლავი.“ **სახიბლავი** „ნ. საწამლავი... **საწამლავი** სამსალა, გინა სახიბლავი სასიკვდილე (წამალი)... **სამსალა** წამალი მაკვინებელი“. **[შეგრძნება, საგრძნებო** არ არის განმარტებული, მაგრამ არის **გრძნება** „ემმაკით მოქმედება. ემმაკის მონობა“. შდრ. ილ. აბულაძე: **გრძნება** მისნობა, კუდიანობა; და ისევ სულხან-საბასთან, უცხო შესიტყვებანში, არის შემდეგი განმარტება: „**მიხილავი** თ. ჯადუქარ; **ხიბლვა** თ. ჯადუ.“

საყურადღებოა, რომ დღევანდელ ქართულში **ხიბლი** შეკუმშული ფორმით და გადატანითი მნიშვნელობით იხმარება. დღეს ხშირად გაიგონებთ: „ამ ქალაქს სულ სხვა ხიბლი აქვს“, „ტრადიციული სუფრის ხიბლი“, „ცხოვრების ხიბლი“, „ამის თარგმნა მინდა, ოღონდ ისე, რომ თავისი ხიბლი არ დაკარგოს“... და ა. შ. ასევე: „**მომხიბლავი** ადამიანი“, „**მომხიბლავი** ღიმილი აქვს“, „**მომხიბლავი** იდეა“ ... — **მომხიბლავია** ყველაფერი, რაც ლამაზია, რაც მოგვწონს, რაც გვიზიდავს, რაც გვიტაცებს (რაც თვალს იტაცებს); ზოგჯერ არც მოგვწონს, მაგრამ მაინც **ვინიბლებით** — „**მოულოდნელობათა ხიბლი**“... „**ცოტა** უცნაურია, მაგრამ მაგ **უცნაურობათა მთელი ხიბლი**“, „**მანკიერების ურცხვი ხიბლი**“... „**რალაც** ისეთი ხიბლი აქვს...“ — რალაც

ისეთი აქვს, რაც აღგვაფრთოვანებს, უაღრეს მოწონებას იწვევს. გაჩნდა საპირისპირო ლექსიკური ერთეული **განხილვა**: „**განხილვა**-ს წიგნ. პირვანდელ დიდ წარმოდგენას დაუკარგავს... **განხილვა** მოწონების, აღფრთოვანების პირვანდელი გრძნობის გაქრობა; ნდობის დაკარგვა (ვინმეს ან რაიმეს მიმართ)... (ქეგლი II, 2010).

ამასაც გავიგონებთ: „ეს კაცი **ხიბლშია ჩავარდნილი**“, „როგორ განვიკურნოთ ხიბლისაგან“ ... — ქრისტიანული სწავლებით, **ხიბლი** არის წარწყმედის ანუ მარადიული სიკვდილის მდგომარეობა, კაცობრივი ბუნების ტყუილით შერყვნა, რაც ადამის მოდგმის წინაპართა დაცემითაა გამოწვეული. **ხიბლი** ამპარტავნების ნაყოფია — **თვითმოხიბვის** (საკუთარი თავით მოხიბვის), თვითდაჯერებისა და შთაგონების, — რომ ყველაზე უკეთესია, გამოორჩეულია, — ამის დაჯერებით ადამიანის გონება ამპარტავნებით ბნელდება, სწორედ ამიტომაც შესაძლებელი, ხიბლში ჩავარდეს.

საგულისხმოა, რომ **ხიბლ**- სიტყვის თავდაპირველი ფონეტიკურ-სემანტიკური ვარიანტი ძალზე საინტერესო გადასვლებით, დიალექტებს (განსაკუთრებით, მთის კილოებს) შემოუნახავთ: „**ხიბალ**-ი ჯ. თ. მავნე (ეშმაკი და სხვ.). **დაგხიბლა ღმერთმა!** (წყევლაა)... **შემხიბლა, დამხიბლა** მოჯ. მომაჯადოვა... **ხიბალ**-ი ფშ. (რაზ.-ჰყ.) „ეშმაკი და კუდიანი“ (აკ. შანიძე, I, მთის კილოთა ლექს.). „**ხიბალი**¹ (ქიზიყ.) საწამლავი. ავადმყოფობისაგან (უმთავრესად ციებ-ცხელებისაგან) „მოწამლული“ ადამიანი; გადატ. მწარე სიტყვის ადამიანი (ს. მენთემ.). **ხიბალი**² (ფშ.) ეშმაკი და კუდიანი (თ. რაზიკ., ი. ჰყონ.). **ხიბალი**³ (აჭარ.) მჭლე, გამხდარი (საქონელი, ადამიანი) (შ. ნიჟარ.). **ხიბალ-ხუბალ**-ი (ქიზიყ.) ერთმანეთში არეული ცუდი ხილვული, ადამიანს რომ აწყენს (ს. მენთემ.). **ხიბვლა** (ქიზიყ.) მოწამლა, მოშხამვა (ს. მენთემ.). **მოხიბვლა** (ქიზიყ.) მოწამლა, მოშხამვა, ადამიანის ან ცხოველისა საწამლავით. ნ. ხიბალი (ს. მენთემ.). **დახიბლული** (ქიზიყ.) ფერდაკარგული, გამხდარი (შ. ძიძ.) [ალ. ლლონტი, ქართ. კილო-თქმ...]. „**მიხილავი** საქმის უკუღმა წამყვანი, მნავსავი. [ყორანი] წავა მიხილავი თავის ყრანტალით, ხავსიან კლდეებს შუა შეუვლის“ [ვაჟა-ფშ. მც. ლექს.]. **ხიბალნი** (**ხიბალ-კუდიანები**) ავსული, ეშმაკი“ (გ. ცოცანი, თუმ. ლექს.). „**ხიბალ** შხამი, საწამლავი; **ხიბლიანი** შხამიანი, საწამლავიანი — მენთემ.; ეშმაკი და კუდიანი — ჰყ. ...

მოხიბლა მოწამლა, მოშხამვა... მოხიბლულ-მოწამლული, მოშხამული. **ხიბლა** გრძნობით შევპკრავ, დავნავსავ (ჩუბ.), **მახიბლება** გაუფუჭდება, აეჭრება (რძე) (კაიშ.) [რ. ლამბაშ., ქართ. ენის ინგლ. კილოს ლექს.].

„**გადაუხიბლავს** გაუმიზეზიანებს, დაუთავადმყოფებს, დაუსნეულებს; გადატ. მოუშლის (მაგ. თოფს)“... **გადახიბლვა** დამიზეზიანება, გადაგვარება, მოშხამვა, მოწამლა... **მამხილავი** მომწამლავი, მომშხამავი... **მიხილავს** მოწამლავს, მოშხამავს, დაავადებს. შუბნური [ხატი] დავხმარა და ბალახი მოხიბლა. ბალახი რამაც მოძოვა, ყველა მოკვდა (ეთნ. მითოლ. 12, 134) [ალ. ჭინჭარ., ხევს. ლექს.].

„**მოხიბლვა** დანავსვა, მოჯადოება, საქმის გაუკუღმართებაა. **მოხიბლული** მოჯადოებული, დანავსულია. **მოხიბლვა** გათვალვაა. ფშაველთა რწმენით, მოხიბლული შეიძლება იყოს ადამიანი და ცხოველებიც, აგრეთვე ძროხის რძეც (თუ იგი კარგად არ იდღვივება და კარაქი ძნელად ამოდის). **მოხიბლვა** შეიძლება ადამიანთა თვალთ, ხატის მიზეზით და შეშინებით (გ. გოგატიშვილი, ფშავური ლექს. I.).

ხიბლის თავდაპირველი სემანტიკა ჩანს გამოთქმებშიც: **ხიბალ-კუდიანი**, **ხიბლისვანჯარა**, **ხიბალ-კუდიანობის დამე**...

„**ხიბალკუდიანი**-ი კუთხ. (ფშ.). ეშმაკი, გაქნილი ადამიანი“ („დი-ალ.“). **ხიბლისვანჯარა** თამაშობაა ერთგვარი: ბოლოებგადაბმულ ძაფს შულოსავით დაიჭერენ, თითოჯერ ხელზე შემოიხვევენ და შემდეგ, თითების გამოდებით, სხვადასხვა სახე გამოჰყავთ (როგორცაა: „აკვანი“, „ხიდი“, „წყალი“, „ხერხი“... თამაშობს ორი ბავშვი [სინონ. ქართლ. ნეკობა, იმერ. გადაყვანია). // აბლაბუდასავით გაბმული რამ. „პიბოდი რა თოფია, ეშმაკის ხიბლისვანჯარას ჰგავს“ (ვაჟა) (ქეგლ VIII).

ც ი რ ა ჯ ა ნ ჯ ლ ა ვ ა (თბილისი)

ზმნური მიმართვის შესახებ მეგრულში

მიმართვის — დიალოგური მეტყველების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის — ორი ძირითადი სახეობა გამოიყოფა: სახელური და ზმნური. მათი სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესახებ ქართულში

მონოგრაფიული გამოკვლევა პროფ. შ. აფრიდონიძეს ეკუთვნის. ჩვენ, ბუნებრივია, ამ მონოგრაფიის ძირითად დებულებებს ვითვალისწინებთ.

სახელური (ვოკატიური) მიმართვა მეგრულ-ლაზურში რამდენჯერმე იყო ჩვენი განხილვის საგანი (1998, 2000, 2007...), ხოლო ზმნურ მიმართვასთან დაკავშირებულ ზოგ საკითხს შევხებით მაჰაჩყალაში საერთაშორისო სიმპოზიუმზე გაგზავნილ და იქ ჰ. წადასას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ მოხსენებათა თეზისებში (2008). ამჯერად წარმოვადგენთ ზმნური მიმართვის (იმპერატიულისა და ინტეროგატიულის) მოკლე ანალიზს, რაც ადრე გამოქვეყნებული მსჯელობის შევსებულ და დაზუსტებულ ვარიანტად გვესახება.

ზმნური მიმართვა, როგორც ცნობილია, შეიძლება იყოს წართქმითი და უკუთქმითი, ბრძანებითი და კითხვითი.

წართქმითი ფორმით იმპერატიული (ბრძანებითი) მიმართვის შემთხვევაში მეგრულში ახალი ქართულის მსგავსი ვითარება დასტურდება. იმ შემთხვევაში, თუ მეორე პირია მიმართვის ობიექტი და ზმნა დინამიკურია, გამოყენებულია ნამყო ძირითადის (წყვეტილის) ფორმები: **დოჭარი!** „დაწერე!“, **ეუკინ!** „ასწიე!“, **ქოძირი!** „ნახე!“, **გედირთი!** „ადექი!“, **იკერკელი!** „იგორავე!“ და სხვა. თუ ზმნა სტატიკურია, გამოიყენება კავშირებითის ფორმა: **ქორდა!** „იყავი!“, **ქოიღუდას!** „გქონდეს!“, **ქორცუნდას!** „გყავდეს!“, **გიცორდას!** „გიყვარდეს!“, **ქორლურდას!** „გეძინოს!“, **გიჩქუდას!** „იცოდე!“ და სხვა. ასეთივე ვითარებაა, თუ მიმართვა ერთზე მეტ პირს ეხება — ემატება მხოლოდ მრავლობითის ნიშანი: **დოჭართ!** „დაწერეთ!“, **ეუკინთ!** „ასწიეთ!“, **ქორდათ!** „იყავით!“, **ქოიღუდან!** „გქონდეთ!“...

მიმართვის (ბრძანებითის) ფორმებს მხოლოდ ინტონაცია განარჩევს სათანადო (წყვეტილისა და კავშირებითის) ფორმათაგან.

უკუთქმითი მიმართვის (ბრძანებითის) შემთხვევაში მხოლოდ კავშირებითის ფორმები გამოიყენება: **ვაკეთა!** „არ ვაკეთო!“, **ვაჩურა!** „არ იცურაო!“, **ვადინჯირა!** „არ დაწვე!“, **ვალორა!** „არ მოატყუო!“, **ვენირა!** „არ მოიბარო!“ და სხვა.

მიმართვა-მოწოდება მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმითაც შეიძლება გადმოიციეს: **მიდაფრთათ!** „წავიდეთ!“ **დოფხუათ!** „დავშალოთ!“, **აკუორზათ!** „დავანთოთ!“, **დიბჯირათ!** „დავწვეთ!“

დოფხაჩქათ! „გავთონოთ!“, **ვაპწირათ!** „არ გავწუროთ!“, **ვაბლოლათ!** „არ ვქნათ!“ და სხვა.

თავისებურია „სვლის“ გამომხატველი ზმნის მიმართვის ფორმა, რომელიც განსხვავებულია სათანადო თხრობითი კილოს ფორმისაგან — მიმართვისას მოკვეცილია ზმნის ფუძისეული თანხმოვანი: **მეუ!** „წადი!“ — **მდრ.** **მე—(ვ)ულ** „მივდივარ“, **მე-ურ-ქ** „მიდიხარ“; მრავლობით რიცხვში ფუძისეული **რ** (< **ლ**) შენარჩუნებულია: **მე-ურ-თ!** „წადით!“

მიმართვისას შეიძლება ნატვრითი შინაარსი კავშირებითის ფორმით გადმოიციეს: **გიბირუდას!** „გემღეროს!“; **გიგარუდას!** „გეტროს!“; **გერძირაფუდას!** „ნეტავ დაგესიზმროს!“; **დუჭარუდას!** „ნეტავ დაწეროს!“; **ქუმურთუმუდას!** „ნეტავ მოვიდეს!“ და სხვა.

კითხვითი (ინტეროგატიული) შინაარსის მიმართვა მეგრულში კითხვითი -**ო** ნაწილაკის საშუალებით გადმოიციემა (რომელიც, როგორც ცნობილია, ძველი ქართულისა და სვანურის -**ა** ნაწილაკის შესატყვისია): **მიდართიო?** „წახვედი?“ **დოჭარიო?** „დაწერე!“ **ვაკეთო?** „გაკეთა?“; **დირუღუო?** „დაიძინა?“ **ქორენო?** „არის?“ **ვანექო?** „არ ზიხარ?“; **ჭვალუქო?** „წველი?“ და სხვა.

ბუნებრივია, კითხვას ახლავს თავისებური ინტონაცია, რომელიც განსხვავდება როგორც თხრობითი, ისე ბრძანებითი შინაარსის გადმომცემ ფორმათა ინტონაციისგან (ნ. კიზირია). ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, მეგრულში ზმნის ბოლო მარცვლის ხმოვნის გაგრძელებით კითხვითი შინაარსის გამოხატვა არ ხდება (სპეციალური კითხვითი ნაწილაკის ფუნქციონირების პირობებში ამის საჭიროება არც არის).

მიმართვის ფორმათა განხილვისას დგება სამეტყველო ეტიკეტის საკითხი, კერძოდ, მეგრულშიც (ახალქართულისებურად) თავაზიანობის გამოხატვის ერთ-ერთ ფორმად მეორე პირისადმი „თქვენობით“ მიმართვა მიიჩნევა.

მოხსენებაში შევხებით ზმნურ მიმართვასთან დაკავშირებულ ზოგ სხვა საკითხსაც.

პ ა ა ტ ა ჯ ა ფ ა რ ი ძ ე (ქუთაისი)

ქართველური ძირები და ქართულ-აღმოსავლური იზოგლოსები

ქართველური ძირების გამოვლენა და აღნუსხვა კვლავაც წარმოადგენს ქართველოლოგიის ამოცანას. ამასთან დაკავშირებით არსებობს ძირები რომელიც წარმოშობით ქართველური ხასიათისაა არიან. წინამდებარე მაგალითები ქართულისა და ჭანურის მაგალითების საფუძველზეა წარმოდგენილი.

რბილი-ლიბუ
თბილი-ტიბუ
გრილი-რგილი
სიცივე-ჩხურუ
ქოთანი-კოტო

ინდოევროპულში არსებული შესაბამისი ძირი **tep** – თბილი თანხმოდანთა აქცესიურ თანმიმდევრობას ამჟღავნებს; ამიტომ დასაშვებია ამ ძირის ქართველური (სამხრეთკავკასიური) წარმოშობა, სადაც მისი არქეტიპებია ტეფ- ტფ- (თბილი).

ყურადღებას იმსახურებს **მარილი**, რომლის ეტიმოლოგიაც დაუკავშირეს **ძმარს**

ქართ. **ძმ- ძმ-**არ-ი

მეგრ. **ჯუმ-ჯიმ- ჯუმ-ორ-ი** „ძმარი“; **ჯიმ-უ** „მარილი“; **ჯიმ-ოლ-უ-ა** „დამარილება“

ლაზ. **ჯუმ-ჩჯუმ- ჯუმ-უ/ ნჯუმ-უ** „მარილი“; **ჯუმონი** „მარილიანი“; **ჯუმ-ორ-ი** „ძმარი“; **ო-ნჯომ-ორ-უ** „დამარილება“; **ბ-ჯუმ-ორ-უფ** „ვამარილება“

სვან. **ჯიმ-/ ჯემ** „მარილი“; **მგ- ჯიმ** „მარილიანი“, დასტურდება ძველ ქართულიში (ფენრიხი, სარჯველაძე: 632)

ჯუმ-ორ-ის (ქართ. ძმარი) ძირეული **ჯუმ-** იგივე უნდა იყოს, რაც **ჯუმ-უ-ში** (ქართ. მარილი) გვაქვს. ეს უნდა ჩანდეს ნასახელარ ზმნაში **დო-ჯუმ-ორ-უ**, რაც „დამარილება“ ნიშნავს. (ჩიქობავა 1938: 177)

ფენრიხი სარჯველაძის ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში **ძმ-არ** და **ჯუმ-ორ** ძირები იდენტიფიცირებულნი არიან. არნოლდ ჩიქობავაც ჭან. **ჯუმ-უ**, მეგრ. **ჯიმ-უ** (მარილი) ძირების გან-

ხილვისას მათ რეფლექსებს ხედავს ქართ. ძმარში. თუმცა ქართული მარილი მას სხვა ძირად მიაჩნია.

მარილი- ჯიმუ: მარილისა ჯიმუს კანონზომიერი შესატყვისობა განპირობებულია რამოდენიმე გარემოებით: 1. ძირის აუსლატში ქართ **რ-**ს კანონზომიერ შესატყვისის წარმოადგენს მეგრულში **ჯ.** მაგ: ქართ. **ხარ-**ი>**ხოჯ-**ი. **ძირ-**ი>**ჯინჯ-**ი რაც შეეხება ქართული ინტერკონსონანტური ვოკალს —**ა**, მისი კანონზომიერი ექვივალენტია მეგრული **ი.** ტრადიციულად ქართული **ა-**ს მეგრულ (**resp.** ჭანურ) კანონზომიერ შესატყვისის წარმოადგენს **ო**, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართ. **ა-**ს გადმოცემა **ი-**თ განპირობებულია მეტათეზით.

არსებობს როგი ძირებისა რომლებიც თავისი ხასიათით ქართულ-აღმოსავლური იზოგლოსებს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ მათზე სათანადო ყურადღება აქამდე არ გამახვილებულა.

ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე (თბილისი)

ენობრივი ეკონომია და ქართული ენის დიალექტები

ენობრივი ეკონომია უნივერსალური ენობრივი მოვლენაა, მის გავრცელებასა და რაოდენობრივ მახასიათებლებზე კი, სხვასთან ერთად, სოციალურ-ეკონომიკური (ანუ, არაენობრივი) ფაქტორებიც ახდენენ გავლენას.

ენობრივ ეკონომიაში, ფართო გაგებით, ეკონომიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ენობრივი მოვლენა შეიძლება ვივარაუდოთ:

1. **ფონეტიკური** (კუმშვა, კვეცა, მარცვლის ამოვარდნა...);
2. **მორფოლოგიური** (მთელი მორფემისა თუ მოდალური ელემენტის მოკვეცა...);
3. **სინტაქსურ-სტილისტიკური** (მთელი სიტყვისა თუ შესიტყვების ამოვარდნა, შესიტყვების სიტყვაწარმოებით სისტემაში გადაყვანა, ანალიზური წარმოების სინთეზურზე გადასვლის შემთხვევები...).

ენობრივი ეკონომიის ფაქტები, უფრო ზშირად, სასაუბრო მეტყველებასა და დიალექტებში ვლინდება. გამონაკლისს არც ქართულ-

ლი ენის დიალექტები წარმოადგენენ, სადაც ენობრივი ეკონომიის უამრავი საინტერესო ფაქტი ვლინდება, მაგ.:

უყურეგდებულებს — ყურადღებას მიაქცევს

(ღმერთმა) გამწვიდობოს! — (ღმერთმა) მშვიდობა მოგცეს!

ხელიხელ — ხელიდან ხელში

ამისდროული — ამის ასაკში

ჩემსობას — რაც თავი მახსოვს, მთელი ცხოვრების მანძილზე

პირგამოფენილი — (იტყვიან უჩადრო ქალზე, დაცინვით) — პირი აქვს გამოფენილი სახალხოდ

ხელგამუხსლელი — ხელიდან რო არაფერი გამოსდის, მოუხერხებელი

მოხსენებაში ენობრივი ეკონომიის ფაქტები სისტემურად იქნება წარმოდგენილი.